ეჭ. გიორგი თეოდორაძე

ხუთი ღელი ფუავ-ხევსურეთში

წიგნი მეორე

გვარი, ოჯახი, სარწმუნოებრივი კულტი,
ტანისამოსი, მკურნალობა

19 საქმედგამი / თბილისი 39

ᲚᲘᲚᲘᲐᲜᲐ ᲞᲐᲠᲐᲯᲐᲜᲝᲕᲐ
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲘᲯᲘᲜᲐ

ეჭ. გიორგი თედორაძე

ხუთი ხელი ფუავ-ხევსურეთში

წიგნი მეორე

463

გვარი, ოჯახი სარწმუნოებრივი კულტი, ტანისამოსი, მკურნალობა

19 საქმედგამი / თბილისი 39

სსრ მეცნიერებათა აკ... ... ... სახელობის ბიბლიოთეკა-ნუზეუმ... Библиотека-Музе... имени Акад. И. Грузинского Академия наук

რედაქტორი—ა. უსტიაშვილი
კორექტორი—ტატიშვილი
გადაეცა წარმოებას 27/I-39
ხელმოწერილია დასაბეჭდათ 8/VIII—39 წ.
ტირაჟი—3000
მთავლიტის რწმუნ. № 2773.

სტამბა „ზარია ვოსტოკა“. რუსთაველის პროსპექტი № 36

წინასიტყვაობა

ჩვენი პირველი შრომა „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“ გამოვიდა 1930 წელს, იგი შეიცავს ფშავლებისა და ხევსურების ყოფა-ცხოვრების აღწერას. ეს წინამდებარე წიგნი მეორე შრომაა იმავე თემაზე დაწერილი და წარმოადგენს პირველის შევსებასა და გაგრძელებას.

როცა პირველი წიგნი იბეჭდებოდა, ავტორი ჯერ ისევ ფშავ-ხევსურეთში მუშაობდა და მასზე დამოუკიდებელ მიზეზთა გამო წიგნს ბევრი მასალა დააკლდა. ამასთან ერთად პირველ წიგნს ტექსტისა და თავების დალაგების მხრივაც აქვს ნაკლი.

ეს, მეორე, წიგნი შეიცავს პირველი წიგნისათვის გამზადებულ მასალას, რომელიც ვერ შეეიდა პირველ წიგნში, როგორც ვთქვით, ჩვენზე დამოუკიდებელი მიზეზების მასალაა, ეს გამო ჯერ ერთი გვაროვნული წყობა, რომელიც შედარებით უფრო ყურადღებით არის დამუშავებული ამ წიგნში. ამ რთული საკითხის დამუშავებაში, ალბათ, ნაკლიც გვექნება, მაგრამ იმდენად დიდი კი არა, რომ შრომას მნიშვნელობა დაუკარგოს. ამ ნაკლის გამოსწორებას შესძლებს ჩვენს შემდეგ სხვა მკვლევარი, რომლისთვისაც ჩვენ უკვე შეგროვილი და დამუშავებული გვაქვს ძირითადი მასალა.

შემდეგ, ამ შრომაში ვეხებით ოჯახურ წყობას, რადგანაც ოჯახი შეადგენს გვარის ძირითად წარმომშობს.

აქვე ვიხილავთ სარწმუნოებრივ კულტს, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ძველი ფშავ-ხევსურეთის ცხოვრება. ეს საკითხი ჩვენ სავსებით ვერ ამოვწურეთ, რადგანაც ამისათვის ასეთი ერთი პატარა წიგნისა კი არა, მრავალი ტომის დაწერაა საჭირო. მას აქ ვეხებით მხოლოდ იმდენად, რომ დაინტერესებულმა მკითხველმა ზოგადი წარმოდგენა იქონიოს.

ამ წიგნში აგრეთვე აღწერილია ხევსურული ტანისამოსი. დიდი ყურადღებითაა აღწერილი ადგილობრივი მკურნალობა, სამკურნალო ბალახები და ხერხები. წიგნის ეს ნაწილი შეადგენს პირველ წიგნში მოცემული ამავე საკითხის მასალის განვითარებასა და დამატებას.

დასასრულ დიდ მადლობას ვუძღვნი ბელეტრისტ ლადო ბალიაურს, ალექსი ოჩიაურს, ელიზბარ ელიზბარაშვილს, რომლებიც დამეხმარნენ ამ წიგნის მასალის შეკრებაში.

ავტორი

ხევსურეთი

ხევსურეთს, წარსულს და არა ახლანდელს, ჰქონდა ბევრი ისეთი მხარე, რომელიც ჩვენი, თანამედროვე, თვალსაზრისით, დასაგმობია და მიუღებელი. ყოფა-ცხოვრების წესები, ზნე-ჩვეულებანი, კულტი, სამართალი, მკაცრი წესები სისხლისაღებისა და სხვ. იმდენად ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებდა ყოველ, თუნდაც ცოტაოდენად კულტურულ ადამიანზე, რომ ყველა, ვისაც კი მოუხდებოდა ხევსურეთში ყოფნა და ცხოვრება, გაკვირვებული და, შეიძლება, სასოწარკვეთილიც კი, წამოიძახებდა: ნეტავი რა დამიფარავს ამათგანო! მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, ხევსურები ფრიად საინტერესონი არიან სწორედ ამ თავიანთი ძველებურობით, გვარ-ტომური წყობილებით.

ლუი მორგანმა იროკეზების საზოგადოებრივი წყობილება ძველი წესწყობილების იდეალად მიიჩნია. ხევსურებიც იროკეზებში ბევრით არ განსხვავდებიან. მხოლოდ კი, იროკეზების რიცხვი და ტერიტორია მეტი იყო ხევსურებისაზე.

ფრ. ენგელსი, როცა იროკეზებს ეხება, ამბობს: „რა საუცხოვო მოვლენაა ეს გვაროვნული წესწყობილება თავისი უშუალობისა და სიმარტივის მიუხედავად. აქ არც ჯარისკაცებია, არც ჟანდარმები და პოლიციელები, არც თავად-აზნაურობა, მეფეები, მეფის მოადგილეები, პრეფექტები ან მსაჯულები, არც ციხეებია და არც პროცესები, მაგრამ ყოველივე წესიერად მიმდინარეობს. ყოველივე უთანხმოებას და ჩხუბს სწყვეტს იმ პირთა ერთეული, რომელთაც ეს ეხება: გვარი, ტომი ან გვარების გაერთიანება; სისხლისაღება მხოლოდ უკიდურეს, იშვიათ შემთხვევაში იხმარება. ამ სისხლისაღების ცივილიზაციაქმნილი ფორმა სიკვდილით დასჯაა. იგი ცივილიზაციის უპირატესობითა და ნაკლითაა დატვირთული. თუმცა გვაროვნულ წყობილებაში მეტი საზოგადო საქმეებია გასარჩევი, ვიდრე დღეს,

თუმცა რამდენიმე ოჯახს საერთო შინაური მეურნეობა აქვს კომუნისტურად მოწყობილი, თუმცა იქ მიწა ტომის სამფლობელოს წარმოადგენს, მხოლოდ ბალჩებია მიკუთვნებული შინაურ მეურნეობისადმი, მაგრამ მაინც იქ საჭირო არაა ჩვენი ფართო და დახლართული მმართველობის აპარატი. საქმეებს მონაწილეები სწყვეტენ და უმრავლეს შემთხვევაში, ყველაფერი საუკუნოებრივი ადათის წყალობით წესრიგდება". (**ფრ. ენგელსი**, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა", თარგ. გერმანულიდან გერ. ქიქოძისა გვ. 111).

სწორედ ამ თვალსაზრისით არის ჩვენთვის საინტერესო ხევსურეთი, ხევსურეთი, როგორც ნიმუში საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიის შესასწავლად, თორემ დღევანდელმა ხევსურეთმა, საბჭოთა ხელისუფლების დაუღალავი მზრუნველობით, უკვე დასტოვა თავისი პრიმიტიულობა და ახალი, სოციალისტური ცხოვრების გზას დაადგა. ამიტომ ამ ჩვენს წიგნში ლაპარაკი გვაქვს, როგორც უკვე ვთქვით, წარსულ ხევსურეთზე. ეს გარემოება მკითხველმა ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს. მართალია, ხევსურეთის ცხოვრების ყველაფერი ძველი რეაქციონური, ჯერ მთლად არ არის აღმოფხვრილი. ეს აღმოფხვრა ერთბაშად, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო, მაგრამ ხევსურეთი, ვიმეორებთ, უკვე შედგა იმ გზაზე, რომელზედაც **ლენინ-სტალინის** პარტიამ მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის **სტალინის** ხელმძღვანელობით დააყენა დედამიწის ერთი მეექვსედი.

ამგვარად, ჩვენ ვილაპარაკებთ ხევსურეთის ძველ საზოგადოებრივ წყობილებაზე და მკითხველმა არამცდაარამც არ უნდა იგულისხმოს, რომ ყველაფერი, რაც ამ წიგნშია მოთხრობილი, ამჟამადაც ძალაშია და მოქმედობს.

გვარები ხევსურეთში

ხევსურეთის საზოგადოებრივი წყობილების ძირითად ერთეულს გვარი წარმოადგენს. არის სამი მთავარი გვარი: **არაბული, ჭინჭარაული** და **გოგოჭური**. ხევსურების თქმით, ეს სამი გვარი წარმოშობილა სამი ძმისაგან: არაბას, ჭინჭარასა და გოგოჭასაგან. არაბა არაბივით შავი ყოფილა, გოგოჭა კი ტანად პატარა ყოფილა. ამ ნიშნების გამო დაურქმევიათ ეს სახელები. მესამე ძმა მცირეწლოვანი და კოჭლი ყოფილა. ძმები დასახლებულან სოფ-

გუდანში. შემდეგ გაყრილან. გაყრისას, ჩხუბი მოსვლიათ. არაბას ხელი უკრავს უმცროსი ძმისათვის და ჭინჭრებში გადაუგორებია. ამის შემდეგ დარჩმევია მას ჭინჭარა. გაყრისას, წილისყრით, არაბას რგებია ადგილი ბაცალიგო, გოგოჭას—ჭორმეშა, ჭინჭარას კი —გუდანი. ასეთია გადმოცემა.

ეს სამი გვარი რიცხვით მეტია ვიდრე დანარჩენი გვარები. მათ ჰყავდათ საერთო საგვარეულო ჯვარი—გუდანის ჯვარი. წელიწადში ერთხელ ეს სამი გვარი თავს იყრიდა ამ ჯვარის გალავანში საერთოდ სალოცავადა და გვარული ნათესაობის გასამტკიცებლად. ასეთი შეკრება, ზოგჯერ, წელიწადში რამდენჯერმეც ხდებოდა. მათი ნათესაური კავშირი იმდენად მტკიცედ იყო დაცული, რომ ურთიერთში ქალის გათხოვება აკრძალული იყო იმ დრომდე, ვიდრე ჩამომავლობა ოცი-ოცდაათი თაობით არ დაშორდნენ ერთმანეთს.

სამივე გვარი დასახლებულია სხვადასხვა სოფელში. ზოგი მათგანი ძლიერ არის ერთმანეთს დაშორებული. იმის გამო რომ ეს გვარები, გადმოცემის თანახმად, ერთი ოჯახიდან არის წარმოშობილი, გამრავლებულია და მთელს ხევსურეთშია დასახლებული. ამიტომ ეს გვარები ხევსურეთის მოსახლეობის თავდაპირველ, ფუძემდებელ გვარებად უნდა ჩაითვალოს.

არაბულების გვარი სამ ფრატრიად ანუ თემად არის გაყოფილი. ერთს ეწოდება—რკინაულის თემი, მეორეს—ბიჩინაგურის თემი და მესამეს—ფიცხელაურის თემი. რკინაულები სახლობენ სოფ. ჩირდილში, ხიტალეში, წინ ხადუსა და ზეისტეჩოში; ბიჩინაგურები—სოფ. დათვისში, ჯუთასა და ზეისტეჩოში; ფიცხელაურები—ბაცილიგოში, ჩხუბოში, მოწმაოში, ოხერხევში, წინხადუში, გველეთსა და ბარისახოში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ხევსურეთში თემი არ შეიცავს ტერიტორიალური ერთეულის ცნებას, არამედ გვარის ერთობლიობას.

ჭინჭარაულის გვარს ორი ფრატრია (თემი) აქვს: **მგელიაურისა** და **უურდღელაურისა.**

რადგანაც ეს სამი გვარი მთელს ხევსურეთშია დასახლებული სხვადასხვა სოფელში, ამიტომ, ერთსა და იმავე სოფელში ხშირად სახლობს სხვადასხვა თემის წარმომადგენელი.

ამ სამი მთავარი გვარის გარდა, სხვა გვარებიც არის: **ხალიქოკო** გვარეულობა: იყოფა სამ თემად: **ჩალხურისძედ**, ანუ **ჩალხურის თემად, ხახონაურიძედ**, ანუ **ხახონაურის** თემად, და ხუნ-

ჩალაურის ძედ ანუ ხუნჩალაურის თემად. ამჟამად ეს სამივე ფრატრია, ანუ თემი, ერთ გვარზე იწერება—ლიქოკელის გვარზე, და ლიქოკის ხეობაში სახლობს. ხახონაურები და ხუნჩალაურები სისაურის მოდგმისანი არიან, ანუ ხახიტაშვილების თაობისა არიან. ამათში სისხლის აღრევა, ე. ი. ქალის გათხოვება, სასტიკად აკრძალული იყო.

ამ ხეობაში კიდევ სახლობს ბასხაჯაურის გვარი.

როგორც ხევსურები ამბობენ, ჩალხურისძე გადმოსახლებულია ჩალსისწყლიდან (კახეთი), ბასხაჯაურები თურქთა მოდგმისანი არიან. მათი წინაპარი ხევსურეთში დარჩენილა ოდესღაც ომიანობის შემდეგ. ეს გვარი სულ რამდენიმე კომლისაგან შესდგება და სახლობს ჭალისსოფელში (ლიქოკის ხეობაში*); ხახონაურისა და ხუნჩალაურის ფრატრიები ხუთ სოფელში სახლობენ: მაღრანში, აკუშოში, კიმხაში, ქობულოსა და აჭეში. ჩალხურისძენი, დასახლებულნი არიან სოფელ ბაგჩვილოსა და კარწეულთაში. სისაურები გადმოსახლებულები არიან ქისტეთიდან. ამ გვარის ერთი ნაწილი ბინადრობს ლიქოკის ხეობაში, ზემოთაღნიშნულ ხუთ სოფელში, მეორე ნაწილი კი, განაყარნი, — სოფ. ძიძეთსა და ბუშარანაში (კახეთში). მესამე განაყარნი სოფ. შატილში. შატილიონები (შატილელი) სისაურები ამჟამად სხვა გვარზე იწერებიან, მაგრამ სისაურების გვარის დანარჩენ წევრებთან სისხლით ნათესაობას არა წყვეტავენ, თუმცა საუკუნეებით არიან მათგან დაშორებულნი. საერთო წესისამებრ, აქაც, სისაურების გვარში (ამათ რიცხვში შატილელი სისაურებისაც) სისხლის აღრევა აკრძალული იყო.

სისაურების პირდაპირი განაყარნი ცხოვრობენ სოფ. შატილში, პირიქით ხევსურეთში. მათ ეწოდებათ ანატორელები.

შატილიონებსა და ანატორელებს შორის გვაროვნული ნათესაობა არ არსებობს, მაგრამ მათ შორის ქალის გათხოვება მაინც აკრძალულია.

ხევსურეთის მესამე მთავარ გვარს — გოგოჭურებს, — განაყარნი არა ჰყავს და ეს, ალბათ, იმით უნდა აიხსნას, რომ ეს გვარი რაღაც მიზეზით ვერ გამრავლდა ისე, როგორც გამრავლდა არაბულებისა და ჭინჭარაულების გვარი.

---

* ბასხაჯაურთა გვარი განცალკევებული გვარია და ხსენებულ გვართან ნათესაური კავშირი არა აქვს. ამ გვარის წარმომადგენლებს ჩვენ შევხვედით მხოლოდ რამდენიმე კომლს და ლიქოკის ხეობაში მისი შტოები არ შეგვხვედრია.

რკინაულების საგვარეულოში (ფრატრიაში) შედის რამდენიმე მამათთაობა:



მთავარი გვარის (არაბულების) პირველი განყარნი

რკინაულის თემი მრავალრიცხოვანია. დროთა განმავლობაში გამრავლების შედეგად მივიღეთ მეორე სახელწოდების გამრავლებული გვაროვნული ფრატრია:



მთავარი გვარის (არაბულების) მეორე განაყარნი

ამ მთავარი გვარის მეორე განაყარნი კიდევ არიან. ისინი ბიჩინაგურების ფრატრიაში ირიცხებიან, მაგრამ ხევსურული წყობის ნათელსაყოფად საკმარისია გვაროვნული ტოტით აღვნიშნოთ მამათა თაობა.



მთავარი გვარის არაბულ-
ბის) მესამე გან-ყარნი

როგორც ვხედავთ, რკინაულების, ბიჩინაგურებისა და ფიცხელაურების მოდგმა შედგებოდა ჯერ სამი პატარა გვაროვნული ფრატრიისაგან, მერე კი არაბულების გვარის დიდ ფრატრიად, მრავალრიცხოვან გვაროვნულ ძმათა საზოგადოებად გადაქცეულა. ყოველი ფრატრია ამაყობს თავისი განსაკუთრებული სახელწოდებით — რკინაულები თავიანთ რკინაულობით, ბიჩინაგურები — ბიჩინაგურობით და სხვ.

ყველა ხევსური, ქალი თუ კაცი, ორ სახელს ატარებს (ზოგ-ჯერ სამ-სამ და ოთხ-ოთხ სახელსაც) — ერთს ნათლობისას, მეორეს ნართაულა სახელს, რომელიმე საგნის სახელს, რომელიც ადამიანს სიპეჩავით ან სიმამაცით დამსახურებული აქვს თავის თემსოფელში. ამის მიხედვით იცვლება ძირეული გვარი, მაგრამ ეს არ იწვევს სისხლით ნათესაობის დაკარგვას. ამის მაგალითია ის, რომ ფიცხელაურების ფრატრიიდან ზოგი ფიცხელაურებად იწერება, ზოგი კი ისევ ძველ გვარზე — არაბულზე. რკინაულებისა და ბიჩინაგურების ფრატრიები კი, ყველანი, არაბულებად ითვლებიან. მგელიაურისა და ყურდღელაურის ფრატრიები ჭინჭარაულებად იწერებიან. ხევსურების სიტყვით წმინდა არაბულები სოფ. წინსადუში ცხოვრობენ და იყოფიან მამათა ოთხ თაობად:



ამ შტოში მოთავსებული თაობაც წმინდა არაბულებს ეკუთვნის და სახლობს სოფ. ბარისახოში.

მეორე მთავარი გვარი — ჭინჭარაულები — ორ მთავარ ფრატრიად გაყოფილია — ერთია **მგელიაურების** გვარი, მეორე — **ყურდღელაურებისა:**



მთავარი გვარის (ჭინჭარაულების) პირველი განაყარნი

მთავარი გვარის (ჭინჭარნაულების) ძეორე გახაყარნი

მესამე მთავარი გვარი — **გოგოჭურები,** — ერთ კარგად მოზრდილ გვარს წარმოადგენს და ფრატრიებად არ იყოფა. ეს გვარი სახლობს ოთხ სოფელში: ატაბეში, ბუჩუკურთაში, გუროსა და ჭორშეშაში. მისი შემადგენლობა ასეთია:



როგორც უკვე ვთქვით, სამ მთავარ გვარს გარდა, ხევსურეთში სხვა გვარებიც არის. ამათში პირველია **ლიქოკელების** გვარი. სახლობენ ლიქოკის ხეობაში. ლიქოკელები სხვადასხვა წარმოშობისანი არიან, შედგებიან ოთხი გვარისაგან, მაგრამ ლიქოკელებად იწერებიან. ამ ოთხში სამი გვარი მთავარია და ასეთი მამათა მოდგმა აქვთ:



ლიქოკელების მთავარი
გვარია პირველი
განაყარნი



ლიქოკელების მთავარი გვარის მეორე განაყარნი



ლიქოკელების მთავარი გვარის მესამე განაყარნი

მეოთხე გვარია **ბასხაჯაურების** გვარი. ოთხივე გვარში აკრძალულია ერთმანეთში ქალის გათხოვება.

ლიქოკელების შემდეგ მეორე ადგილი უჭირავთ **წიკლაურებს**. ესენი სახლობენ სოფ. როშკაში, ბლოში, ამღაში, საბერწესა და გარბანფაფარენაში. ამ სოფლებში მცხოვრები წიკლაურები ერთ ფრატრიას წარმოადგენენ:



წიკლაურების გვარს ხევსურები არა სცნობენ ხევსურეთის ფუძემდებელ გვარად, მაგრამ სიმრავლით თითქმის რომ ყველაზე ძლიერი გვარია, და ამ მხრივ არაბულების გვარსაც კი ეჯიბრება.

მთლად წიკლაურებით დასახლებულია სოფ. ამღა (პირიქითა ხევსურეთშია). ამ წიკლაურებში სხვა გვარების ჩამომავალნიც

არიან, მაგრამ ამჟამად წიკლაურებად იწერებიან და ამიტომ წიკ-ლურების ჯგუფში მოვათავსეთ.

წიკლაურების გვარში შედის **ზარიძეების** გვარი. ცხოვრობს სოფ. ხორნაულთაში.



ზარიძეების განაყარნი ცხოვრობენ ფშავისხევშიც, სოფ. კა-წალხევში და ხორნაულებად იწერებიან. როგორც ჩანს, ამ გვარის ეს შტო თავის ძველ მოსახლეობის ადგილთან, სოფ. ხორნაულთან-თან კავშირს არა წყვეტენ და ამიტომ გვარიც ამ სოფლის სახე-ლიდან გაუკეთებიათ — **ხორნაულები.** მაგრამ მათი ძირეული, ძვე-ლისძველი გვარი ორია: წიკლაური და ზარიძე.

სოფ. ქმოსტაში ორი მთავარი გვარია—**ველთაურა** და **ბურ-დული.**





სოფ. ხახმატში დასახლებულია **ალუდაურების** გვარი. იყოფა სამ მამათა თაობად.

სოფ. ბისოში მოსახლეობს **ქეთელაურების** გვარი. ამათი განაყარნი სახლობენ სოფ. სახილეში.



ხუთი გვარი — **ოჩიაური, ბალიაური, ნაროზაული, ცისკარაული** და **ჯაბუშანური,** ცხოვრობს სოფ. ახიელში.

სოფ. ჭიმლა სხვადასხვა გვარებითაა დასახლებული: გაბურებით, თეთრაულებითა და გიგაურებით. ამათ შორისაც აკრძალულია ქალის გათხოვება, თუმცა სხვადასხვა გვარისანი არიან.



სოფლები — ახიელი, ჭიმლა და კვირიწმინდა, და აგრეთვე სოფ. ამლა, რომელიც წიკლაურებითაა დასახლებული არხოტის მხარეშია.

ცისკარაულებისა და ნაროზაულების გვარები მახლობლები არიან ოჩიაურის გვარისა. მათი გვარი წარმოშობილია ერთი მაში-

ნაგან. ოჩიაურები წინად გაბიდაურები ყოფილან. გაბიდაურების შემდეგი გაგრძელება ჯორჭიაულის გვარში გადადის. მათი განაყარნი არიან ოჩიგაურები, ცისკაურელები და ნაროზაულები.



ბალიაურებსა და ჯაბუშანურებს ძველად განაყარნი არა ჰყვანან. ჰყავთ ახლად გაყრილები ძმები, ბიძაშვილები. ესენი მეტად მცირერიცხოვანნი არიან და გვაროვნული წყობილების ძლიერ სუსტ ჯგუფს წარმოადგენენ.

საინტერესოა ერთი ფაქტი: სოფ. კვირიწმინდაში ცხოვრობს ერთი კაცი თორღვა შუქიაური 120 წლისა. შუქიაური არხოტის თემში მისული კაცია. მას არც მახლობელი ჰყავს, არც შორეული ნათესავი.

ლიქოკელები, წიკლაურები და სხვებიც, შემდეგ არიან დასახლებულნი ხევსურეთში, არ ეკუთვნიან ხევსურეთის ძირეულ გვარებს, მაგრამ მათთან შედარებით, ნაკლებად არ არიან გამრავლებულნი.

საერთოდ, გვარები ისე არიან გაბნეულნი მთელს ხევსურეთში, რომ მათი გვაროვნული სათავისა და კავშირის მონახვა მეტად ძნელია. ზემოთდასახელებული თორღვა შუქიაური, თურმე, გიგაურების გვარისაა. გიგაურები, ზოგი მის მეზობლად ცხოვრობს სოფ. კვირიწმინდაში, ზოგი სხვადასხვა სოფელშია გაბნეული, ზოგი კახეთშია გადასახლებული. ასე რომ, თორღვა გვარდაკარგული არ

არის, თუმცა ნათესავები არა ჰყავს. სამწუხაროდ თორღვას პირადად ნახვა ვერ მოხერხდა, თორემ, ალბათ, დამისახელებდა თავის გვარის თაობათა ჯგუფებს.

გვაროვნული წყობა

გვარით (სისხლით) ნათესაობა აუცილებლად მამრობითი სქესით შიმდინარეობდა: პირველი ადგილი უჭირავს შვილს, მეორე-ძმას, მერე ბიძაშვილს, შემდეგ გარეთა ბიძაშვილს და ბოლოს კი მთელი გვარი შეადგენს ერთ სისხლით ნათესაობას. ასეთ საგვარეულო ნათესაობის გარდა, უახლოეს ნათესავად ითვლება სიძე, რძალი, სიძის დედმამა, ანუ მძახლები. ხევსურეთსა და ფშავში ძმათაშვილებსა და დათაშვილებს **შინში** ჰქვიათ.

469

გვაროვნული კავშირი მეტად მტკიცეა. ზემოთ ჩვენ ზოგადად ვთქვით, რომ ერთი გვარის, ხშირად კი, რამდენიმე გვარის წარმომადგენელთა შორის ქალის გათხოვება აკრძალულიაო. ეს მაშინაც კი ხდება, როცა ერთისა და იმავე გვარის ოჯახები მრავალი თაობით იყვნენ ერთმანეთს დაშორებულნი. ამ აკრძალვის სისასტიკეს იმით უფრო დავინახავთ, თუ ძველდელობაში მივიღებთ, რომ ამ აკრძალვის ძალით ერთი გვარის ხევსური ქალ-ვაჟი ვერ შეუღლდებიან და, მაშასადამე, დედის მხრით ხევსურებში ნათესაური სისხლის აღრევა სავსებით გამოთიშულია. ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელი და დამადასტურებელია, რომ ხევსურეთში ნათესაობათ მხოლოდ გვარით ჩამომავლობა ითვლება. სისხლის აღრევის შიში იქამდის იყო მისული, რომ ტერიტორიალური მეზობლობაც კი კრძალავდა ურთიერშორის ქალის გათხოვებას, თუნდაც სხვადასხვა გვართა შორის. მაგრამ ამ აკრძალვას მარტო ასეთი ნათესაური და ტერიტორიალური ერთობა არ უდევს. რადგანაც ხევსურეთში ყოველ გვარს თავისი საკუთარი ხატი ჰყავდა, და ერთი ხატი კიდევ რამდენიმე გვარს, და ესენი ყველანი ამ ხატის ყმებად ითვლებოდნენ, ამიტომ ამათ შორისაც აკრძალული იყო ქალის გათხოვება. ამრიგად სისხლის აღრევის აკრძალვას, რასაც საფუძვლად უდევს ძველთაგანვე მოყოლილი სისხლთ ნათესაობა, სარჩულად საერთო სალოცავიც დასდებია.

მაგრამ გვაროვნული კავშირი მარტო ამით არ განისაზღვრება. გვარი, გვარის თითოეული წევრი, ისე იცავს თავისი გვარის მეორე წევრს, თუნდაც მრავალი თაობით დაშორებულს, როგორც ღვიძლ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმას. სადმე სოფელში გვარს რამე უბედურება რომ ეწვიოს, მეორე სოფლიდან გვარი უნდა დაეხმაროს. თუ სოფელში რაიმე მიზეზით გვარი მთლად გადაშენდება, მეორე სოფლიდან იმავე გვარის წარმომადგენლები უნდა დასახლდნენ იქ, რათა მათი გვარ-ტომის ძირეული ნათესაობა არ „გაცივდეს", არ მოისპოს.

სისხლის აღებაც გვარზე იყო: ორ გვარს შუა სისხლი რომ ჩამოვარდეს, საქმეს დედით ნათესაობა ვერ უშველის, — მაგ., დედის მხრივ ბიძაშვილობა ან მამიდაშვილობა. ესენი მოსისხლე მტრებად გადაიქცევიან, რადგანაც მთავარია გვარის სახელი და პატივი. უთანხმოება, სისხლის აღება იშვიათად, მაგრამ მაინც იყო დეიდაშვილებსა, დედისძმისწულებსა, მამიდაშვილებს შორის, ძმათაშვილებშიც კი.

განსაკუთრებით მტკიცე იყო, თითქოს გვარით ნათესაობაზე მეტად, ნათელ-მირონობით ნათესაობა. აქ შეუძლებელია შუღლი, უსიამოვნება, სისხლის აღება. ასეთი ნათესაობა დიდ ხანს გრძელდება. ნათელ-მირონთა შორისაც აკრძალულია ქალის გათხოვება. გვარ-სისხლით ნათესაობა კი უამრავ თაობამდე გრძელდებოდა (თუმცა, ზოგი მოხუცი ხევსურის თქმით, ცხრა თაობამდე გასტანდა ხოლმე).

ყველა ზემოთქმულის გამო ცხადია, რომ მემკვიდრეობაც მამრობითი სქესის ხაზით მიდიოდა. ოჯახის მთელი ქონება რჩებოდათ ვაჟიშვილებს და ქალიშვილებს არავითარ შემთხვევაში არა. თუ ოჯახში არ იყო ვაჟი—მემკვიდრე, ქონება გადადიოდა გვარით ახლონათესავზე—ძმაზე, ძმისწულზე. შემდეგ ბიძაშვილზე, გარე ბიძაშვილებზედაც კი.

მაგრამ ამითაც არ ამოიწურება გვაროვნული კავშირი. როგორც ვთქვით, გვარს საერთო სალოცავი (ხატი, ჯვარი) ჰყავდა და ეს აკავშირებდა გვარს, ვიმეორებთ, იდეოლოგიურად. მოხსენებული გვქონდა, რომ სოფ. ამღაში მთლიანად წიკლაურები ცხოვრობენ. მათ შორის არიან ძალიან მახლობელი ნათესავებიც და ძალიან დაშორებულნიც, სულ სხვა მოდგმისანიც კი, მაგრამ რაკი ისინი ერთ სოფელში ცხოვრობენ. ჰქონდათ საერთო სასოფლო ხატი, სასაფლაო და მიწა, ამიტომ ისინი ერთგვაროვნულ ჯგუფს წარმოადგენდნენ.

გვაროვნული, გვარის, სიმტკიცის დასანახვებლად ასეთ მაგალითს ვიტყვით: ვთქვათ ერთი გვარის ორ კაცს — საჩინასა და ალუდიკას — რამე ჩხუბი, შუღლი, მოუვიდათ. დაეაში საჩინას თა-

ვისი ბაბლობლები მიეშველებიან, ალუდიკას — თავისები, მაგრამ თუ ამ დროს მეორე გვართან მოხდა შუღლი, მაშინ საჩინა და ალუდიკა და მათი მახლობლები შესწყვეტენ შუღლს და ერთად იბრძოლებენ იმ მეორე გვარის წინააღმდეგ.

ხევსურეთის გვაროვნული წყობის შინაარსი ისეა დაზუსტებული, წყობილი, რომ კვლევის დროს არავითარ გაუგებრობას არ იწვევს.

საერთოდ, დიდი პატივი იმ გვარს აქვს, რომელიც თავს მტკიცედ იცავს, რომელსაც თავი არასოდეს შეურცხვენია გვარ-სისხლის წარყვნით. ამ სულ ბოლოდრომდე, შატილიონებს ერთი დიდი უპირატესობა ჰქონდათ. შატილიონების ქალის თხოვება სიძეს ძალიან ძვირად უჯდებოდა. შატილიონების ქალის წაყვანა დიდ პატივად ითვლებოდა და ამიტომ, სიძე დიდად იბეგრებოდა, ხოლო თუ შატილიონელი ირთავდა სხვა გვარის ქალს, ასე ძლიერად არ იბეგრებოდა, არამედ იბეგრებოდა ქალის მხარე. **საბჭოთა ხელისუფლების გავლენით, შატილიონების ეს პრივილეგია გაუქმდა.**

რომელიმე გვარს რომ ვენერიული სენი რამ შეამჩნიონ—თუმცა ეს მოვლენა ძალიან იშვიათია ხევსურეთში, — მას **დამპალს** უწოდებენ, და იქ არა თუ არ გაათხოვებენ ქალს, ან მოიყვანენ იქიდან, არამედ ახლოც არ გაჭაჭანდებიან.

გვაროვნული კავშირის გასამტკიცებლად კაცები ერთმანეთში დადიან როგორც ჭირში, ისე ლხინში. ყოველ წლისთავზე უეჭველად ინახულებენ ერთმანეთს, გვაროვნული ალერსით მოიკითხავენ, გაიხსენებენ წარსულს, შეაფასებენ აწმყოს, მომავალს. ეს კავშირი ბორციელდებოდა **ათენგენობას.** ნათესაური მიმოსვლა აქვთ აგრეთვე დისწულებში, დედით ბიძებში, მოყვრებში (ქმრისა და ცოლის დედმამის ოჯახში). მისვლა-მოსვლის საბაბია — ქალის გათხოვება, შვილის შეძენა, ცოლის შერთვა. მოაქვთ მოსაკითხავი — არაყი. ახალწელიწადს — ბედისკვერი, ერთი ხმიადი, ხავიწიანი ქადა, არაყი.

საზოგადოებრივი წყობილება

გვარს ჰყავდა ერთი ამორჩეული კაცი — **კითხული კაცი.** კითხული კაცი, რასაკვირველია, ჭკვიანი, გამოცდილი, ბრძენი უნდა ყოფილიყო უიმისოდ გვარში არ გადაწყდებოდა არც ერთი, თუნდაც წვრილმანი საქმე. ყოველ გასაჭირში მას ეკითხებოდნენ როგორც საერთო საგვარეულო, ისე სათემო-სოფლო საქმეს. კითხული კაცი მსაჯულიც იყო, თემსოფლის საქმეთა მომრიგებელიც, გვარის წინამძღოლიც.

ასეთი კითხული კაცის გარდა, ძველად ხევსურები (და ფშაველებიც) ირჩევდნენ თითო ჭკვიან კაცს. ასეთ კაცს ხევსურეთში **მომრიგებელი — მრჩეველი** ეწოდებოდა (ფშავში — **ბრძენი**). ახლაც ახსოვს ხალხს ბრძენი ადამიანები — **დათვია ხახუაისძე** (ხევსურეთში) და **ჭულურა ყულუნჩაური** (ფშავში). ბრძენ კაცებს ირჩევდნენ განუსაზღვრელი დროით. ისინი მთელს თავიანთ სიცოცხლეში განაგებდნენ ხეობას.

ამათთან თანაბრად ირჩევდნენ კიდევ ხუთ კაცს.

ამორჩეულთა სიტყვა კანონი იყო. თუ ხევსურებსა და ფშაველებს რამე შუღლი მოუვიდოდათ, მის გადასაწყვეტად იწვევდნენ ამ ბრძენ კაცებს. რასაც ისინი გადასწყვეტდნენ, იმის თანახმანი იყვნენ ორივე ხეობის მცხოვრებნი.

შემდეგში, ისტორიულ პროცესში, ასეთი ბრძენი კაცების ინსტიტუტი შესცვალეს **დეკანოზებმა და ხევისბერებმა**.

დიდი საქმეები ირჩეოდა ბრძენი კაცების უზენაეს საბჭოში, მაგრამ სანამ აქ გადაიტანდნენ საქმეს, მას არჩევდნენ თითოეულ თემში ცალცალკე. ამრიგად, იყო კიდევ ერთი ორგანო, ქვემდგომი, რომელსაც ახლაც ასე ეწოდება — **მობჭენი**. ეს იყო სოფლის სამედიატორო სასამართლო, ანუ სოფლის საბჭო.

მთელ ხევსურეთში ირჩევდნენ კიდევ ეგრედწოდებულ **კუთხა-კუთხის** კაცებს. სულ ირჩევდნენ ოთხ კაცს. ესენი წარმოადგენდნენ მთელი ხეობის უმაღლეს საბჭოს და არიგებდნენ გვართა შორის აღძრულ საქმეებს.

რასაკვირველია, ირჩევდნენ ისეთებს, რომლებიც ცნობილნი იყვნენ ჭკუით, სიდარბაისლით. თუ მოკვდებოდა ან რამე მიზეზით გამოვიდოდა საბჭოდან რომელიმე წევრი, მაშინვე ირჩევდნენ სხვას, ისეთს, რომელიც უკვე დიდი ხანი ჰყავდა ხალხს თვალში აწონ-დაწონილი, შესწავლილი, ნაცადი ზნეობრივი სიფაქიზის მხრით.

ამრიგად, ხევსურეთში სამი საზოგადოებრივი დაწესებულება იყო: ბრძენი კაცები **მრჩეველნი** (უზენაესი), თემის (სოფლის) — **მობჭენი** (ქვემდგომი) და **კუთხა-კუთხის** ხალხი.

დიდი სათემო საქმეების გასარჩევად სამი ადგილი ჰქონდათ: პირველი — სოფ. ოხერხევის გორის ბოლოში; მეორე — საირმიაზეღულისჭალაში; მესამე — გიგაურთის ველში, ანუ სოფ. მოწმაოსჭალაში. დიდი საქმეების გარჩევაზე მიიტანდნენ ხოლმე ორ მთავარ დროშას — გუდანის ჯვრისას და კოპალის ჯვრისას. ესენი

ყველაზე მეტად აშინებდნენ ხალხს და იყო სიმბოლო დამთრგუნველობისა.

როცა ერთი გვარის საქმე ირჩევოდა, ამაში მეთაურობდა მარტო ამ გვარის კითხული კაცი, მაგრამ როდესაც ირჩევოდა სათემ-სასოფლო დიდი საქმე, მაშინ იწვევდნენ კუთხა-კუთხის კაცებს და მთელი ხეობის მომრიგებელი მრჩეველები ბრძენის მეთაურობით არჩევდნენ საქმეს. საქმე გრძელდებოდა რამდენიმე დღეს. დღით და ღამით შეუწყვეტელი სჯა-კამათი ისეთი ცოცხალი, ბრძნული აზრებით სავსე, რომ უცხო მაყურებელი განცვიფრებაში მოდიოდა. იქ არც ბრალმდებელი იყო, არც დამცველი, არც ჯალათი, არც ჟანდარმერია, არც ცრუ მოციქული მღვდელი; დამნაშავეს არც ციხე აშინებდა, არც სახრჩობელა. დამნაშავეს აშინებდა თემ-სოფლის მსჯავრი, გაკიცხვა, შეჩვენება და წელში გამწყვეტი დაბეგვრა-დაჯარიმება. განაჩენის სამართლიანობაში კი არც ერთ ხევსურს ეჭვი არ შეუვიდოდა. ყოველნაირ მსჯავრს, გამანადგურებელსაც კი, იგი უყუყმანოდ ემორჩილებოდა.

მოსამართლეები მსჯელობდნენ სრულიად მიუდგომლად, სიმართლითა და ხევსურული რჯულის (სამართლის) წესების სრული დაცვით. ისინი თავს ვალდებულად თვლიდნენ ეხელმძღვანელათ ასეთი პრინციპით:

„ბერო, ბერობას ნუ შჩივი,
მაკლებას თვალებისასა,
ეცადე ჭკვა-გონებასა,
რიგებას თემ-სოფლისასა,
სწორ-სწორად გაჯავრდომასა
თავისასა და სხვისასა,
ჯერ ბოლოს გაიკეთებდი
მერმ გზასა სულეთისასა“.

ამ მორალის საილუსტრაციოდ მოგითხრობთ ერთ ამბავს. ჩემი იქ ყოფნის დროს არხოტის თემში იყო ერთი განთქმული, ბრძენი კაცი, კითხული კაცი, თათია ბალიაური, მახვილი გონების პატრონი. მთელ არხოტის თემში დიდ კითხულ კაცად ითვლებოდა, მაგრამ ფიცხი იყო, ყველაფრის სწრაფად ამთვისებელი. ერთხელ თემში მან რაღაც დანაშაული ჩაიდინა. მთელ თემში კაცი ვერ ნახეს, რომ მისი გასამართლება შესძლებოდა. რაკი ვერ გაასამართლეს, მან თითონ გამოუტანა განაჩენი თავის თავს და თავი მოიკლა თოფით.

რმის დროს ან მტრის შემოსევისას, ხალხის სარდლობა ეკისრებოდა მთავარი ხატის დეკანოზს.

ხევსურეთი მთის ხალხთა შორის ისეთი ხალხია, რომელმაც შეჰქმნა ყველაზე თავისებური ყოფა-ცხოვრება. თითქმის ყველა ის საყოფაცხოვრებო მოვლენა, რაც ახასიათებს, მაგ., — ამერიკის ძველ ბინადართ — იროკეზებს, — ხევსურებსაც ახასიათებს. იროკეზების ხალხის მრჩეველ, ჭკვიან კაცს ეწოდებოდა **სახემი.** ხევსურეთში ასეთ კაცს—**კითხული** კაცი. იროკეზების ხალხურ საბჭოში შედის რამდენიმე სახემი და დანიშნულ ადგილას მათს შეკრებას ჰქვია „სახემების საბჭო"; ანალოგიურ დაწესებულებას ხევსურეთში ეწოდება **„კუთხა-კუთხის ხალხის საბჭო".** იროკეზების სამხედრო ბელადები საზოგადოებრივ როლსაც თამაშობდნენ; ხევსურეთშიც ასეთები იყვნენ **მომრიგებელი მრჩეველები, ბრძენი კაცები** და სხ.

ხევსურეთში მთავარი სალოცავი იყო **გუდანის ჯვარი.** ამ ჯვარის საკუთარ საყმოდ ითვლებოდნენ არაბულები, ჭინჭირაულები და გოგოჭურები. რადგანაც ესენი წარმოადგენენ ხევსურათის ფუძე, ძირეულ მოსახლეობას და ყველაზე მრავალნი არიან, ამიტომ ლაშქრობაში მთავარი როლი ამათი იყო; მათივე ხატი იყო ომში წინამძღოლი. სხვა გვარები კი მხოლოდ ემორჩილებოდნენ მათ. გუდანის ჯვარის წინაშე ყველა ხევსური დებდა ფიცს გამარჯვებისათვის. ამრიგად, ხევსურეთის ლაშქარი გუდანის ჯვრის ერთ დიდ ფრატრიად შეიძლება განვიხილოთ. ომს სარდლობდა გუდანის ჯვრის დეკანოზი. ამას გარდა, ყველა გვარს თავისი სალოცავი ჰქონდა.

დეკანოზი შეიძლება ყოფილიყო კითხული კაციც. ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე პატარა თემ-სოფლის ხატის დეკანოზი მთელი ხევსურეთის კითხულ კაცად გამხდარა.



დეკანოზები (გუდანის ჯვრისა და კოპალასი) ლაშქარს რომ მეთაურობდნენ, ეს სულ ძველად ყოფილა. შემდეგ კი, ასეთ მეთაურად გამხდარა ევრეთწოდებული **გავედიანი** კაცი, ადამიანი, განთქმული სიმამაცით, გამჭრიახობით. ასეთ კაცს ჯარის მეთაურად არც ირჩევდნენ, არც ნიშნავდნენ. ლაშქრობაში ის თავისთავად ხდებოდა მეთაური, როგორც გულადი, გონიერი ადამიანი.

საარწმუნოებრივი კულტი

ხევსურები ხატს ისე არ უყურებდნენ, როგორც ეკლესიას უყურებდენ საერთოდ სხვაგან. ხევსური ხატში „სულის საცხონებლად" არ მიდიოდა. ხევსურისათვის ხატი დამხმარე, მშველელი იყო **ყოველგვარ საქმეში.**

ხატი (ჯვარი) მრავალია ხევსურეთში. მაგრამ მთავარი ოთხია — **გუდანის ჯვარი, მთავარანგელოზის ჯვარი, ხახმატის ჯვარი,** და **ლიქოკის ჯვარი.**

ლიქოკის ჯვარში ბრძანებლობდნენ **კოპალა** და **იახსარი.**

ეს ჯვარი გამოდიოდა, ასე ვთქვათ, მაცდურის (ეშმაკის) გზაზე დამდგარის მხსნელი, ე. ი. უბედურებისაგან მხსნელი. ვინც თავს მოიკლავდა, ზვავისაგან დაიღუპებოდა, წყალში დაიხრჩობოდა ლიქოკის ჯვარს შეავედრებდნენ. თუ ხალხს რაიმე საერთო გასაჭირი მიადგებოდა. მთელი თემი კოპალას ან იასხარის ჯვარს შეევედრებოდა განსაცდელისაგან დასახსნელად.

გუდანის ჯვარში „ბრძანებლობენ" "ღვთის მშობლისა" და გიორგის ხატები. გუდანის ჯვარი ორივე სქესის სამლოცველო იყო. ესეც, ვითომც, მფარველობდა ხალხს ყოველგვარ გასაჭირში.

ხახმატის ჯვარის დანიშნულება იყო უშვილოსათვის შვილის გაჩენა; მეტადრე მას ევედრებოდა ის, ვისაც ვაჟი არა ჰყავდა. ამ დანიშნულებისათვის, ხახმატის ხატში განსაკუთრებული ნიში დგას **მწევრის საფლავი;** აქ ორსულ დედაკაცს ან უშვილოს ფეხს შეადგმევინებდნენ, რომ შვილი გაეჩინა, მეტადრე ვაჟი. მწევრის საფლავზე ყოველ წელიწადს ურიცხვი საკლავი იკვლებოდა. აქ სალოცავად მოდიოდნენ ხევსურებიც. თუშებიც, ფშაველებიც. მწევრის საფლავის ნიშის თავზე ერთი ქვაა, როემლიც მამაკაცის სასქესო ორგანოს მოგაგონებთ. ალბათ, ხევსურები ოდესმე ფალოსის კულტის თაყვანისმცემლები იყვნენ.

მართლაც და, წარმართობის ნაშთების მხრივ ყველაზე საინტერესოა ეს ხახმატის ჯვარი. მას ლაშაზე ბუნებრივი მდებარეობა

აქვს. აღმოსავლეთით ჩაუდის წყარო სტექურა. მის გადაღმა აშენებულია სახლი მლოცავი (მეხატიონე) ქალებისათვის **საჯარე.** ქალებს აკრძალული ჰქონდა სტექურაზე გადასვლა. ეს იყო საზღვარი მათთვის სამლოცველოსთან. სტექურას აქეთა ნაპირზე კი არის ოდნავ დაფერდებული ვაკე, რომელზედაც დგას სხვადასხვა სახელწოდების ხატის ნიშები. აქ დგას მრავალწლოვანი დიდრონი იფ-

მწვერის საფლავი.

ნები, ვეებერთელა გაშლილი ტოტებით. ამ ხეების ჩრდილში ღრეობდნენ ხატიონები (ანუ მეხატიონები). ვაკეზე აქა-იქ, მეჩხერად ყრია დიდრონი ლოდები. ვაკის თავში, ჩრდილოეთის მხარეზე, აშენებულია მთავარი ხატის სახლი, რომელსაც ზევიდან გადმოჰყურებს **ხახმატის ჯვრის ციხე.** მის ახლოს ვერავინ გაივლიდა ვინც გაივლიდა მას დააჯარიმებდნენ ერთი საკლავით და უკანასკნელად გააფრთხი-

ლებდნენ. ხევსურების თქმით იქ იყო ქაჯეთის ციხიდან მოტაცებული, ძვირფასი ქვებით მოჭედილი ძროხის რქა და ოქროს ჩონგური.

მთავარი ხატის სახლში სამი ოთახია — **საკოდე, დარბაზი** და **საქობე.**

ხახმატის ჯვარს სამხრეთით ჩამოუდის ღარისთვალა, — პატარა არაგვის მდინარე. დასავლეთით აკრავს ბუნუელას ციხე და სოფ. ბისო.

მთავარი ხატის სახლის გვერდით მწკრივად იდგა სამი ნიშ-სხვადასხვა სამლოცველო დროშებისათვის. ქვემოთ, ვაკის ბოლოში არის **მწევრის საფლავის ხატი,** რაც იყო ძეობის სიმბოლო. როგორც ზემოთ ვთქვით, აქ სალოცავად და საკლავით მოდიოდნენ უშვილო და უვაჟო დედაკაცები. საკლავად აქ აუცილებლად თიკანი უნდა ყოფილიყო.

სტექურას გამოლმით, საჯარე სახლის პირდაპირ, ხატის პატარა ნიშია. მის წინ, მარიამობას, აუარებელი ბატკანი იკვლებოდა მლოცავი ქალების გასანათლავად. მლოცავი ქალი ბატკანს გადასცემდა ხატის მსახურს, **დასტურს.** მთავარი ხუცესი დაჰკლავდა ბატკანს. ყელიდან გადმოსულ სისხლს დედაკაცი შეუშვერდა ხელს, გაიბანდა და მერე უკანვე გადახტებოდა სტექურაზე. ხახმატის ჯვრის დღეობა აგვისტოში იყო, მარიამობას. აქ სალოცავად მარტო ხევსურები კი არ მოდიოდნენ, არამედ ფშაველებიც, თუშებიც, კახელებიც კი. მაგრამ, ეს ჯვარი, უმთავრესად, მაინც ქალების სალოცავი იყო. ქალებსა და ღვთისმშობლის შუა აქ შუამავლად, **მეშუედ** ქალებივე იგულისხმებიან—ანგელოზები. მათ ეძახდნენ **გიორგი ნალვარმშვენიერის მოდემომხრეს,** გიორგის **აზადს,** გიორგი ნალვარმშვენიერის **გათამამებულებს** (აზადი—თამამი), გიორგის **ყელღილიანებს.** ამ აზად ქალებში ყველაზე ძლიერი, თამამი და გავლენიანი ანგელოზი იყო—**სამძიმარა,** ანუ **სამძიმარა ხელანგელოზი.**

ამ ნალვარმშვენიერი გიორგისა და სამძიმარაზე ასეთი თქმულებაა დარჩენილი:

ხახმატში ყოფილა წმინდანი — **გიორგი ნალვარმშვენიერი.** მას ხატისათვის შეუყენებია (ე. ი. ბერად დაუყენებია) ჭორმეშელი **გახუა;** გახუა უცოლო ყოფილა. ნალვერმშვენიერი ქაჯეთს წასულა საომრად, გახუაც თან ჰყოლია. ქაჯებს გიორგი და მისი მხლებელნი დახოცილი კაცების თავ-ფეხებით მოუგერებიათ. გიორგი ადამიანის ხორცს ვერ მიჰკარებია. გახუა კი ხელოსანი ყოფილა და იგი შესულა ქაჯების ციხეში. მას ღვთისშვილები (ხატები)

შეჰყოლიან. გახუას გაუტეხნია ქაჯების კიდობანი, ათასნაირი გახ-ძითა და სიმდიდრით სავსე. ციხიდან გამოსასვლელად გიორგი ნალვარმშვენიერს გახუა ცხენის სტომაქში ჩაუსვია და ასე გამო-უყვანია, რადგანაც ქაჯები ცხენის სტომაქს ვერ მიეკარებოდნენ თურმე. ქაჯეთიდან წამოღებული ნადავლი გიორგი ნალვარმშენი-ერს ხევსურეთის ხატებისათვის გაუნაწილებია. ყველაზე მეტი კი თავისთვის აუღია. ნადავლში ყოფილა ძროხებიც, ხარებიც, ცხენე-ბიც. ყველაზე შესანიშნავი ყოფილა ერთი საოცარი ძროხა, რო-მელსაც დიდრონი რქები ჰქონია, 6—7 ლიტრის ტევადობისა. გი-ორგი ნალვარმშვენიერი ამ რქას გაცრილი ფქვილის ასაწყავად ხმაროობდა თურმე. ქაჯეთიდან წამოუყვანიათ ხუთი ქალიც. სამს ქართული სცოდნია. ერთ მათგანს **სამძიმარა** რქმევია. **სუქალასა** და **ხეითქალას** მარტო ქაჯური სცოდნიათ. სამძიმარას ღვთისმშობ-ლისათვის უთხოვნია, მომნათლეო:

„ქალ სამძიმარა გეხვეწებიო
მომნათლე, დედა მარიამოო,
ჩამიშვი მირვნის ქოთანშიო“.

მარიამს სამძიმარაც მოუნათლია, **აშექალაც** და **მზექალაც.** გა-ხუას სამძიმარა შეჰყვარებია. ზოგჯერ სიზმრადაც კი მოეჩვენებო-და ხოლმე, ხევსურულად ჩაცმული, და გახუას ის ხევსური ამირას ქალი ეგონა ხოლმე. გახუას სამძიმარასთვის უთქვამს, ჩემთან და-წექიო. ამის შემდეგ გახუას რაღაცა ჟღიარული შესმენია და ლო-გინზე დარჩენილა ქალის სამკაული. ქალი კი გამქრალა და მერე გახუას იგი აღარ უნახავს. ამის შემდეგ სამძიმარა აქადაგებდა გა-ხუას ასეთი სიტყვებით:

„ქალი ქალურად მოვირთვიდიო,
ბოსლით ჭერხოსა ამავხდიდიო,
საყურ-სამკაულ ავიხსნიდიო,
მეგრელაურსა გახუასაო
ამირთ ქალი ვეგონოდიო,
საცოლედ ვენდომოდიო“.

როდესაც ხახმატის ჯვარს ქაჯეთიდან ნადავლი მოუტანია, იმ დროს ხახმატში ორი მექოხე დედაკაცი ყოფილა: ერთი ვაჟის დედა, მეორე — ქალისა. ქალის დედას გაუხედნია, დაუნახავს მორეკილი საქონელი და უთქვამს:

— აუ, რამდენ საქონი ჩამდგარა მაგ ხახმატის ჯვარში, რა ნხელ ქალები ას. დაილოცა, ხახმატის ჯვრის საქმე იქნების!

ვაჟის დედას უთქვამს:

— ეშმაკებით ავსილა და ეშმაკების თხებით მეგნდაობა. ღმერთმა დასწყევლოს.

ხახმატის ჯვარი გარისხებულა და ვაჟის დედის შვილი ქალად უქცევია, ქალის დედის შვილი—ვაჟად.

ამ მთავარ ხატებს გარდა, სხვა ხატებიც იყვნენ: **სამებისა, დიდგორისა** და ეგრეთწოდებული **დამსჯელი** ხატი.

სამების ხატი განაგებდა ბუნების სტიქიურ მოვლენებს და მფარველობდა, განსაკუთრებით ჭირნახულს. თუ ავდარი იყო, დარს დააყენებს, თუ გვალვაა—წვიმას მოიყვანდა. სამების ხატს სოფლელები ყოველ წლივ და რიგრიგობით სწირავდნენ საკლავს. ამ საკლავს **სადარ-ავდროს** უწოდებდნენ.

დიდგორის ხატი ზოგადი მნიშვნელობისაა, ე. ი. ხალხს ვითომც ყველაფერში ეხმარებოდა.

დამსჯელი ხატი ბრძანებლობდა ბაცალიგოს თემში. დამსჯელი იმიტომ ეწოდებოდა, რომ თუ ორსული ან თვიურში მყოფი ქალი გაივლიდა მის მიდამოში, იგი დასჯიდა მას: „ცდომილის“ სხეული ლპობას დაიწყებდა, დასცვივდებოდა თმა, წარბები, ცხვირი. ასევე მოუვიდოდა მამაკაცსაც, თუ ცოლი ორსულობის უკანასკნელ თვეში ჰყავდა და ამ ხატის მიდამოში გაივლიდა.

სხვა ხატებიც არიან,—საგვარეულო, სათემო ხატები. მაგ., ზეისტეჩოს ხატი. ეს არის მხოლოდ არაბულებისა და მათი ქალდისწულების ხატი. არაბულის გვარის ქალს სხვა თემში გათხოვილს, მის შვილს, შვილისშვილს, ყოველ წლით მოჰყავდათ საკლავი ამ ხატისათვის.

ხევსური ხატობაში ვერ წავიდოდა, თუ საკლავი არა ჰყავდა, რადგანაც ასეთ მლოცველს ხატი არა ღებულობდა. ვერც ისეთი მამაკაცი მივიდოდა ხატში, რომელიც წინა სამი დღის განმავლობაში დარჩენილა თავის ცოლთან. ასეთ ხევსურს თუ რაიმე აუცილებელი საქმე ჰქონდა ხუცესთან (დეკანოზთან), შორიდან გამოუძახებდა მას. დეკანოზი წაიღებდა ლუდით სავსე ვერცხლის თასს, დაალევინებდა ხევსურს და გამოელაპარაკებოდა. დედაკაცთან ნამყოფი ხევსური კი ამ თასს ხელს ვერ მოჰკიდებდა. მოიხდიდა ქუდს, ორივე ხელისგულზე დაიდებდა. დეკანოზი ქუდზე დასდგამდა თასს და ხევსური ისე დალევდა ლუდს და ამრიგადვე გადასცემდა დეკანოზს.

ცოლ-ქმარს ერთად წოლა შეეძლოთ მხოლოდ ხუთი კვირის განმავლობაში, მეექვსე კვირას კი უნდა გაშორებულიყვნენ ერთმანეთს.

რადგანაც ხატობა ახლოვდებოდა და ცოლთან ნაწოლი მამაკაცი ვერ მოვიდოდა ხატში. დედაკაცს უფლება არა ჰქონდა ხატთან ახლოს მისვლისა. დედაკაცები შორიახლო სხდებოდნენ თავიანთი შვილებითა. პატარა გოგოებსაც, ხუთი წლისებსაც კი, აკრძალული ჰქონდათ ხატთან ახლოს მისვლა.

ვიმეორებთ, ხევსური ხატში იმისათვის კი არ მიდიოდა, რომ „სული ეცხონებია", არამედ მხოლოდ ყოველდღიური საჭიროების, ცხოვრების პირობების, საქმიანობის უკედ წარმართვის მიზნით. ადგილობრივი რწმენის თანახმად, თუ ადამიანი შრომობდა, ხატი დაეხმარებოდა ყოველგვარ გასაჭირში, საქონლის გამრავლებაში, მოდგმის „დასაძირკვლებაში", ააცდენდა ფათერაკიან გზას და სხ. ხატი მარტო კარგ საქმეში კი არ ეხმარებოდა ადამიანს, არამედ ცუდშიაც—ქურდობაში, ყაჩაღობაში, კაცისკვლაში. ასეთნაირ საქმეზე მიმავალი ხევსური ხატს საკლავს ჰპირდებოდა (წინდაწინ არ დაუკლავდა). საქმე უშედეგოთაც რომ დამთავრებულიყო, ხევსური ხატს დანაპირს მაინც შეუსრულებდა და საკლავს დაუკლავდა. სანადიროდ მიმავალი ხევსური ხატს ჯიხვის რქებს ჰპირდებოდა, და თუ მოჰკლავდა ჯიხვს, რქებს უეჭველად ხატს მოუტანდა. ამიტომაა, რომ ხატთან მუდამ აუარებელი რქები აწყვია. სანადიროდ სახლიდან გასვლისას ხევსური პირჯვარს იწერდა და ამბობდა: — ღმერთო, ნადირისა და მონადირის გამჩენო, მოგვიმართე ხელი, მოგვეცი ბრმისა და კოჭლის თავი მაინც (ე. ი. თუ კარგს ვერას მოვკლავ, უბრალო ნადირი მაინც მომაკვლევინეო).

საკლავის მაგივრად შეიძლებოდა რაიმე ძვირფასი ნივთის შეწირვა.

შეწირვათა გამო ყოველი ხატი მდიდარი იყო განძეულითა და ბიწა-წყლით. ამიტომ, ხევსურეთში, ხატი დიდი მემამულე იყო. ამ მამულით სარგებლობდა ხალხი, საერთოდ. ეს გამოიხატებოდა იმაში, რომ ამ მამულს საერთოდ ამუშავებდნენ და მოსავალსაც საერთოდ ხმარობდნენ ხატობაში. კერძო პირს ხატის მამულით სარგებლობის უფლება არა ჰქონდა. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში აძლევდნენ ბიწას გაჭირვებულს დასამუშავებლად. ასეთ გაჭირვებულს **ხატის ამანათი ჰქვიოდა.**

ამანათები ყოველ სოფელში იყვნენ თითო-ოროლა. უფრო ხშირად, კაცისმკვლელები; კაცისმკვლელი თავის თემში ვერ დარჩებოდა; უნდა გადახვეწილიყვნენ ისეთ თემში, სადაც მოკლულის ნათესავები ადვილად ვერ მისწვდებოდენ. იშვიათ შემთხვევაში ამანა-

თები შეიძლება იყვნენ გადმოსახლებულნი სხვა პროვინციიდანაც — ჭისტეთიდან, ხევიდან.

როგორი იყო ხატის მსახურთა შემადგენლობა?

ხევსურეთში მღვდელი არ იყო, მღვდელი არ სწამდათ.

უმთავრესია ხუცესი. ყოველ ხატს ჰყავდა ერთი ან ორი ხუცესი, მიწვეული ხატის მიერ ან ქადაგის მითითებით არჩეული. ხუცესი უვადოდ იყო არჩეული, სიკვდილამდე. ხუცესი ახალგაზრდა არ შეიძლებოდა. უნდა ყოფილიყო შუახნისა მაინც, დარბაისელი, პატივცემული. მისი მოვალეობა იყო ხატის საქმეების გამგებლობა: როდის მოიმკას ხატის მამული, როდის მოიხარშოს ლუდი. მასვე ევალებოდა დროშის მოვლა და ტარება, შესაწირავი საკლავის დაკვლა. მას ჰქონდა უფლება მისულიყო ხატთან, შეხებოდა მას და მის ნივთებს ხელით; იგი წინამძღოლობდა მთელ თემს, განაგებდა მის საქმეებს, შუღლის დროს ამშვიდებდა ხალხს, ლხინის დროს ალხენდა. ხატის სამსახურში მყოფი ხუცესი განუსაზღვრელი უფლებითა იყო აღჭურვილი, მის წინააღმდეგ ხმას ვერავინ ამოიღებდა, ხატის კრძალვითა და შიშით. ხატობის გათავების შემდეგ კი ხუცესი ჩვეულებრივი, უბრალო გლეხი იყო. ყოველ თემს ჰყავდა ასეთი ხუცესი.

ხუცესის პირდაპირი თანაშემწე იყო **ხელოსანი**, ანუ **მედროშე**. მედროშეს ირჩევდნენ ერთი-ორი წლის ვადით. მისი ამორჩევის წესი ასეთი იყო: კანდიდატი 5—6 კვირით უნდა გაშორდეს სოფელს. ამ ხნის განმავლობაში მან ყოველდღე უნდა იბანაოს ისეთ მდინარეში, სადაც არც საქონელი დადის, არც სარეცხი ირეცხება და არც თვიურში მდგარი ქალები დაიარებიან. ამ ახალგაზრდას სოფელი უცხობს ქადებს, უხდის არაყს და უხარშავს ხინკალს. მთელი ეს ამბავი იწყებოდა რომელიმე დიდი ხატის წინ ხუთი კვირით ადრე. ხატობის დაწყების წინ კანდიდატი კიდევ უნდა გაბანილიყო ცხრა წყაროში, ჩაეცვა სრულიად ახალი ტანისამოსი და გადაეხადა **სახელო**, ე. ი. ამ დღეობისათვის მას საკუთარი ხარჯით უნდა მოეხარშა ლუდი, გამოეცხო იმდენი ცალი პური, რომდენიც კომლია სოფელში, დაეკლა ერთი **კურეტი***, მოეხარშნა, მისი ხორცი დაეწყო თითო პურზე, ახალი ლუდით უნდა გაევსო თასები და დაედგა სუფრაზე. სუფრა იშლებოდა მრგვალად. გარშემო აანთებდნენ სანთლებს. კანდიდატს ჩააყენებდნენ სუფრის შუაში. ხუცესი იხუცებდა (დაილოცებოდა) იმ ხატისათვის, რომლის სამსახურად ემზადებოდა ახალგაზრდა. ამის შემდეგ ის ითვლებოდა ხატის მსახურად, **ხელოსნად**, ანუ **მედ-**

* ანუ **კურატი**—ახალგაზრდა კურო (ბუღა).

როშუდ. მას უფლება ჰქონდა ეარა ხატის მიდამოში, ხელით შეხებოდა ხატსა და მის ნივთებს. მაგრამ არ იყო ხუცესის განსაკუთრებული უფლებით აღჭურვილი.

ხელოსნის შემდეგ, ხატის მსახურნი იყვნენ **დასტურები.** მათ ირჩევდნენ ერთი-ორი წლით. მათი მოვალეობა იყო ხატის ყანების დაცვა, მომკა, გალეწვა; შეშის დამზადება, ლუდის მოხარშვა; ხატისათვის ერბოს გადახდა; ხატში მოსული ხალხის მომსახურეობა და მისთანანი.

შემდეგ, ხატს ჰყვანდნენ **დიასახლისები.** ამათ ირჩევდნენ უსათუოდ დასტურების ოჯახებიდან. დიასახლისებად ისეთ დედაკაცებს ირჩევდნენ, რომელთაც თვიური სულ ცოტა, ერთი წლის წინათ მაინც ჰქონდათ შემწყდარი. დიასახლისების მოვალეობა იყო ხატობაში ქადების ცხობა; სხვა არაფერი. დიასახლისებისათვის ხატში აშენებული იყო ცალკე ბინა — **სადიასახლისო.**

დასტურებს ჰყავდათ ერთი ან ორი თანაწემში — **ჩანჩხი** ანუ, უფრო ძველებურად, **შულტა.**

ხატს ჰყავდა ავრეთვე **მაგანძური,** ე. ი. ხატის ქონების მომვლელი და მეთვალყურე.

იმ შენობას, სადაც ხატის სიმდიდრე და წმინდა ნივთები ინახებოდა და სადაც ხუცესი, ხელოსანი და დასტურები ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, **დარბაზი,** ანუ **ბელელი** ერქვა.

ყოველ ხატს ჰყავდა ევრეთწოდებული **დობილნი** (ესენი ალბათ, ერთგვარი ანგელოზნი იყვნენ). მათი მთავარი მოვალეობა იყო თვალყურის დევნება ხალხზე. თუ ვინმე რამეს დააშავებდა დობილნი დაასმენდნენ ხატთან. ამიტომ ხევსურებს ეშინოდათ მათი და დიდი მორიდებით ექცევოდნენ. დობილთ ასე ლოცულობდენ: დედაკაცები გამოაცხობდენ ხოლმე სამოცდასამ ძალიან თხელ ნამცხვარს **აშალს.** ერთი აშალი სხვებზე დიდი იყო მას ეწოდებოდა: **საწინაო.** იგი გულიანია—ხავიწიანი (ხაჭოიანი). აშალს მიიტანდნენ იმ ნიშთან, სადაც დობილნი ლოცულობდნენ. აქვე გროვდებოდნენ სოფლის ბავშვები. ხუცესი დალოცავდა აშალს, შემდეგ ბავშვებს გადაუგდებდა საწინაოს, მერე კი ნელ-ნელა გადაუყრიდნენ დანარჩენ აშალსაც. აქ დიდები არა მონაწილეობენ. ბავშვები კი გადაყრილ აშალს დიდი სიამოვნებით და ჟივილ-ხივილით იტაცებდნენ.

აშალ აუცილებლივ დილით, მზის ამოსვლასთან უნდა. **დაშლილიყო** (დაირღვეს) ან მზის ჩასვლისას. ეს იმიტომ, რომ დობილნი ამ დროს იფანტებოდნენ თავიანთი ალაგიდან და თუ ვინმე ბავშვი

ან ქალი მოხვდებოდა ამ ადგილას, სადაც ხატის ძიჯნა იყო, და მწვერვალთაში, ე. ი. მზის ახლადდაცემულ სხივებში გაეხვია, ავად გახდებოდა — დააყრიდა მუწუკებს, რომლებიც მერე დოყვებად გადაიქცევოდა, ავადმყოფს სიცხეს მისცემდა, ჭკუაზე შეშლიდა. ამისთანა ავადმყოფისათვის დაშლიდნენ აშალს და შესწირავდნენ თიკანს.

დობილთა პირდაპირი დანიშნულება იყო დაეცვათ ხატის ადგილები შეურაცყოფისაგან: არავის გაეარა ხატის ადგილზე მზის ამოსვლისასა და ჩასვლისას, არავის ეჭურდა, დაეფურთხებია იქ. არ მოიფეხსადგილებია, ხატის ნივთებს უდიერად არავინ მოპყრობოდა და სხვ. ასეთი რამ ძლიერ საშიში იყო.

დობილნი თან მიჰყვებოდნენ მზის გრილას, ანუ ჩრდილს.

იმ ადგილას, სადაც დობილნი ილოცებოდნენ **დობილთ ხავალა** ერქვა.

ხატის დობილნი, ხატის შეურაცხყოფისათვის ადამიანთა გარდა თითქოს საქონელსაც ვნებდნენ მეტადრე ძროხას. ძროხას დობილის მიზეზით უფრო ხშირად ძუძუ უვადდება. ასეთ შემთხვევაში ქალები ანთებდნენ თაფლის სანთელს ან აცხობდნენ **სადობილოს,** უფრო კი აშალს. სადობილოა ქადა (ერთი ან ორი). ქადაზე სდებდნენ პატარა კვერს და ზედ დაანთებდნენ სანთელს. ამით შეევედრებოდნენ დობილთ.

ხევსურებს დიდი კრძალვა ჰქონდათ დობილებისა. დედაკაცები დარწმუნებული იყვნენ რომ მათ კარებთან ყოველთვის დგანან დობილნი და თუ რამეს გაიგონებენ, მაშინვე შეატყობინებენ ხატს.

ამ ბოლო დროს, რასაკვირველია, საბჭოთა ხელისუფლების გავლენით, ხევსურების ძველებური რწმენა ძალიან შეირყა. ცრუმორწმუნეობამ დაჰკარგა თავისი უწინდელი ძალა: დობილებმა კი, ხატის ამ ჯაშუშებმა, მთლად დაჰკარგეს მნიშვნელობა.

ზოგ ხატს ჰყავდა ლაშქარნი და მწევარნი: უპირველესად ყოველისა მათი მოვალეობა იყო რაც შეიძლება მეტი ზიანი მიეყენებიათ ადამიანისათვის, მაგრამ დახმარებასაც უწევდნენ იმას, ვინც შორს არის სადმე წასული და გზაში ხიფათი მოელოდა.

ლაშქარ-მწევართ ლოცულობდნენ იქ, სადაც მათი ნიში იყო ხევსურულად, **ლაშქარ-მწევართ საფლავი.** ეს საფლავები ხატის წმინდა ადგილების ფარგლებშია. აქ ან ნიშია აგებული, ან რამე ნიშანია დადებული. მსხვერპლად უკლავდნენ თიკანს და ბატკანს.* დაკლულ

* თიკანს უკლავენ მხოლოდ დობილებსა და ლაშქარ-მწევრებს.

თიკანსა და ბატკანს მუხლებში მოაჭრიდენ წინაფეხებს. ფეხებს სტოვებდენ საფლავზე. დაკვლის შემდეგ (დასაკლავს ეწოდება **ზღვენი**) ამავე მიზნით, ლაშკარ-მწევართა საფლავზე ზოგჯერ, ღამისთევაც იმართებოდა. ღამისთევლად მეხვეწური გამოხდის ლუდს. გამოაცხობს ქადას, წაიყვანს ზღვენს და საფლავზე მართავს ქეიფს. ქეიფი იწყებოდა ხუცესის ლოცვით **თას მახსენებით.** სუფრაზე იმდენი თასი უნდა იდგეს ლუდით სავსე, რამდენიც **ღვთისშვილია ხევსურეთში,** ე. ი. ხატი. ყოველ თასზე ასახელებდნენ რომელიმე ხატს ან ჯვარს. ყოველ თასზე დაანთებდნენ სანთელს. ამით იწყებოდა ხუცობა—თას მახსენება. ხუცესი პირდაპირ მიმართავდა იმ ხატს, რომელთანაც ითვლებოდნენ ლაშქარ-მწევარნი, და სთხოვდა დახმარება გაეწია გაჭირვებულისათვის, რომლისთვისაც იმართებოდა ეს ღამისთევა.

ასეთი რამ უფრო ხშირად ხდებოდა **ძენგლის დადების** სახით. ძენგლი არის ადამიანის მიერ ნაკისრი ვალდებულება, რაიმე დანაშაულის სამაგიეროდ. ძენგლის გადახდა ღამისთევის სახით იცოდნენ წელიწადში ერთხელ ან რამდენიმე წელიწადში ერთხელ, იმის მიხედვით თუ როგორი პირობა ჰქონდათ დადებული. ძენგლს სდებდნენ უფრო ხშირად იმ შემთხვევაში, თუ ხატს მოჰპარავდნენ რამეს ან სხვა რაიმე დანაშაული ჩაიდინეს მის წინააღმდეგ. ძენგლს ივალდებულებდნენ მაშინაც, თუ რამეს სთხოვდნენ ხატს.

ამრიგად, ძენგლის დება უმთავრესად სასჯელია. ეს სასჯელი უდავო იყო და თაობიდან თაობაზე გადადიოდა. სასჯელს ადებდა ხალხი. ხევსურს შეეძლო არ მიეღო ეს სასჯელი. ვინც მიიღებდა, იმას ეწოდებოდა **მეძენგლე.** ძენგლი უბრალო დანაშაულებისათვის არ დაედებოდა ადამიანს.

ხატობა ხევსურეთში წლის განმავლობაში მრავალჯერ იმართებოდა, თითქმის ყოველ თვე. ნაკლები მნიშვნელობის ხატობას მართავდა თემ-სოფელში ერთი გვარი ან მარტო ერთი ოჯახი. ოჯახი იხდიდა სამლოცოს ბავშვის დაბადების ერთი, სამი ან ხუთი წლის თავზე. ასეთი ხატობა იმართებოდა ბავშვის წლოვანობის მხოლოდ კენტ რიცხვზე, მაგრამ იმართებოდა საყოველთაო, მთელი ხევსურეთის მნიშვნელობის ხატობაც. ასეთია **ათენგენობა, ამაღლება, მარიამობა და გიორგობა.**

ყოველ ხატობაში მსხვერპლის დაკვლისას (მსხვერპლად ითვლებოდა ხარი, მოზვერი, თიკანი ან ბატკანი) მთავარი ხუცესი (დეკანოზი) **ხუცობდა**—ილოცებდა. ხუცობა ყოველთვის იწყებოდა წინასიტყვაობით. წინასიტყვაობა იწყება ასე: „გადიდას, გაგიმარჯოს ღმერ-

თმა ამ პირისაბანზე, სადიდებელზე! მთავარო ანგელოზო, შენ უშველე მეხვეწურს, შენ ბედი-დავლათი დაახმარე!“ და შემდეგ: „აა, დიდება ღმართსაო, დიდება დღესინდელ ძალ ღვთისასა, დიდება და გამარჯვება შენდა, მთავარო ანგელოზო! გევედრებიან, გეხვეწებიან მამაშვილები,—რასა მხარ-გულზე გეძახოდან, იმ მხარ და გულზე დაეხმარიდი, კაცის მეხვეწური იყვასა, კაცსა ბოლოს უმატიდი, შორსმყოფი ახლოს დაუხთიდი, უშველიდი, უხოიშნიდი, შენ კაბის კალთას ჩააფარიდი, სხვა თუ რა ღვთისშვილი უწყრებოდას, უმრუდებოდას, შუ გაურიდი, წალმ გაურიდი, სხვა, მყუდრო შარა გაასწავლიდი. ჩემგნივ რაც დიდება-ხსენება გაკლდებოდას შენ შენს წყალობას ნუ მააკლებ. ღმერთმ შენს ბატონობას გაუმარჯოს!“.

როცა ხუცესი ხუცობას გაათავებდა საძღვნე საკლავს, რომელიც იქვე დასტურს ეჭირა, ყელში ხანჯალს გამოუსვებდა, გასისხლიანებულ ხანჯალს ყელგამოჭრილი საკლავის კრაველზე გასწმენდდა და ქარქაშში ჩააგდებდა. ამით თავდებოდა ხუცესის მოვალეობა.

ხატში დაკლული საქონლის ტყავს, თავ-ფეხსა და ხორცს ხუცესები და დასტურები ინაწილებდნენ, მხოლოდ ნაწილს უგზავნიდნენ მლოცველებს **მეძღვნის** ხელით. ტყავსა და თავ-ფეხს ხუცესები და დასტურები ასე იყოფდნენ: ტყავსა და თავ-ფეხს ცალცალკე დაალაგებენ, მერე ხატის რომელიმე სტუმარს მისცემენ ადლისოდენა ჯოხს. სტუმარი ჯოხს ხელს წაავლებს შუაში. სტუმარი ჯოხის ერთ წვერს ტყავისაკენ მიმართავს, მეორე წვერს—თავ-ფეხისაკენ. ხუცესი ან დასტური იტყვის: ძირი მე, წვერი შენ.

მეორე სახუცესო საგანია **სანთელ-სადიდებელი.** ეს არის ქადები სანთლებიანი და მასთანავე რაიმე საწირი—ფული, ვერცხლის ან სპილენძის ნივთი, შეძლებისა და სურვილის მიხედვით.

მესამე სახუცესოა—**კოდი-სადიდებელი.** კოდი არის ლუდის შესანახავი ჭურჭელი, რომელსაც ხატობის დროს გახსნიან ხოლმე ხუცობით.

ხახმატის ჯვრის მთავარი სახლის აღწერისას ჩვენ ვთქვით, რომ ეს სახლი სამი ოთახისაგან შესდგება: საკოდესაგან, საქობესაგან და დარბაზისაგან. საკოდეში ინახება მხოლოდ სალუდე კოდები, მეორეში სალუდე ქობი დგას. ამ ქვაბში ყოველი დღესასწაულისათვის იხარშება ლუდი. ეს ქვაბი კირის საწვავ ღუმელსა ჰგავს, ან თანამედროვე სამხედრო-სალაშქრო ქვაბს.

ხულის ხუცობა,—გარდაცვალებულის სულის მოხსენებაა. ამ ხუცობით ლოცავდნენ ტაბლას ხარჯების დროს—ლუდსა და არაყს,

აგრეთვე საკლავსა და ცხენსაც დააკურთხავდენ ხოლმე. სულის კურთხევის სიტყვები ასეთია:

— ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა! ღმერთო! კაციც შენ გეხვეწებისა და სულიც შენ გებარებისა, ღმერთო, უშველე მამა-შვილსა, ღმერთო მარხეს ნუღარას მისცემ, ავი შეუცვალე, ღმერთო, ავს ნუღარ დააღირება! სადაც შენ ხარ, მინდია, სული შენი იხსენებისა. ტაბლა შენი დაიდგმისა. შეგინდნას, მაგახმარას ღმერთმა ეს დადგმული ტაბლა, დასხმული თასნი, დაკრულნი სანთელნი, დადგმულნი კოდნი. შაგინდნას, მაგახმარას ღმერთმა, როგორც მამა-შვილებს ეჩქერებისა, ისემც შენ მოგიდისა ცოტა დიდათა, რიოს წმინდათა, ფურცვლელადა, წაუქცევლადა. ლოცვასაც გიმსუბუქებსა, ხელით ნაქნარსა, ყურით განაგონსა, წინდახვედრილსა, უკანდაწეულსა, კარიმც საკვამიმც მღიე გაქვაო, შემოსვლასამცა ნურა დაგიშლისო, კალთასამც გახკრა, ხელსამც გაიხვევა, შაგინდნას, მაგახმარას ღმერთმა!

ტაბლის დალოცვა. ეს უკვე ხუცების საკუთრივ მოვალეობას არ შეადგენდა. ასეთი დალოცვა ხშირად ხდებოდა. ხევსურები იშვითად ამზადებდენ კარგ საჭმელს—ხინკალს, ქადას ყაურმას. ასეთ დანამზადებს დააწყობდენ ტაბლაზე, გვერდზე მოუდგამდენ წყლით ჭურჭელს, თუ ჰქონდათ — არაყს. ყანწებში ჩაასხამდენ არაყს და ოჯახის ერთერთი უფროსი დაილოცებოდა, თავისი მიცვალებულისათვის. თუ ქალი ილოცებოდა, ჩუმად ლაპარაკობდა. მამაკაცი კი უფრო ხმამაღლა. დალოცვის დროს კარს გააღებდენ, რომ მკვდრები ადვილად შესულიყვნენ შინ. ამ დროს შინ თუ კატები იყო, გარეთ გარეკავდენ.

ტაბლის დალოცვა ასეთი იყო.

— ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა! ღმერთო, მარხეს ხუღარას მოგვცემ! სადაც შენ ხარ, მამუკა დედავ, შენი სული იხსენიების! შაგინდნას, მაგახმარას ეს ტაბლაი, წყალი წყურვილი, როგორც ჩვენ გვეჭერების, ისემც შენ გეხმარების, ნუმცარა გაკლავ, ნურაიმთაც ღონდები, ყველაიმც მზას გაქვს დადგმულ ტაბლა, დადგმულ ლოგინი, კარიმც მღე დაგხვდების, შარხიმც თავისუფალი, მაზიდულ-მაწეული. ვინ გაწყვებისავ, მაკეთე ნატამალი, დობილ-ძმობილი, სიკვდილის დღეს დასწრობილი. ნურამც რაით დაღონდების, ნურამც რაი დაგაკლდების. შაგინდნას, მაგახმარას ღემერთმა, როგორც ჩვენ გეჭერების, ისემც შენ გეხმარების. შენ ძმა გიგია, სად იყვას ან ნანუკა სად იყვას, დე-

დიო, გაიყოლიდი! წყლულიან ყვანდესავ, წყლულის საპოხ სჭირ-დებოდესავ, სახვილ სჭირდებოდესავ, ხელგახკრილით თან გაიყო-ლიდით, ნუმცარაით დაღონდებით, ნუმცარა შეგაწუხებთ. შაგინ-დნას, მოგახმარას ღმერთმა, თქვენიმც სახმარი იქნების, ცოდვა-სამც გახდისთ, გზასამც გიაღებთ!

საკულტო წესებში მეტად საინტერესოა ეგრეთწოდებული **სიცოცხლეში დამარხვა.** ეს წესი იმაში მდგომარეობდა, რომ უმემ-კვიდრო ადამიანი (უშვილო ცოლქმარი, უცოლოდ დაბერებული მამაკაცი, ან გაუთხოვარი ქალი) სიბერეში რომ შევიდოდა, სიცოცხ-ლეშივე შეასრულებდა ყველა იმ წესს, რასაც მისი სიკვდილის შემდეგ შეასრულებდა მემკვიდრე, რომ ჰყოლოდა. ასეთი წესებია: **რიგი—ხაჭმლისა და სასმლის დალოცვა, ცხენ-დოღის გამართვა** და სხვ. ნათესავ-მოკეთეებიც ისე მოიკითხავდენ და ისე მიუსამძიმრებდნენ, როგორც ნამდვილ მიცვალებულის პატრონს. თავის დამარხვა საპა-ტიო საქმე იყო, საამაყო, მაგრამ, აუცილებელი კი არა. ამ წესს იხდი-და ის, ვისაც შეძლება ჰქონდა. თავის დამმარხველი იმ დღეს ჩაიც-ვამდა საუკეთესო ტანისამოსს, შეიძლება ხულ ახალიც ჩაეცვა. რიგის დამთავრების შემდეგ გაიხდიდა და ნამდვილად მოკვდომისა-თვის შეინახავდა სამკვდროდ **(სასუდროდ).** მოკეთეები ასეთ ფსევ-დო-მკვდართან არაყს მიიტანდენ ხოლმე, ისე როგორც ნამდვილ მკვდრის ჭირისუფლებს მიუტანენ ხოლმე.

დამარხვა მარტო დასაფლავებას არ გულისხმობდა, არამედ ყვე-ლაფერს, მთელ ცერემონიას, რაც შესრულებული უნდა ყოფილიყო ამ შემთხვევაში. თავის დამარხვა და ნამდვილი დამარხვა ერთმანეთ-ში თითქოს არაფრით განსხვავდებოდა. თავის დამარხვისათვის ყვე-ლაფერი ისე ხდებოდა, როგორც **უნაწილოდ** (უმემკვიდრო მამაკაცი), ან **უბედოდ** (უმემკვიდრო ცოლ-ქმარი) გარდაცვლისათვის. მკვდარს რიგში დაულოცავდენ სასმელ-საჭმელს, ტანსაცმელს, თოფ-იარაღს, ცხენსა და მისთანებს. გარდაცვალების შემდეგ ერთი წლის მერე მიცვალებულის ტანისამოსს (შარვლის გამოკლებით) დაალაგებდნენ ხალიჩაზე, გარშემო შემოუსხდებოდნენ დედაკაცები და დაიტირებდ-ნენ. ერთი მოსთქვამს, სხვები უხმოდ ტირიან. ტირილის შემდეგ ამ ტანისამოსს უნაწილებდნენ ნათესავებს. ამ რიტუალს **ტალავართ** აღე-ბა ჰქვიოდა. ტალავართ აღება და ტირილი ცოცხლად დამარხვის დროს წესი არ არის. ერთ წლამდე კი, გარდაცვალებულის ტანისა-მოსს უვლიან და ინახავენ სუფთად (გაწკიპულად). თავისდამარ-ხვაზე თავისდამმარხველი არ მიეკარება იმ სასმელ-საჭმელს რაც

ნაკურთხი იყო რიგის წესით. მისთვის სხვა საჭმელი მზადდებოდა. არც დოღი იმართება. დოღის მაგივრად ასეთი წესი სრულდებოდა: ცხენს ჰკიდებდნენ ფსევდომკვდრის ტანისამოსს, ხურჯინს. ხურჯინის ერთ თვალში ჩაალაგებდნენ ნაკურთხ საჭმელს, მეორეში—უკურთხს. ცხენზე შესვამდნენ თავისდამმარხველს. იგი წავიდოდა თავის დედის ძმის სახლისაკენ. გზაში შემხვედრთ მიაწვდიდა ნაკურთხ საჭმელს, უკურთხს თვითონ სჭამდა. ცოტაოდენი გზის გავლის შემდეგ, დაბრუნდებოდა უკან. ხარჯების მონარჩენ ნაკურთხ საჭმელ-სასმელს დაურიგებდა ან გაუცვლიდა მეზობლებს. როცა თავისდამმარხველი ნამდვილად მოკვდებოდა მაშინ შეუსრულებდნენ ყველა იმ წესს, რაც თავისდამარხვაზე დააკლდა: დოღს, ტალვართ აღებას და სხვ.

ტანისამოსს, იარაღს, საჭმელს, რიგის დროს ლოცავდა სულის ხუცესი, ან მღვდელი. თუ ხატის ხუცესი მონაწილეობდა სულის ხუცესი საჭირო არ იყო. ვინც სულის ხუცობა (ლოცვა) იცოდა, ყველას შეეძლო დალოცვა.

ხევსურები მარტო ქრისტიანული წესით (მირონით) კი არ ინათვლებოდნენ, არამედ შეწირული საქონლის სისხლითაც. ხელმეორედ გასანათლავად ხევსური ხატს სწირავდა ბატკანს. როცა ჯვრის ხელოსანი ბატკანს დაჰკლავდა, შემწირველი ხელს შეუშვერდა სისხლს, დაიბანდა ხელს, გულსა და შუბლზე ამ სისხლით გამოსახავდა ჯვარს. ასეთ განათვლის დროს დედაკაცები ხატისაგან მოშორებით იდგენ.

ოჯახი

ხევსურული ოჯახი მონოგამიურია, რაც მყღავნდება თავისებური წესებით. შეუღლება ხდებოდა სამი გზით: ქალვაჟის ნებაყოფლობით, მოტაცებით ან მშობლების ძალდატანებით. აქ მონაწილეობენ ახლო ნათესავები, მაჭანკლობენ. ზოგჯერ შეუღლება ხდებოდა ხატის მითითებითაც. ხევსურს შეუძლიან მეორე ცოლი შეირთოს პირველის სიცოცხლეშივე. ეს ხდება მაშინ, თუ პირველ ცოლს შვილი არა ჰყავს ან არა ჰყავს ვაჟი. ასეთ შემთხვევაში ხევსურს პირველი ცოლი ვერ გაეყრება. ამას ჰქვია **კვეთილში** ჩასმა.

დაქორწინების პირველ თვეს ცოლქმარი ერთმანეთს არ ელაპარაკება, შემდეგ ერთმანეთს ესაუბრებიან მესამე პირის დახმარებით. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ქმარი ცოლის სახელს არ ახსენებდა, სახელით არც მიმართავდა უწოდებდა მხოლოდ დიაცს.

ხევსურული ქორწინება მკაცრი ეგზოგამიური წესითა ხდებოდა. ზემოთ უკვე ვთქვით, რომ თავისი გვარის ან თავისივე სოფლის თუნდაც სხვა გვარის, ქალის შერთვა სასტიკად აკრძალული იყო ამ წესის დამრღვევი განდევნილი იქნებოდნენ სოფლიდან, თავისი მიწა-წყლიდან.

ოჯახში ყველა ემორჩილება დედ-მამას. მათ დაუკითხავად ოჯახში შვილები ვერაფერს გააკეთებენ. უფროსობა და მეთაურობა, რასაკვირველია, მამისაა. მამის სიკვდილის შემდეგ მეთაურობა დედაზე გადადის, შინაურები მას ისე ემორჩილებიან, როგორც მამას. თუ დედაც მოკვდა, მაშინ უფროსობა გადადის უფროს ვაჟიშვილზე. ოჯახს თუ არც ვაჟი ჰყავს (ეს იშვიათი მოვლენაა), მაშინ უფროსობს უფროსი ქალიშვილი.

თუ ოჯახი უშვილოდ ამოწყდა, დამარხვა და ყოველნაირი ჭირისუფლობა ოჯახის მამის ძმას ან ახლო ბიძაშვილს ევალებოდა და მთელი ქონებაც მასზე გადადიოდა. თუ არც მამის ძმაა, არც ახლო ბიძაშვილი, მაშინ შორეული ბიძაშვილი პატრონობდა მიცვალებულს, და ქონებაც მას რჩებოდა.

ხევსურული წესის მიხედვით უმცროსი ვაჟი უფროსზე ადრე ვერ შეირთავს ცოლს. რძლებს შორის რაიმე უპირატესობა არ არის, მაგრამ რომელი რძალიც თავისი ჭკუითა და გამჭრიახობით სჯობნის სხვა რძლებს, უპირატესობასაც ის დაიმსახურებს.

მამა მოვალე იყო შვილი აღეზარდა ხევსურული მკაცრი წესების მიხედვით. ბავშვს ნათლობის სახელის გარდა მაშინვე არქმევენ რომელიმე დიდი ნადირის სახელს, ზმნის სიტყვას, ან რამე საგნის სახელს. ვაჟებს: ვაჟას, დათვიას, მგელიკას, ლომიკას, გამახელას, უთურგას, ჯარმულიკას, უნცრუას, იმედას, ბერდიას, მინდიას, სუზუმიას და მრავალ აშისთანას. ქალებს: მზიას, მზექალას, მეწყინას, აშექალას, სამძიმარას, სანდუას, დედიკას, ძილას და სხვ.

ვაჟებს წვრთნიდნენ ხმლის ხმარებაში, მხედრობაში, მუშაობაში, უამბობენ ხევსურეთის გმირების თავგადასავალს. ჰგეშავდნენ გარეშე მტრებზე, ასწავლიდნენ ხევსურულ ზნე-შვეულებას, თავიანთებურ რაინდობას, მეურნეობას. ვაჟის დაბადება ზეიმსა და სიხარულს იწვევდა. ოჯახი ფერხულს უვლიდა. ქალის დაბადების გამო კი ღონდებოდნენ, თავჩაქინდრული დადიოდნენ.

ახალდაბადებულს ჭუდის ყურში ჩაუკერებდნენ ხოლმე ნახშირს, ყურძნის ქერქს, ჯორის ძუას. ღორის ჯაგარს, ღორის კბილს,

არწივის გაზს (არწივის ფეხების ყანწს) ძაფზე აასხამდნენ და აკვანზე ჩამოჰკიდებდნენ. ყველაფერი ეს იყო ავგაროზი, ფათერაკის ამცილებელი. ავი თვალისაგან დასაცავად ხმარობდნენ ქარვისა და გიშრის მძივებს.

ყოველგვარი საოჯახო საქმე დედაკაცს ეკისრება: ბავშვების აღზრდა, საქონლის მოვლა, რძის დამუშავება, კარაქის შედღვება, ერბოს გადადნობა, პურის ცხობა, ბოსლის დახვეტვა, მატყლის დაჩეჩვა, დართვა, ტანისამოსისთვის შალეულის დამზადება, მოქსოვა, შეკერვა, ქარგვა, შეღებვა და სხვა. ერთი სიტყვით მთელი შინამრეწველობა დედაკაცის კისერზეა. მამაკაცს დედაკაცი უშლის ლოგინს, სამუშაოდან მოსულს მიართმევს „თათებს" (იხ. ქვემოთ „ტანისამოსი") და სხვა. ოჯახის მართვა-გამგეობაში დედაკაცი მეტად შეზღუდული იყო. მამაკაცი თავის დიაცს არაფერში ეკითხებოდა. თუ დაეკითხა, ხალხი დასცინებს: ცოლის ცოლიაო, იტყვიან. სტუმრის მიღება, მოვლა, გამასპინძლება დედაკაცის საქმეა, მაგრამ სტუმრებთან საუბარი და დაჯდომა დედაკაცს მარტო ახლონათესავთან შეუძლია. შორეულ ნათესავთან და უცხო სტუმართან არა. მაგრამ ამ ბოლო დროს ეს წესიც გადავარდა. **ეხლა ხევსური დედაკაცები ქმარსაც თავისუფლად ელაპარაკებიან, გარეშე სტუმარსაც და მასთან თავისუფლად სხდებიან. სისხლის აღების წესებიც თანდათან გადავარდა. სოციალისტურ წყობას აქაც შეაქვს თავისი მძლავრი, გამაკეთილშობილებელი და გამანთავისუფლებელი გავლენა.**

დედაკაცი შინა მუშაობს, მამაკაცი—გარეთ. ამიტომ, თუ ოჯახს აკლია პური, ტყავი, ქალამანი, თივა, ჩალა, შეშა, ნავთი, ჩირახი, მარილი,—ეს მამაკაცის სირცხვილია. თუ აკლია—ყველი, ერბო, საქონელი, ტანისამოსი,—ეს დედაკაცის სირცხვილია. თუ ოჯახს თივა-ჩალა მომარაგებული ჰქონდა, მაგრამ საქონელი ზამთარში კარგად ვერ გამოიკვება და გაზაფხულზე გამხდარი გამოვიდა ბოსლიდან, ეს დედაკაცის სირცხვილია, რადგანაც მან ზამთარში კარგად ვერ მოუარა საქონელს.

დედაკაცი თავისუფლად განაგებს თავის ხელნაქნარს,—ერბოს, ყველსა და მისთანებს, და მამაკაცს უფლება არა აქვს დედაკაცის დაუკითხავად შეეხოს ამ საგნებს. ქმრის დაუკითხავად ვერ გაყიდდა საქონელს. თუ დედაკაცი ქვრივია, საქონლის, მიწის, სახლკარისა და ქმრის იარაღის გაყიდვა შეეძლო, მაგრამ უჯობდა ახლო

ნათესავ მამაკაცს დაჰკითხებოდა. ქვრივი დედა ქალს თავისით ვერ გაათხოვებდა თუ არ დაეკითხა ქმრის ბიძას ან ბიძაშვილს.

თუ რაიმე საპატიო მიზეზით დედაკაცს ქმართან არ ეცხოვრება, შეუძლია გაშორდეს ქმარს და მშობლებთან წავიდეს, მაგრამ ქმარს შეეძლო იგი **კვეთილში** ჩაესვა, ე. ი. ნება არ მიეცა მეორედ გათხოვებისა.

საერთოდ კი, ხევსური ქალი თამამია. მას ადვილად ვერავინ დაჩაგრავს. მკვირცხლია, ცქვიტი, გამრჯე, მომქმედი და შრომისმოყვარული. აქვს თავისებური თავისუფალი მიხვრა-მოხვრა. საუბარში აჩქარებული კილო, სიამაყე; დედაკაცის საქმიანობაში მამაკაცი სულ ვერ ჩაერევა. დედაკაცი შველის ხოლმე მამაკაცს ხვნა-თესვაში, მკაში, თიბვაში, შეშის მოტანაში, ძნის თრევაში.

დედაკაცები სახალხო საქმიანობაში ერეოდნენ მხოლოდ ჩხუბის დროს, როგორც გამშველებლები. ჩხუბის საკითხების არსებითად გადაწყვეტაში კი ისინი ვერ ჩაერევოდნენ. ხევსურულ სამართალში (რჯულში) დედაკაცს მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა. ამაზე ხევსურეთი იტყოდნენ,—ჩვენ მაშინ დავილიენით, როცა დედამ დაგვისხდნენ ოზირათო! ჩივილი შეეძლო საქმის აღძვრა, მაგრამ მოსამართლეებში, რჯულის კაცებში, დაჯდომა კი არა. ხევსური დედაკაცი არც თავსისხლის საქმეში წარმოადგენდა რამეს. აქაც შეეძლო საქმის აღძვრა, შესრულებით კი მამაკაცებს უნდა შეესრულებია. თუ მოკლული იყო ისეთი მამაკაცი, რომელსაც გვარში სხვა მამაკაცები არა ჰყავდნენ, საქმის აღძვრა შეეძლო დედას, ცოლს, დას, მამიდას*.

ქორწილში, რიგებში, დედაკაცები დიასახლისობენ, ხევსურულად—**ხარისტას** აძლევენ. ახალგაზრდა ქალები კი სტუმრებს უვლიან.

ხევსურულ ოჯახში ძმების ერთმანეთთან დამოკიდებულებას რაიმე განსაკუთრებული თავისებური წესები არა აქვს. მაგრამ მაინც უმცროს ძმას მორიდება და პატივი აქვს უფროსი ძმისა. თუ უფროს ძმას ვინმე აწყენინებს უმცროსი ეზად არის დაიცვას იგი და თავიც კი შეაკლას მტერს. მაგრამ უფროსი ძმა, რაც უნდა მწვავე მდგომარეობაში ჩავარდეს, თავს იკავებს, სიბრაზეს არ იჩენს, არა უწმაწურობს, დინჯად იქცევა, რომ უმცროსი ძმა თავისი თავდაუჭერლობით მსხვერპლი არ გახადოს.

გვარშიაც ეს წესია დაცული.

---

* იხ სისხლის აღების წესები ხევსურეთში; „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში", წიგ. I.

დები შეძლებისდაგვარად ინაწილებენ ოჯახის საქმეს. მცირეწლოვანნივე ეჩვევიან და სწავლობენ საოჯახო საქმეს: კერვას, ქსოვას, რთვას და მისთანებს. დები ერთმანეთს ეხმარებიან, ერთმანეთისაგან სწავლობენ საქმეს. ერთმანეთს ეჯიბრებიან ხელსაქმის უკეთესად გაკეთებაში. ძმებში თუ ჯერ უფროსმა უნდა შეირთოს ცოლი, დებისათვის ეს წესი არ არის. ქალი გათხოვდება მაშინ, როდესაც მას შემთხვევა მიეცემა, და უფროსი დის გათხოვებას არ ელის. მზითევი მიღებული არ არის წესად. მაგრამ ქალი წინდაწინ იმზადებს რამდენიმე ხელ ტანისამოსს, ხელნაქნარ ნივთებს, და მხოლოდ თავისი ხელით გაკეთებული ნივთები და შეკერილი ტანისამოსი მიაქვს ქმართან. ამას გარდა თავის სახელზე ზრდის ერთ ძროხას, რომელიც საკუთრებად ქმრის სახლში მიჰყავს. ამას ჰქვია **სათავნო**, მაგრამ, ხევსური ქალის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია **სწორფერობა**, სიყვარული გათხოვებამდე.**

საინტერესოა ოჯახში რძლებისა და მაზლების ურთიერთობა. უმცროსი რძალი უფროს მაზლს ვერ დაელაპარაკება მოყვანიდან ერთი თვის განმავლობაში. უფროსი რძალი კი თავისუფლად დაელაპარაკება მაზლს (ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, უმცროსი მაზლი უნდა ვიგულისხმოთ, რადგანაც ოჯახში ჯერ უფროსი ძმა ირთავს ცოლს). (იხ. ზემოთ). უფროსი რძლის **აძრახება** (დალაპარაკება) ასე ხდება: თავისი მოყვანიდან ერთი თვის შემდეგ უმცროსი რძალი მივა უფროს მაზლთან და მესამე პირის დახმარებით ადღეგრძელებს მას. მერე როცა კაი ხანი გავა რძალი მაზლის თხოვნით აიღებს არაყიან ყანწს და ადღეგრძელებს მაზლს. ამის შემდეგ უმცროს რძალს უფლება ეძლევა ელაპარაკოს უფროს მაზლს. ეს წესი შესრულებული უნდა იყოს ყველა უფროსი მაზლის მიმართ, რამდენიც უნდა იყვეს ოჯახში.

მამის სიკვდილის შემდეგ მთელი ქონება რჩებოდათ ვაჟიშვილებს. იყოფდნენ თანასწორად, მხოლოდ უფროს ძმას ეძლეოდა ერთი დღიური მიწა მეტი **საუფროსო**. ხვნა-თესვის დროს სათესლე თანასწორად იყოფოდა. დანარჩენი ქონებაც თანასწორად იყოფოდა, სულობრივ. აკვნის ბავშვსაც ჰქონდა წილი. მხედველობაში არ იღებდნენ ვინ რამდენს მუშაობდა, ვის რა შეჰქონდა ოჯახში, ვის რა ძალა შესწევდა. ყველას არსებობა უნდოდა—გლახაკს, ბეჩავს, გაურჯელს, ბეჯითს, **კოხტას** (კოხტა—უსაქმო, მოხეტიალე კაცი). ხევსურები ამბობდენ: კოჭლი, ბრმა და კოხტა ოჯახმა უნდა შეინახოსო.

** იხ. **სწორფერობა; „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“, წიგ. I**

შეძლებულ, ლონიერ ოჯახის პატრონს, ჭკვიანს, დარბაისელს, **კერამკვიდრეული** ჰქვია. ასეთი კაცის სახელი ოჯახის ფარგლებიდან გადის გვარში, თემში, თემს იქითაც გავარდება ხოლმე. ასეთი კაცი გახდება **გავედიანი** (იხ. ზემოთ). ასეთ კაცს ავალებდა თემ - სოფელი ახალგაზრდობის გაწვრთნა - სწავლებას. ისიც ასწავლიდა წარსული ცხოვრების ძველ ამბებს, აღვიძებდა მათში გმირულ გრძნობებს. ასეთი უფროსი კაცი ერთგვარი განსაკიერება იყო ხევსურული ზნეობისა. მის წინაშე ხმაამოუღებლივ უნდა მდგარიყვნენ რძლები, თავჩაღუნულთ უნდა ესმინათ მისი ლაპარაკი. ოჯახში ამ უფროს კაცისათვის საკუთრად აქვთ საგანგებო სკამი—**საუფროსო სკამი.** სადაც მივა ისეთი გავლენიანი ან უფროსი კაცი, სხვა ოჯახში თუ თემში საქმის გასარჩევად, აქაც ეს ასეთ საუფროსო სკამზე მიიწვევენ.

საცხოვრებელ სახლს წინად შუაზე ჰყოფდა შუაცეცხლი. ერთ ხარეს ერქვა **სადიაცო,**—მეორეს **სამამაცო.** სამამაცოში გადასვლა დიაცისათვის დიდი სირცხვილი იყო. სამამაცოში იდგა ერთი გრძელი სკამი, რომელზედაც სხდებოდნენ ასაკის მიხედვით. სადიაცოში სკამები არ იყო. დედაკაცები პირდაპირ მიწაზე სხდებოდნენ კერისპირად. პურისჭამად ჯერ მამაკაცები სხდებიან, მერე დედაკაცები. საუკეთესო ნაჭერს,—ლუკმას,—მამაკაცებს მიართმევდნენ: დედაკაცები სულ ცუდ ნიჭრებს სჭამდნენ. ამის გასამართლებლად ამბობდნენ: დედაკაცს რად უნდა ჭამა, ძალღონეს რა მტერთან ბრძოლაში გამოიყენებსო. საინტერესოა მეორე ანდაზაც: ქალს რათ უნდა თვალები, რა დურბინდისათვის გამოიყენებსო. ასეთი ანდაზები, ოჯახური ყოფაცხოვრების დამახასიათებელი, მრავალი იყო ხევსურეთში. დედაკაცის სისხლიც ნახევართავად ფასობდა.*

დედაკაცები მეტსა მუშაობდნენ ოჯახში, ვიდრე მამაკაცები. მუშაობდნენ თითქმის მთელ დღე-ღამეში. მამაკაცებს შეეძლოთ მუშაობის დროს დაესვენათ კიდეც, დაეძინათ კიდეც. დედაკაცისათვის კი ასეთი რამ სირცხვილი იყო. ღამითაც კი, როცა მამაკაცები იძინებდნენ, დედაკაცები განაგრძობდენ საქმიანობას: ჩეჩავდნენ, ართავდენ, აკერებდნენ. ლოგინშიაც კი არა წვებოდნენ, იქვე ბოსელში მიწვებოდნენ იატაკზე და იძინებდნენ!

მამაკაცები იძინებენ სახლის მეორე სართულში — **ჭერხოში.** პირველი სართული ორი ნაწილისაგან შესდგება **საკვამისაგან** და ბოსლისაგან. საკვამე წინანაწილია პირველი სართულისა. წინა კე-

* იხ. სისხლის აღების წესები ხევსურეთში; „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“, წიგ I.

დელში ზემოთ დატანებულია პატარა სარკმელი სინათლისა და ბოლისათვის. საკვამის უკან არის ბოსელი ბრტყელი ქვით დაფენილი. საკვამის შუაადგილი ცეცხლისათვისაა განკუთვნილი, ოდნავ ჩავარდნილია და ბრტყელი ქვით დაფენილი. ზემო ბხარეზე დევს მოგრძო ქვის კერა, გარშემო აწყვია ბრტყლად წაფენილი ქვები. როგორც ზემოთ ვთქვით კერის მარჯვნივ არის სამამაცო. აქ დგას ხის ან ქვის გრძელი სკამი მამაკაცებისათვის. მის ზედა თავს საუფროსო ეწოდება. საცეცხლე ადგილას შუაზე ჩამოკიდებულია ჯაჭვი—საკიდელა. მამაკაცები საკვამეში ჭერხოდან ჩადიან. საკვამეში შესასვლელად მათთვის სხვა გზა არ არის. საკვამის ჭერში გამოჭრილია ერთი კუთხე. აქედან საკვამეში ჩადის საცალფეხო კიბე. ამ კიბით ადიან მამაკაცები ჭერხოში. დედაკაცი ამ კიბით ვერ ჩავა საკვამეში. საკვამეში ის გარეთა კარიდან შედის. მამაკაცს კი საკვამეში შესვლა ამ კარიდან სასტიკად ეკრძალება. სტუმარი მამაკაცებიც საკვამეში ჭერხოდან ჩაჰყავთ. პატივსაცემ სტუმარს სკამზე ნოხს დაუგებენ.

ჭერხოა ავეჯის, ჭურჭლეულის, ტანისამოსის, ხორბლეულის შესანახი და დასაძინებელი ადგილი. ხორბალს აქ ინახავენ დიდრონ გოდრებში. ტანისამოსი გადაკიდებულია ხარიხებზე—მამაკაცისა ცალკე, დედაკაცისა ცალკე. ოჯახის ყოველ წევრს ორი წყვილი ტანისამოსი აქვს — საშინაო და საგარეო. შეძლების მიხედვით შეიძლება 2—3 ხელი ტალავარი (ტანისამოსი) ჰქონდეთ. ტანისამოსის შესანახად, უფრო ხშირად ოჯახის ყოველ წევრს ცალცალკე აქვს ხარიხები. ჭერხოშივე დგას ხევსურული ლოგინი —მაღალფეხებიანი საწოლი, გაბანდული ბაწრით ან თასმით. შიგ დაგებული იყო ნალეწი ჩალა. საბნად ხმარობდნენ ნოხს ან ფარდაგს. საწოლის წინა ნაწილი თავისებურად არის მოჩუქურთმებული. სასთუმალთან ჰკიდია ხევსურული თათები (იხ. თავი „ხევსურული ტანისამოსი"). თათები ფეხების მოსასვენებელია, წინდების მაგვარი. თათები სტუმრებისათვისაც აქვთ, სათადარიგოდ. ჭერხოში იძინებენ მამაკაცებიც და დედაკაცებიც, მაგრამ უფრო ხშირად კი ბოსელში ეძინათ ხოლმე.

მკვდარს არ დაიტირებენ მშობელი—შვილს, ცოლი—ქმარს, ქმარი—ცოლს. ასეთი რამ სირცხვილია. სხვები კი დაიტირებენ ხოლმე. არც გვარი ტირის მოკლულს, ესეც დიდი სირცხვილია. ყველაზე მეტად სტირის ძმას და, თმას გაიკრეჭავს და მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ გაიხარებს. გლოვის წესია წვერის გა-

შვება, ტანსაცმელის ჩაცმა უკუღმა, საკრავი ნივთების პირქვე გადმობრუნება; მათ ერთი წლის განმავლობაში არ დაუკრავენ— ყოველნაირი სიკოხტავე უარყოფილია, ცხენს კუდს არ გამოუნასკვამენ, მოორთულ გულ-მკერდს რამე თალხი ფართლით დაფარავენ; დედაკაცები მანდილის ჩაკეცილ ყურს გადმოუშვებენ. სიცილს ერიდებიან.

ქალი უწმინდურ არსებათ ითვლებოდა. უფროსის ლოგინის ახლოს ვერ გაივლიდა, თვიურის ჟამს ჭერხოში ვერ ავიდოდა. ხოლო თვიურის გათავების შემდეგ სამი დღის შემდეგ შეეძლო ეს. ეს ინიტომ, რომ ხევსურების წარმოდგენით მამაკაცსა და მის საწოლს მთავარანგელოზი მფარველობს და თვიურიანი დედაკაცი ჭერხოში შესვლით წაბილწავს იქაურობას. ამის გამო მთავარანგელოზი გაუწყრება ოჯახს და საქმე უკუღმა წაუვა. იმავე ანგელოზის შიშით დედაკაცი მამაკაცს ხმამაღლა ვერ აუძრახდება (დაელაპარაკება).

ხევსური სამუშაოდ გადის დილით ადრე, უზმო. სამუშაოზე დანაყრებული არავინ გავა. ეს დიდი სირცხვილია. კაცმა ჯერ უნდა იმუშაოს და მერე ჭამოსო. ისაუზმებენ მაშინ, როცა კარგად იმუშავებენ და მზე ცაზე კარგად მაღლა წამოიწევს. ამას ჰქვია **ნაყრი**. დღეში კი სამჯერ სჭამენ—დილით—ნაყრი, შუადღისას **სამხარი** და საღამოთი **ოხშამი** (ვახშამი). იციან აგრეთვე **გრძელი სამხარი** (დაგვიანებული) და **გრძელი ოხშამი**.

ახალგაზრდა ვაჟიშვილს საჭმლის მხრივ მეტი პატივისცემა აქვს ვიდრე მამას, ე. ი. უკეთეს ნაჭრებს ვაჟიშვილს მისთავაზებენ. უკეთესი ჭამა უნდა მას, რომ კარგი ვაჟკაცი გამოვიდესო. პურის ჭამად უფროსს ელიან და მასზე ადრე არ დასხდებიან; უფროსი კი არ ელის უმცროსებს.

წვნიან საჭმელს სჭამენ **ქიტურათი** (კოვზით). ქვაბიდან წვენის ამოსაღებად ხმარობენ **ქიტს** (ჩამჩა). წვენს ჭამენ ან საერთო ჯამში, ან ცალცალკე. წვეულების დროს შლიან **ტაბლას**. ყველანი შემოუსხდებიან მას გარშემო. ერთი კაცი ემსახურება ყველას. ეს არის **ზემდეგი**. ზემდეგი ტაბლაზე მსხდომთ დაუდგამს სათითაო ვერცხლის ჯამს ლუდით სავსეს. ხუცესი იტყვის ტაბლის სადიდებელს და ყველა შეუდგება ჭამას. ჭამას. რომ გაათავებენ აიღებენ ლუდით სავსე თასებს. ყველა თავისებურად დაილოცება და დასცლის თასს. ტაბლის ასეთ დაწყობას, დადგმას, დოვლათს ჰქვია,— **კარაბანა**.

იმის გამო, რომ მიწა მხოლოდ ვაჟიშვილზე გადადიოდა ან მხოლოდ გვარის მახლობელ ნათესავებზე, აგრეთვე იმის გამო, რომ უფროს ვაჟს ერთი დღიურით მეტი ეძლევოდა საუმფროსო, მიწა თანაბრად ვერ ნაწილდებოდა. მაგრამ ხშირად, გვარს საერთო სამფლობელო მიწებიც ჰქონდა. მაგალითად, სოფ. ამღაში მთლად წიკლაურები ცხოვრობენ. არიან სხვა მოდგმის მცხოვრებლებიც, მაგრამ რაკი ერთ სოფელში ცხოვრობენ ერთ გვარეულ ჯგუფს წარმოადგენენ; მათ ჰქონდათ საერთო ხატი, სასაფლაო* და სასოფლო მიწები. ამ მიწებს გვარი ასე ხმარობდა: საბალახო საერთო ჰქონდათ, სახნავი მიწები კი დანაწილებული იყო ოჯახებზე, ზოგს მეტი ეჭირა, ზოგს ნაკლები. ამის ნიადაგზე ხშირი იყო ჩხუბი, ერთმანეთის ჩაგვრა, მიწის ძალით წართმევა, მკვლელობა, ვისაც **ბევრი მიწა ჰქონდა იმაზე ამბობდნენ—ხოდაბურის მჭრელიაო.** (ხოდაბური—დიდი მამული). ყველაზე მეტი მიწები, ხოდაბურები, ხატს ჰქონდა, რაც უფრო „დიდი" იყო ხატი, ე. ი. რაც უფრო დიდი სახელი ჰქონდა, მით უფრო მეტი მამული ჰქონდა. ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ხატის მამულს საერთოდ ამუშავებდნენ და მოსავალს ხმარობდენ ხატობაშივე, ხოლო გაჭირვებულებს სახმრისად აძლევდნენ მიწის ნაკვეთებს. ხატის ტყე კი სრულიად ხელუხლებელი იყო. იქიდან ერთ გამხმარ ჩხირსაც ვერ გამოიტანდნენ. ამიტომ ხატის ტყე საუცხოოდ არის დაცული.

ძმათა გაყრის დროს ხშირი იყო ჩხუბი, უთანხმოება. საკუთრებად განაწილებული მიწები ოჯახებს არ ყოფნიდათ. ეს იწვევდა სიღარიბის გაძლიერებას. ამის გამო გავრცელებული იყო მოჯამაგირეობა. მიწის გამო ხშირი იყო დავა გვარებს შორისაც, ერთი ფემ-სოფელი მეორეს უცხადებდა ომს, პირიქითელები—პირაქეთელებს. დავა და ბრძოლა ერთი ნაჭერი მიწისათვის ზოგჯერ ათეული წელი გრძელდებოდა ხოლმე. ასეთი იყო გაუთავებელი დავა გუდანის ჯვრის და არხოტის ჯვრის ყმებს შორის. თუ არ ხევსურული რჯული გუდანელები ერთი დაკვრით დაამარცხებდენ არხოტელებს, მაგრამ მათი დავა ბოლოსდაბოლოს გადაწყდა და ეხლა ამ გვართ შორის კეთილი განწყობილებაა.

---

* გვარის საერთო სასაფლაოზე სხვა გვარის მიცვალებული ვერ დაიმარხებოდა.

ხევსურული ტანისამოსი

ხევსურეთში ტანისამოსს მხოლოდ დედაკაცები ამზადებენ. ეს მარტო დედაკაცის საქმედ ითვლება და მამაკაცი ამაში არ ჩაერევა.

მამაკაცის ტანისამოსი 8 ნაჭრისაგან შესდგება. ესენია: 1) **პერანგი**, 2) **ჩოხა**, 3) **შალვარი**, 4) **ბაჭიჭები**, 5) **გულისპირი (ყილეტი)**, 6) **ქუდი**, 7) **ტყავი** და 8) **ჯღანი**.

დედაკაცის ტანისამოსის შემადგენელი ნაწილებია: 1) **სადიაცო**, 2) **ქოქლო**, 3) **კაბურა**, 4) **ბაჭიჭები**, 5) **ტყავი**, 6) **თავსაცმელი**, 7) **მანდილი** და 8) **თათები**.

საერთოდ, ხევსურული ტანისამოსი შალისა მზადდება. ყოველ სოფელში არის დახელოვნებული დედაკაცი, რომელიც ყველას უსასყიდლოდ გამოუჭრის ტანისამოსს. გამოჭრილს ჯერ შეკერავენ და მერე შეღებავენ. უფრო მიღებულია შავი და ლურჯი ფერი. თეთრი და ლეგა ტანისამოსი სირცხვილად მიაჩნიათ. შეღებილ ტანისამოსს გაშრობის შემდეგ დაუწყებენ დაჭრელებას აბრეშუმის ძაფით ან შინდამზადებულით. ზოგ საღებავს დედაკაცები თვითონ ამზადებენ, ზოგს კი ქალაქში ყიდულობენ*. მაგალითად, ლილას, ძაღას და სხვას.

პერანგს ახალგაზრდისათვის კოხტად და გულდასმით დააჭრელებენ, ხნიერისათვის კი სადად. მკერდზე დააკერებენ ერთგვარ ნაჭერს, რომელსაც ქალები **შილიფას** უწოდებენ. ამაზე **ნაჭრელა** (ნაქარგი) ადვილად იკერება. პერანგზე მოკერებულ ამ შილიფას ეწოდება **საბეჭური**. საბეჭური იწყება ქამარს ზემოდ, მიდის წინა მხარის უღლებამდე. პერანგს ბეჭებზედაც აჭრელებენ ჯვრებით, ასევეა ამოქარგული სახელოებიც მაჯებიდან იდაყვებამდე. პერანგი მუხლებამდე უნდა სწვდებოდეს. მოკლე პერანგი სირცხვილია. პერანგი თეძოების კიდურებიდან ფერდებზე გაჭრილია.

ჩოხას სხვადასხვანაირად კერავენ: აჭრელებენ მხრებზე, მხარხახელოებზე. წინ გულმკერდზე სამასრეები აქვს. ჩოხის ბოლოებს აჭრელებენ ნაჭრელათი და სირმით. ნაჭრელა ყველგან ჯვრებადაა, გარდა კალთებისა.

შარვლის ტოტებს უწინ გადმოშვებულს ატარებდნენ, ბაჭიჭებში არ იტანდნენ. ეს წესი ახლა გადავარდა. მოხუცებულები თუ მისდევენ, ისე კი ბაჭიჭებში ატანენ.

---

* იხ. საღებავები ხევსურეთში; „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“, წიგ. I.

დიდი სირცხვილია **საწელეს** (ხვანჯრის) გამოჩენა. შარვლის ტოტები კარგი ნაჭრელითაა ნაკერი. პირველ პირზე მიკერებული აქვს **შილიფა** (შილის ფერადი ძაფი დაგრეხილი). შილიფას მოკერებული აქვს სხვადასხვა ფერის **სკლატი**, (რბილი და თხელი მაუდის მსგავსი მატერია,—ქალაქში ყიდულობენ), ოთხკუთხედად დაჭრილი. სკლატის მოსდევს **ნაფთულა** (ერთმანეთზე მიკერებული შილიფა). ნაფთულას მისდევს რქებად დახრილი (ნიშან § მსგავსი) ნაჭრელა და სამკუთხედებად დაკლაკნილი ნაჭრელა. ისევ მეორდება ნაფთულა. მერე ისევ სკლატის კუთხა და ბოლოს შიბაის ჯვრები. შარვლისათვის ამზადებენ საუკეთესო შალს, სუფთა ძაფისაგან. ამ შალს **ორშიანი** ჰქვია.

ტყავი იკერება, უფრო ხშირად ცხვრის ტყავისა. თბილი ჩასაცმელია. ტყავი ორნაირია: ერთი მოკლე, უმთავრესად სამუშაო, მეორე უფრო გრძელია, — მუხლებამდე. ჯიხვის ტყავისაგან შეკერილს **საბეწვგარეთო** ჰქვია. ეს შეძლებულების სამოსია და მონადირეებისა. ეს საპატიო ტანისამოსია. ვისაც ეს აცვია, იმაზე იტყვიან საჩინოდ, საამაყოდ არის ჩაცმულიო. საბეწვგარეთოს წამოასხამენ ხოლმე საპატიო სტუმარს. ცხვრის ტყავი იკერება ჭრელად. ილლიებში დააკერებენ მაუდის სამკუთხედ ნაჭრელებს, სხვადასხვა **სახისას**. საყელოს უკეთებენ შავი ბატკნის ტყავისას. წინ, ქამრის ცოტა ზემოთ, უკეთებენ **საყრელებს**, ნაჭრელათი დაკერებულს და მძივებდაყრილს. სახელოებზე აკერებენ წითელი ან ლურჯი მაუდის შალს. მოხუცებულების ტყავი სრულიად სადაა.

ბაჭიჭები (ბაჭიჭები) ორგვარია. ერთნაირია—უბრალოდ შეკერილი, მუხლებს ზემოდ სწვდება. იცვამენ უფრო ზამთარში, თოვლში. სამუხლე ბაჭიჭები ჰქვია. მეორენაირია—**დაკერებული ბაჭიჭები**, ახალგაზრდებისათვისაა. მოკლეა, დაჭრელებულია ბოლოებზე და წვიფების შიგნითა მხარეზე.

თათები ორგვარია—**საქალამნე** თათები ანუ **ამოცვლილა**. ამ თათების ხმარება უქალამნოდ არ შეიძლება. ესენი წინდების მაგიერია. მეორენაირი თათებია **შიბიანი** თათები. დაკერებულ-დაჭრელებულია. ძირზე გამოკრული აქვს ცხვრის, თხისა ან ხბოს ტყავი. ასეთი თათები ყოველ ოჯახში რამდენიმე წყვილი არის საპატიო სტუმრისათვის, ფეხების მოსასვენებლად.

საფუხრეებიც ორგვარია — ხუთთითიანები, შეიძლება იყოს მოქსოვილი, ფერადი ძაფისა, ზედ გამოყვანილი ჯვრებით, რქებითა და სამკუთხედებით. აკერებენ ფერად მაუდებს, ჯგუფ-ჯგუფად

ძეივებს, ღილებს. მეორენაირი საფუხრეები სქელია, თბილი და გამ-ძლე. აქვს ერთი ბუდე ოთხი თითისათვის და ერთიც ბერა თითისა-თვის (ცერისათვის).

ყაწიკა წამოსასხმელია. მხოლოდ პირიქითა ხევსურეთში ხმა-რობენ და გადმოღებული აქვთ ქისტებისაგან. იხმარება წვიმაში, როგორც ხევსურები იტყვიან, ბოჭკოდ იქსოვება როგორც ჩვეუ-ლებრივი შალი, მაგრამ ძალიან მჭიდროდ. სიგრძით 11 ან 12 ად-ული ოთხკუთხედი. სიგრძე მეტი აქვს სიგანეზე. წამოისხამენ ხოლ-ო ისეა, რომ პირის სიგრძე კისრიდან წვივებამდე მიდის, მეორე პირი გადაბრუნებულია შიგნით და წელამდე მაინც უნდა სწვდე-ბოდეს. ამ გადაბრუნებულ პირზე დაკერებულია ღილი და შატა, რომლებითაც ყაწიკას შეიბნევენ გულმკერდზე. ყაწიკა შეიძლება იყოს სხვადასხვა ფერისა.

ქოქაი ყელსახვევია, სათბური. ლურჯი შალის ნაჭერს დასჭ-რიან და მერე ერთმანეთს დააკერებენ ჩაკოჭვილად. შემდეგ ირგ-ვლივ შემოაყოლებენ წითელ მიტკალს, ზედ მოაკერებენ სისვის (მომწვანო ფერის) ნაფთულას (მატერიას), რომელსაც დააჭრელე-ბენ დაკლაკნილად ან სწორი შიბით. სისვის შუა გულზე მოაყო-ლებენ რბილი მაუდის ნაჭერს ან უფრო წვრილი ნეჭრელათი. დაჭ-კერავენ მთლიანად. ქოქაის გარშემო შემოაკერებენ სირმას და ზედ მძივებს დააკერებენ. ბოლოზე კიდევ გაატარებენ ორ-ორად ას-ხმულ მძივებს. მძივებს ბოლოებზე უკეთებენ აბრეშუმის **ფინფილს** (ფოჩებს). ბოლოებზე დააკერებენ ღილსა და შატას; ქოქაი ყელ-კისერს ეხვევა მთლიანად.

ჩაჩვის ანუ ფანფიკის ხელსახოცი იხმარებოდა უწინ. ვადანზე (ხმლის ტარზე) ჰქონდათ ხოლმე შებმული. სიგრძით ოთხი მტკაველ-ლი, სიგანით ერთი ხელის დადება. ხელსახოცი შალისაა. გარშემო შემოვლებული აქვს წითელი შილა ან წითელი მიტკალი, ისე რომ ბოლოებამდე არ მიდის, თითო მტკაველი დატოვებულია უშილოდ. შილას შიგნით მოაყოლებენ **ნაფთულას** (ზოლებად დაჭ-რილ მატერიას) ნაჭრელათი დაკერებულს. შემდეგ—სირმისა და წითელი სკლატის ნაფთულას. ბოლოებზე დატოვებული თითო მტკაველი შილა შეკუმშულია იმდენად, რომ სამი თითის სიფართე ჰქონდეს. ზედ გააკრავენ ხოლმე სისვისა და წითელ ნაფთულას. ამ ნაფთულაზე აკერებენ აბრეშუმის შილას, დაკავკაულს ან ზედვე დააკერებენ მძივებს. ბოლოებს მოქარგავენ აბრეშუმის ძაფით. ამ

ხელსახოცს ეხლა ხმარობენ ცხენ-დოღის დროს—თავზე იხვევენ. შუღლის დროს შეიხვევენ ხოლმე ჭრილობას.

დედაკაცის ტანისამოსი უფრო რთული ხელსაქმის ნიმუშია. **სადიაცო**—შიგნითა ჩასაცმელია. იკერება შავი ან ლურჯი. სადიაცოსათვის ტოლს (შალის საკაბე ნაჭერს) სიგანე უნდა ჰქონდეს ოთხი მტკაველი, ხოლო სიგრძე ორად მოკეცილი—ხუთი მტკაველი. სადიაცო კაბის მავიერია და იცვამენ შიშველ ტანზე. მარტო სადიაცოთი ხევსური დედაკაცი ვერც გარეთ გამოვა, ვერც მამაკაცებს დაენახვება, ვერც ოჯახში ისაქმებს. იკერება ასე: ტოლს გასჭრიან სიგრძეზე—სამ მტკაველსა და სამ თითზე. აქედან ამოსჭრიან **აზლოტებს** (გვერდებზე ჩასაკერებელ ნაჭრებს) და სახელოებს. აზლოტი ბოლოში ოთხი გაშლილი თითის სიგანისაა, თავში—სამისა. აზლოტებს გვერდებში ჩააკერებენ ისე, რომ სადიაცო ტომარას დაემსგავსება. ამ ჩაკერებულს დაჰკერავენ ტომრის შიბაით. ასევე მიაკერებენ სახელოებსაც. შემდეგ შეღებავენ მთლად. მერე მარცხენა მხარეზე გასჭრიან ოთხი თითის გაშლაზე, მერე ჩაშჭრიან მარცხნივ ორი მტკაველის სიგრძეზე და მიიღება ეგრეთწოდებული **ფარავის კანჭი** (უბე). **ფარავი** სამკუთხედია, მთლიანად ფარავს მკერდს, ისე რომ ქალს ძუძუები არ ეშჩნევა. ფარაგში გამოჩენილი ძუძუები დიდი სირცხვილია, ამიტომ ფარაგი იღლიებამდეა ამოკერებული. ფარაგს აჭრელებენ სხვადასხვა ფერის სკლატის ნაჭრებით, აბრეშუმის ძაფითა და დააკერებენ მძივ-ღილს.

ფარაგს ასე ჰკერავენ; კიდეებს დაკერავენ **მწკალით** (წმინდა ძაფით ამოუკერავენ), მერე დააკერებენ ორი თითის სიგანე ლურჯ სკლატს მარჯვენა მხარემდე და ბოლოზე მოავლებენ სისვი სკლატის ნაფთულას, ნეკის სისხოს. ნაფთულას მოჭარგავენ აბრეშუმის ძაფით—გააკეთებენ ნაჭრელას. ნაფთულაზე დააკერებენ წითელ სკლატს სამი ღვინჭის სიგანეს (ღვინჭი—თითების სახსრები, რომლებითაც თითები უერთდებიან ხელის ზურგს). ამ სკლატს **ზიკი** ჰქვია. ზიკს ზედ ნაწყვეტ-ნაწყვეტად დააკერებენ შავ, თეთრ და ყვითელ ნაფთულებს, ერთმანეთზე მიყოლებით და გამოდის ნაჭრელა. ფარაგის გაკეთების შემდეგ, სადიაცოს მარცხენა გვერდზე ჩაჭრილ ნაპირსა და საყელოს მორთავენ იმავე სახით, როგორც ფარაგს, აგრეთვე სახელოებს იდაყვებამდე. კალთებსაც დააჭრელებენ ვისაც როგორ სურს. სკლატით ან მოჭარგავენ აბრეშუმის ძაფით, ან შინ დამზადებული ძაფით. შემდეგ სადიაცოს წააკერებენ **ქოქომოებს**,—ოთხი ფერის ერთმანეთზე წაკერებულ

ერებს. ქოქომოების პირველი წყება შავია, მეორე—ყვი-
ითელი, მესამე—წითელი ან ლურჯი და ბოლოს—ლურჯი.
ქოქომოებს ბოლოებზე მიაკერებენ სამფეროვან შილ-
�ლებსაც დაყოლებული აქვთ დაგრეხილი სირმა. ქოქომო-
ებანა ნაწილი დანაოჭებულია. ამ ნაოჭებს **ნაჩაფნი** ჰქვია,
ათ 15-ია ან 24. ნაჩაფებს თავებზე წაკერებული აქვს სამ-
ანი შილიფა, შემდეგ კიდევ შილიფა. ამას მოსდევს კბილე-
დაწყვეტილად გამოჭრილი სკლატი. ნაპირებზე შემოაყოლე-
ეთრ გრეხილებს.

ეორენაირ სადიაცოს კალთამაკერებული სადიაცო ჰქვია.
ერება იმავე სახისა, როგორც პირველი, მაგრამ სკლატს
არ უკეთებენ, არამედ ჰქარგავენ მარტო ნაჭრელათი—სხვადასხვა
ერის ძაფით. ზიკ-საშწყვეტულასაც ტოლისას უკეთებენ, სკლა-
ის ნაცვლად კალთამაკერებულს დააკერებენ ხოლმე **უბე-საკერა-
ას.** იქსოვება **ლვედა-კაჭკაჭიანი.** მთლიანად შავ-თეთრი ძაფისა.
შეღებავენ ტუტაში ცისფრად ან ენდროში, წითლად ან რუხად.
ამ შალს დასჭრიან წინა კალთის სიგრძეზე, წააკერებენ უბეზე და
ფარაგის მარჯვენა გვერდზედაც ააკერებენ იღლიის ძირამდე.

კალთამირგვალას ქსოვენ არშიანს და ცალპირადაც (უბრა-
ლოდ), მხოლოდ შალი კარგად მოთელილი უნდა იყოს. იქსოვება
ყველანაირი ფერისა. მოქსოვის შემდეგ გასჭრიან ფარაგიდან მუხ-
ლებამდე. ამ ტოლს შეღებავენ ნახევარს ლურჯად ან რუხად, —
ახევარს წითლად. შემდეგ ამ ორი ფერის ნაჭრებს მიაკერებენ
ერთმანეთს. ამას **თიკვთი** ჰქვია. შალს კი **სათიკვე.** თიკვთსა და
მირგვალას ერთმანეთს მიაკერებენ. თიკვთს ძალიან ლამაზად დააჭ-
რელებენ სკლატ-აბრეშუმით—ნაჭრელათი და შიბაითი და შუა
ჩააყოლებენ სირმის გრეხილს. კალთამაკერებულს წააკერებენ
სამ ქოქომს—შავს, რუხსა და წითელს. შილიფაწაკერებულს, ზოგ-
ჯერ ქოქომოსაც წააკერებენ. ქოქომო შეიძლება არშიანი იყოს ან
სადა. ფარაგს დააკერებენ ხოლმე მძივებსა და ძვლის ღილებს, მაგ-
რამ უფრო ნაკლებად შეამკობენ ხოლმე. სახელოებს მოქარგავენ,
როგორც სადიაცო სახელოებს.

ზაფხულში, ტყავის მაგივრად, დიაცები წამოისხამენ ხოლმე
ფაფანაგს, ქოქლოს, ქათიბს.

ფაფანაგი წამოსასხმელია, სადიაცოს ზემოდან. იკერება საუკე-
თესო შალისა—ტოლისა. ტოლს ქსოვენ ოთხი მკლავის სიგანეს,
არშიანს. მოქსოვილს გარეცხავენ, მოთელავენ მაგრად და დასჭრიან

ცხრა აზლოტს, უკეთესია თორმეტი. ბეჭებში სიგანე აქვს ოთხი მტკაველი. მხრებიდან წელამდე ორი მტკაველი. აზლოტის სიგრძე წელიდან ბოლომდე სამი მტკაველია, სიგანით—ბოლოში ერთი მტკაველი, თავში სამი თითის დადება. აზლოტები დაჭრელებულია ტომრისა და ჩოხის შიბაით. ტომრის შიბაი თავიდან ბოლომდეა, აზლოტის გარეთა ნაპირზე მოკერებული აქვს ჩოხის შიბაი, დაკავკაული. აზლოტებს დააწყობენ ერთმანეთზე, დაადებენ ზედ მძიმე ქვას, რომ კარგად დაიკეცოს, ფაფანაგს წელზე განივრად აჭრელებენ ჩოხის შიბაით, სწორით ან დაკავკაულით, აგრეთვე ჯვრებით, ბარწულებითა და კვერათი. შემდეგ, ფაფანაგზე ჩამოაგდებენ ორ-ორ სწორ შიბაის. შუაში გაკერავენ დაკავკაულად შიბაითვე. სახელოს ნაკერავებზედაც დააკერებენ შიბაის. შიბაიებს შორის მოქარგავენ დაკავკაულად. საყელოს იმავე ტოლისას უკეთებენ; სიგრძე ოთხი გაშლილი თითია, სიმაღლე—ორი თითი. დააჭრელებენ სწორი შიბაით და დაკავკაულით. ყველა ამის შემდეგ ფაფანაგს შეღებავენ ლურჯად. აზლოტებსა და კალთებს შორის ამოუკერავი რჩება ორივე გვერდები. ამ გვარდებს ეწოდება **სამხედრო**. ორი მტკაველის სიგანისაა. სამხედროს აჭრელებენ სკლატითა და აბრეშუმით. ნაპირზე მოაკერებენ ლურჯი შალის ნაფთულას, ცერის სიგანისას, ამოქარგულს სხვადასხვა ფერის ორი წყვილი შიბაით, შემდეგ — წითელი სკლატის ნაფთულასა და მერე წითელი ან ლურჯი აბრეშუმის შიბაის. სამხედროს გაკეთების შემდეგ შეუდგებიან კალთების გამოყვანას. კალთებს მოაკერებენ სკლატის წითელ ნაფთულას; ამას მოავლებენ ჭრელი აბრეშუმის შიბაის. სკლატს წითელივე სკლატით გახიდავენ სამ ალაგას. მას შუა ჩააკერებენ ყვითელი სკლატის მარტუღებს. მარტუღებს შემოავლებენ სირმას. აზლოტებს ბოლოებზე მოაკერებენ წითელი სკლატის ნაფთულას ორი თითის სიგანისას შიბაით და დააჭრელებენ. შემდეგ მოაკერებენ ისევ ყვითელი სკლატის წკეპრას. ყვითელი სკლატის წკეპრას მოავლებენ წითელი სკლატის ნაფთულას. ამას დააჭრელებენ ჭრელი შიბაითი. შიბაით შუა, ნაფთულის ნაპირზე სისვი აბრეშუმით მოქარგავენ დაკვაკულს. ამას გარშემო მოსდევს ყვითელი და თეთრი დაკბილულა, ირგვლივ წითელი სკლატის წკეპრა. სახელოებს დააჭრელებენ სხვადასხვა ფერის სკლატის მარტუღებითა და ჯვრებით. სახელოებსაც აქვს სამხედროები, ნაპირებზე შილიფა შემოვლებული (შილიფა ყაითანია). სამხედროს სამ ალაგას აქვს ღილი და შატა.

ქოქლო ანუ კაბურა. ამისი ტოლიც საუკეთესო იქსოვება. ტოლს სიგრძე სამი მტკაველი აქვს. ტოლს მაგრად მოთელავენ და გამოსჭრიან ისე, როგორც ფაფანაგს. ქოქლოსა და ფაფანაგს შორის ის განსხვავებაა, რომ კაბურას დიდ სამხედროებს არ უკეთებენ. შეღებვის შემდეგ კალთებს და ფარაგის მხარ-სახელოებს ან წითელ ნაფთულას დაატანენ ან ნაფთულაზე აბრეშუმის შიბას დააყოლებენ სხვადასხვა სახით, ვისაც როგორ სურს. კალთებზე მოაკერებენ შილიფებს. ფარაგებისა და სახელოების წვერებს შემოავლებენ რუხ ან წითელ შილიფებს. სახელოებს წვერები გახსნილი აქვს. სახელოებს გადაიგდებენ მხრებზე, როცა სურთ. ბეჭებს აჭრელებენ ნაჭრელათი, მარტუღებით, სკლატის კვერილებს დააკერებენ კუთხად და მრგვლად, აგრეთვე ხოხბის თვალებს. გარეთა ნაპირზე, წელისა და აზღოტების თავებზე სამი თითის სიგრძით ჩამოკიდებულია სკლატის ნაფთულები, იმნაირადვე აჭრელებული, როგორც მხარ-სახელოების თავები.

ქათიბი—იკერება მხოლოდ ნაყიდი ჩითისა ან სატინისა. წითელი ან ლურჯი. ჩითს დასჭრიან როგორც ფაფანაგისათვის ტოლს. სარჩულს უდებენ მხოლოდ ბეჭებზე. წელზე—ნაოჭები. იღლია გახსნილი აქვს. სამხედროს მარტო სახელოებზე გააბამენ ერთი მტკაველის ოდენას. წელზე ნაკერავებს დააკერებენ შალის ნაფთულას, ან სისვ-წითელ მიტკალს. აგრეთვე მხარ-საყელოს და ფარაგს. ქათიბს ბოლოებზე მოაკერებენ ბატკნის ბეწვს—**მაშთაგს,** ქათიბის ფერისასვე. მაშთაგს მოსდევს წითელი მიტკლის დაკბილულა. ბეჭებზე—აჭრელებულია, შიბაით, მძივებით და ღილებით.

სარტყელი—დედაკაცები იკრავენ სადიაცოზე. მზადდება მატყლის ქსოვილისა; სიგანე აქვს ერთი ხელის გაშლა; სიგრძე 5 ადლი. კეთდება წითელი, შავი ან ლურჯი. ბოლოებზე აქვს შილიფა, წელზე ირტყამენ ორფათ.

მანდილი—თავსახურავია, მხოლოდ ქმრიანი დედაკაცებისა. სიგანე აქვს ერთი მტკაველი და 4 ღვინჭი. სიგრძით ხუთი წყრდაა, ფესვებიანად. ფესვებს სიგრძე — ერთი წყრთაა. ფესვები იქსოვება ყაითანივით. მანდილი ლურჯია ან შავი. ნაპირზე შემოვლებული აქვს ჭრელი შიბაი, დაჭრელებულია ნაჭრელათი, გემოვნების მიხედვით. ნაჭრელას მოსდევს ჭრელი შიბაი, შემდეგ—დაკავკაული ფესვებიდან ერთი მტკაველის სიგრძეზე ააჭრელებენ ლამაზი შიბით და დაქარგულით, აგრეთვე აბრეშუმის ძაფით. მოქარგულებში დასტოვებენ თავისუფალ ადგილს სამი თითის დადება-

ზე. შიგ ჩახატავენ დიდ ჯვარს გეშოვნების მიხედვით. ჯვარზე ამოქარგავენ პატარა ჯვრებს. ფესვებში ჩატანებულია სხვადასხვა ფერის ბამბის გრეხილები.

სათაურა ანუ თავსაცმელა.—კეთდება ლურჯი ან წითელი სკლატისა. დააჭრელებენ ნაჭრელათი. (თუ ეს არა აქვთ, მაშინ ტომრის შიბაით ნაბადს შავად მოქარგავენ). მორთავენ ამავე სკლატის სხვადასხვა ნაფთულით. ნაფთულებს შუა გააკეთებენ ნაჭრელებს—ჯვრებს ან დაკავკაულას. შემდეგ დააკერებენ მძივებს. დაჭრელებულ ზედაპირს ზემოდან დაადებენ მუთაქისებურ პატარა ბალიშს,—მოღუნულას, რომელიც შუბლსა ჰფარავს, ერთი ყურიდან მეორემდე. ბოლოებზე მოკერებული აქვს შილიფა. ამით შეიკრავენ კეფის ძირზე. თავსაცმელის ზემოდან გადაიფარებენ მანდილს.

ქოჭაი—სილამაზისათვისაა. ყელზე იხვევენ. სამი თითის სიგანისაა, ლურჯი შალისა. მოქარგულზე დააკერებენ მძივებს და ღილებს. ბოლოებზე აქვს შილა, რომელსაც ჩაუშვებენ ფარაგის შიგნით.

სათმე—ძველად იხმარებოდა თმის ნაწნავებში ჩასატანებლად. დაწნული იყო გრძელი შილიფისაგან 11—12 ცალი, ნაწნავების რიცხვის მიხედვით. აჭრელებული იყო მძივებით, ბოლოებში მძივები ქუჩუჩებითა და სკლატით.

ხელსახვიელა.—ქალის გრძელ თმას გაწეწავენ, დაართავენ და დაწნავენ, შიგ ჩაურთავენ 5-6 მტკაველის შილიფს, მძივებით შემკულს. ერთ ბოლოში დააკერებენ ღილებს, მეორეზე—აბრეშუმის ძაფით ყულფებს—შესაკრავად. ხელსახვევს ხმარობენ მხოლოდ მარჯვენა ხელზე, დედაკაცებიც და მამაკაცებიც, რომ ხელი არ დაიღალოს მუშაობით. ასრულებს ერთგვარი პროტეზის როლსაც, როცა რომელიმე ხელის კუნთები დაზიანებულია.

ბაჭიჭები.—ქალების ბაჭიჭები იქსოვება წინდის-ჩხირებით. სიგრძით—კოჭებიდან საბაწრემდე (მუხლამდე). თავსა და ბოლოზე მიაკერებენ შილიფას. სათავეებზე მოაბამენ ბაწარს, რომლითაც დაიმაგრებენ მუხლებთან. ახალგაზრდა ქალის პაჭიჭები ბოლოებზე დაჭრელებულია.

თათები—დედაკაცებისაც ორნაირია: **საქალმე** და **ამოკერებული.**

ტყავი—დედაკაცისა სულ არა ჰგავს მამაკაცისას. იკერება ცხვრისა, ხბოსი და შუნჯიხვისა (დედალი ჯიხვისა). სიგრძით მუხ-

ლებამდე ან ცოტა გრძელიც. ნაპირებზე, კალთებსა და ბოლოებზე შემოკერებული აქვს ხბოს ტყავი,—ჭრელი (ხნიერი დედაკაცებისათვის—შავი ან წითელი). ეს შემოვლებული ტყავი ხელის დადების სიგანისაა. ჰქვია **სამწავე**. ასე შემკულ ტყავს **ძოძწაული** ჰქვია. ხბოს ტყავს მოსდევს წითელი შილა. სამწავე აქვს სახელოების ბოლოებზედაც, ბეჭებსა და ფარაგზე მოკერებული აქვს შავი მაშთაგი, ან ჯიხვის თავის ან ფეხების ტყავი. საყელოზე მოყოლებულია ჯიხვის ყურებიც. ამრიგად საყელო ფარავს ბეჭებსაც. საყელოსა და წელს შუა ადგილას ააჭრელებენ იღლიისძირით. იღლიისძირი სამია—სამკუთხედი, სკლატი აჭრელებული მძივებით და ნაჭრელათი. იღლიისძირებს დააკერებენ სამკუთხედებათ თითოს აზლოტებზე და ერთს ბეჭებს შუა. იღლიისძირის გარშემო, ზოგჯერ, მოქარგავენ ხოლმე ჯვრებით.

ჯღანი—იკერება ხარისტყავისა. ტყავს მოთელავენ კარგად, შერე გამოსჭრიან და შეკერავენ ჯღანს ყურებიანი მესტებივით. ძირს გაბანდავენ თასმებით, შიგ ჩააგებენ დაფხვნილ ჩალას ან თივას.

მკურნალობა

დიდ ინტერესს წარმოადგენს ხევსურული მკურნალობა, როგორც ხალხური, შეიძლება ითქვას პირველყოფილი მკურნალობა. ამ მკურნალობაში, რასაკვირველია, დასტაქრული მკურნალობა უკეთესად არის განვითარებული, ვიდრე შინაგან ავადმყოფობათა მკურნალობა, რადგანაც ჭრილობა უფრო დასანახი, მისაწვდომი და რეალურია განუვითარებელი გონებისათვის. წამლებით მკურნალობის გარდა, შინაგან ავადმყოფობას როგორც ყველგან, ხევსურეთშიაც, შელოცვითაც მკურნალობენ, განსაკუთრებით იციან შელოცვით მკურნალობა წითელი ქარისა და შეშინებულისა. შელოცვით მკურნალობა შეიძლება შევადაროთ შთაგონებით მკურნალობას. შელოცვით მკურნალობენ მხოლოდ დედაკაცები.

სანიმუშოდ მოვიტან დამახასიათებელ ორ ლოცვას.

წითელი ქარის ლოცვა

სახელო ხვთისაო, სახელითა ხვთისათა ისხდეს დედანი, მამანი კარსა სამოთხისასა, იტყოდეს წამალსა. რაის წამალსა? წითელი ქარისასა, ყვით-

ლის ქარისასა, პირქვა მაარულისასა, სუროვანდი-
სასა. ჩვენ სამნი ძმანი ვიყვენით: მათე, ივანე, მარ-
კოზი. მთასა წავედით, კვალი მივკვლიეთ, კვალი
მივკვლიეთ, ხავრისა, ხიარაჯისა, წითელი ქარისა,
ყვითლის ქარისა, პირქვა მაარულისა, სუროვანდი-
სა. ორბი იყო ორბისა, მხართა შუა გაზრდილი.

ორბსა ლარი დაუგით, ლარი აბრეშუმისა;
მოვიდოდა ქრისტე ღმერთი ცხრით მღვდელითა,
ცხრით დიაკვნითა, ერთად ღაღადებითა. ველთა
ველი ორი, ტანთა ტანი ორ, ვაჟყმას მოხვდები,
ქალყმას მოხვდები, ხორცსა დაადნობ, სისხლსა
დაადენ, ჟამსა ამტეხენ, ჟამსა ღამეებისასა, ჟამსა
ამტეხენ, ჟამსა თენებისასა, გამე, გამაიკრიფე,
წყალთა შუა თევზივითა, თორემ გამოგიყონ
ღვთისა შეწევნითა, ცხრანი უკვრენ შენს ჭირს,
შენს სატკივარსა, ცხრანი ანიავებენ ოქროს ფიწ-
ლითა. ფუი, ჯვარი გეწერას, ეგრამც მალე მარ-
ჩები!

შეშინებულის ლოცვა

დაწყებამდე აიღებენ რაიმე ჩვარს, დაკეცავენ ორად ისე, რომ ჩვარის ყურები ერთმანეთს გაუთანაბრდეს. შუაში გაურჭობენ ნემსს. შემდეგ ჩვარს დაახვევენ მაგრად, რომ ნემსი დაიმალოს. ჩვარს გულზე დაადებენ შეშინებულს, ზემოდან რამე რკინას და შემლოცველი ზემოდან დაადებს ხელს. შემდეგ იტყვის ლოცვას:

გულო, გულის ალაგასა, ჩაჯექ თავის ალაგასა,
თეთრი ქორი ქანდარასა, ქათამი—საბუდარსა. გუ-
ლო, რამ შეგაშინა? ცის ქუხილმა? მიწის ძვრამა?
ხარის ყვირილმა? ცხენის ჭიხვინმა? ზვავის ქუ-
ხილმა? მამლის ყივილმა? დედლის ჭყივილმა? გუ-
ლო, გულის ალაგასა, ჩაჯე, თავის ალაგასა.

შემლოცველი ლოცვას იტყვის სამჯერ. მერე გახსნის ჩვარს და გასინჯავს ჩვრის ყურებს. თუ ერთ-ერთი დასჭარბდა, მეტი მოვიდა, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ გული შეშინებულია; ამიტომ შემლოცველი იმდენხანს გაიმეორებს ლოცვას, ვიდრე ყურები გატოლდება. ხევსურების რწმენით ყურები აუცილებლად გატოლდება და ავადმყოფიც განიკურნება.

ავი თვალის წინააღმდეგ ლოცვას ასეთი წესი აქვს. დიდხუთშაბათის დილით შემლოცველი დედაკაცი ხმაამოუღებლივ წავა, ცხრა სხვადასხვა წყაროზე და თუნგში ჭიქით მოაგროვებს ცხრა ჭიქა წყალს. მოიტანს შინა და აადუღებს. თან თითო-თითოდ ჩაყრის ქაქეშს (ნაკვერჩხალს). თითო ქაქეშზე ჩაიფიქრებს (ახსენებს) იმის სახელს, ვიზედაც ეჭვი აქვს ავთვალიანობისა. ქაქეში თუ აუშუშხუნდა, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ავთვალიანი ის არის, ვინც ამ ქაქეშზე იყო ჩათქმული. ქაქეშის ჩაყრის დროს შემლოცველი ასე იწყევლება: „ეგრემც ჩაიშრიტების, ვინც ჩემს მეკვემურობის სახლყოფას ცუდი თვალით შემოხედავს".

მთელ ამ ცერემონიას **თვალის ჩაშრეტა ჰქვია.**

ამით ვათავებთ ამ სავსებით ცრუმორწმუნეობის ამბავს და გადავდივარ იმ მკურნალობაზე, რომელსაც შეიძლება ნამდვილი მკურნალობა ვუწოდოთ, თუმცა აქ ბევრი რამ შეგვხვდება უხეშიც, დაუსაბუთებელიც, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, გამოცდილებასა და ცოდნაზე დამყარებულიც.

ხევსურეთში არიან გამოცდილი, სახელგანთქმული ექიმები მაგრამ ხალხს ახსოვს ძველი, სახელოვანი ექიმები. ფშავ-ხევსურეთში სამი ასეთი ექიმის სახელია დარჩენილი. ერთი ყოფილა ფშავის ხევში — **ბაჭყურაისძე**, ორი კი ხევსურეთში — **ბღარათ თათუა** და **გახუა.** ექიმობის გარდა ისინი საზოგადოებრივ მუშაობასაც აწარმოებდნენ: ამორჩეულ კაცებად იყვნენ—სახალხო საქმეების გამრჩეველები და მომგვარებლები და მხედარ-მეომრების მეთაურებიც. საერთოდ ასეა ხევსურეთში—ექიმი კაცი ბრძენ და კითხულ კაცად იყო მიჩნეული. ექიმი თუ საზოგადოებრივ საქმეში არ მონაწილეობს, მისი გავლენა და სახელი დიდი არ არის.

უნდა ითქვას, რომ ამჟამად ფშავ-ხევსურეთში მდგომარეობა დიდათ შეიცვალა. ის, რასაც მოგითხრობთ, სულ ახლო წარსულის ამბავია. ამ რამდენიმე წლის წინათ კი, იმდროს, როდესაც ავტორი საბჭოთა ხელისუფლების მიერ მივლინებული იყო ფშავ-ხევსურეთში, როგორც ექიმი, მდგომარეობა სულ სხვანაირი იყო. იქ ჯერ ისევ ბატონობდა ძველი ჩამორჩენილი გვაროვნული, საშუალო საუკუნოების კულტურა. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ, ლენინ-სტალინის პარტიამ, დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით აქაც შეიტანა შუქი კულტურისა და ბედნიერი ცხოვრებისა. დღეს ფშავ-ხევსურეთში არის სკოლები, რადიო, საავადმყოფო; უმალ-

ლესი განათლების მქონე ექიმები მომსახურეობას უწევენ მოსახლეობას. ხალხი უკვე მიეჩვია ამათ და თავის ძველ ექიმბაშებს აღარ მისდევს. ხევსურეთში განთქმულმა დასტაქარმა **მგელიკა ლიქოკელმა** შეწყვიტა ექიმობა და მეურნეობას მიჰყო ხელი, მაგრამ თავისი სიცოცხლე ასოცი წლის მოხუცმა ტრაღიკულად დაამთავრა. მას მარცხენა ფეხზე ფლეგმონა გაუჩნდა. ტკივილებმა შეაწუხა. თვითონ გაიკეთა ოპერაცია და წამლობა დაუწყო თავის თავს, მაგრამ ვერა უშველა რა და 1935 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში თავი მოიკლა თოფით.* მგელიკა, ცნობილი დასტაქარი, დინჯი, ტანად მორჩილი, დიდი გამჭრიახი გონების პატრონი იყო, დიდი მეხსიერების მქონე და იმათებურად დიდად მცოდნეც არ იყო ისეთი ძველი ამბავი, გადმოცემა, რომელიც მას არა სცოდნოდა. საუბარიც დინჯი ჰქონდა, იცოდა დაწვრილებით თხრობა

მგელიკა ლიქოკელის სამკურნალო წესები. მგელიკა ლიქოკელის ექიმობაზე ბევრი რამ გვაქვს მოთხრობილი პირველ წიგნში. აქ მსურს დამატებით ვთქვათ მისი სამკურნალო წესების ამბავი.

მგელიკა ჭრილობების მოსარჩენად ხმარობდა **არხვის** (ფრინველია) **ქონს, ირმის კინწვის (ფეხის) ძვლის ტვინს და დათვის ქონს.**

სისხასი (დეზინტერიის) და ყაბზობის წინააღმდეგ ხმარობდა ერთსა და იმავე წამალს — **ხვითოს.** ხვითო არის რაღაცა ბურთულა, ირმის რქის ძირში, გარედან ყვითელია, შიგნიდან თეთრი. ხვითოს ლესავდა წყალში და ისე ასმევდა ავადმყოფს. მგელიკას სიტყვით ეს უებარი წამალია, ორ დღეში ჰკურნავს ავადმყოფს.

ბისტს (თვალზე თეთრი რომ გადაეკრობა) მგელიკა მკურნალობდა **ყოჩნის ნაღველით.** ერთი წვეთი თვალში. ეს წამალი მეტად მწვავეა. ამასვე ხმარობდა სათესლე ჯირკვლების გასივების წინააღმდეგ. წყალში გახსნილს ასმევდა ავადმყოფს ერთხელ ან ორჯერ.

ჭრილობის მოსარჩენად სხვა მალამოსაც ამზადებდა: ორი წილი თხისქონი, ერთი წილი საკმეველი, წმინდა სანთელი, ორი წილი კარაქი, ყაყაჩოს ღეროს წვენი, ერთი წილი **ზინთი** (კევი). მგელიკა ამ მალამოს **ლურჯ მალამოს** ეძახდა.

მეორე რეცეპტი: შაბიამნის ფხვნილი, ჯანდარი (საღებავია) და ფისი, ერთმანეთში არეული. ხმარობდა წამხდარი ჭრილობის

---

* მგელიკასი და მისი მკურნალობის ამბავი იხ. „ბუთი წელი ფშავ-ხევსურეთში", წიგ. I.

მოსაწმენდად. შემდეგ კი ჭრილობას ადებდა მომწვანო ფერის მალამოს. ეს მალამო ჭრილობის დასაამებელ საუკეთესო წამლად ჰქონდა მიჩნეული.

მესამე რეცეპტი: მალამო ყვითელი ფერისა. ხმარობდა ჩირქიანი სიმსივნის გამოსარწყობად, გამოსაწოვად—დარიშხანას ურევდა წყალში გახსნილ ჯანდარში.

ამრიგად, მგელიკა ლიქოკელის აფთიაქში წამლებს საკმაოდ მოუყრიათ თავი, მაგრამ ამ წამლებს ხევსურები თვითონაც, მგელიკას დაუკითხავადაც, ხმარობენ. მგელიკა თავის წამლებს საიდუმლოდ არ ინახავდა. საინტერესო ის არის, რომ ლიქოკელი მკურნალობაში კონსერვატორი არ იყო. ახალ წამლებსაც სცდიდა ხოლმე, ბევრჯერ სცდიდა, და თუ უკეთესი გამოდგებოდა, ძველებს უარყოფდა ხოლმე.

სამკურნალო ბალახები

რადგანაც ხევსურეთი მთაა და ციოვჰავიანია, ამიტომ იქ კულტურული მცენარე ვერა ხარობს. იშვიათად შეხვდება ადამიანი ოჯახს, რომელსაც ბაღჩა ან ბოსტანი ჰქონდეს. ხევსურები ხილად ხმარობენ მთის ველის მწვანილეულობას, ხმილსა და პანტას. მაგრამ ამ ბოლო დროს, საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობით, ხევსურებმა ცოტ-ცოტათი უკვე მიჰყვეს ხელი მებაღეობას. რგავენ და თესავენ ისეთ მცენარეებს, რომლებიც ეგუება ადგილობრივ პირობებს.

ბევრნაირი საჭმელი ბალახია ხევსურეთში. ამათში მეტი წილი სამკურნალო ბალახებადაც ითვლება. მაგრამ არის მხოლოდ წამლად სახმარი ბალახებიც.

საჭმელად და სამკურნალოდ სახმარი ბალახები: შუპყა დიყსა ჰგავს. ფართო ფოთოლი აქვს. ტკბილია. სჭამენ მარტო ძირს (ფესვს), ღეროს კი ხმარობენ კბილისტკივილის წინააღმდეგ, როგორც გამაყრუებელს. **ხოხნუტა** — მოტკიბლოა და ძალიან ცხარე. სჭამენ ძირსაც და ღეროსაც. ძირს ხმარობენ გველის ნაკბენზე. **ტყისკვლია** — საამო სუნი აქვს. ტკბილია. იჭმევა მხოლოდ ღეროთესლს კი ხმარობენ როგორც საუკეთესო სანელს ლობიოსა და ხინკალში. იხმარება კუჭისტკივილის წინააღმდეგ. სვამენ წყალში ჩაჭრილს. **დუცი** — ფართო ფოთლები აქვს. სჭამენ მხოლოდ ღეროს. წამლად იხმარება სიცხის წინააღმდეგ. მოტკბილოა.

მხოლოდ სამკურნალო ბალახები: ყინტორა — სიცხის გამომ-ნელებელი და ოფლმდენი წამალია. ხმარობენ მის ბუბულას, რო-გორც ჩაის. ამავე მიზნით იხმარება **ცაცხვისა** და **დუდგულის** ყვა-ვილები. დუდგულის ყვავილი ტკბილია, ცოტა გალა სუნი აქვს. გრძელი ფოთოლი იცის; ბუჩქნარაა, ტყის მოდგმისა. დიდი არ იზრდება, ქარების წამალია. **ანწლი** — დამწიფებულ ნაყოფისას ხდიან არაყს და იმითი იზილავენ მტკივნეულ ადგილებს. **წყლუ-ლისწამალა** — დაჭრილის წამალია. გაახმობენ, დანაყავენ და აყრიან ჭრილობას. **მთისბობოლა** — წვრილფოთოლაა. იხმარება იმგვარად-ვე. დიდხანს ინახება. **კლდისდუმა** — კლდეზე მოდის. სქელი ფო-თოლი აქვს. ზედა კანს მოაცლიან და ისე დაადებენ ჭრილობას. ტკივილებს აყუჩებს. **შალნისძირი** — ყვავილი ლურჯი აქვს, ძი-რი — თეთრი. დაჩეჩქვავენ, მოხარშავენ რძეში, გააციებენ და და-ადებენ დახავებულ (მსიკან) ადგილზე. მგელიკა ლიქოკელის სიტყვით, სიმსივნე მეორე დღესვე ქრება. **ცხენისტერფა** — მრგვა-ლი, სქელი და თეთრი ფოთოლი იცის. ამოდის კლდეზე. იხმარება სასწრაფო დახმარების მიზნით, მაგ., გზაზე დაშავებისას, ექიმთან მიყვანამდე. **გველისწამალი** — მინდვრის ბალახია. ყვითელი ყვა-ვილი იცის. გველის წამალს იმიტომ ეძახიან, რომ თქმულებით, ეს წამალი ერთ ხევსურს გველისაგან უსწავლია. მას გველი და-უჭრია ცელით. გველი გასრიალებულა, რაღაც ბალახის ყვავილი მოუწყვეტნია და ჭრილობაზე დაუდვია. მერე თავისებურად და-ხვეულა და კლდის ძირში განაბულა, თითქოს ჩასძინებია. ხევ-სურს თვალი დაუჭერია მასზე. ერთი დღე-ღამის განმავლობაში ველი განკურნებულა. იმ ხევსურს ის ყვავილი ჯერ პირუტყვზე უცდია, მერე ადამიანზე. **ჩალალდი** — ჭაობის ბალახია. ყვავილი არ აქვს. წვრილღერაა. ხავის (სიმსივნის) წამალია. იხმარება და-ჩეჩქვილი. **სისხლიანი ბალახი** — ქვიშნარში იზრდება. ყვავილი აქვს და მრგვალი ფოთოლი. რომ მოგლიჯოთ, წითელი წვენი გად-მოუვა. მის ფოთოლს გაახმობენ, დაფქვავენ და დააყრიან ჭრილო-ბას. **სამყურა** — მინდვრის ბალახია. დაღეჭავენ ან დაჩეჩქვავენ და დაადებენ ჭრილობას. **ციცისკუდა** — იმგვარადვე იხმარება, უფრო ხშირად საქონელზე, როცა ის ფეხს მოიტეხს ან დაიჭრის. **ხარი-სენა** — ჩრდილში მოდის. ხარის ენასავით პრტყელი ფოთოლი აქვს. ფოთოლს გაახმობენ მზეზე, დაფხვნიან და დააყრიან ჭრილო-ბას. **აბზინტა** — მზიან ადგილას მოდის. კარგი სუნი აქვს. მისი ფო-თოლი კუჭის ტკივილის წამალია. ფოთოლს გაახმობენ, დაფშვნიან,

ჩაყრიან ჭიქა არაყში და დალევენ. **ბალბა** — ველის ბალახია. დიდი არ იზრდება. წვრილი ფოთოლი და წითელი ყვავილი აქვს. ყვავილს გაახმობენ, დაფხვნიან, აურევენ კაცის ძვლის ფქვილსა და შარდში, მოზილავენ ცომს, კვერივით გამოაცხობენ, გაახმობენ, შემდეგ დაფხვნიან და ჭრილობაზე ხმარობენ. ხევსურების აზრით საუკეთესო წამალია.

მხოლოდ საჭმელი ბალახები. კენკეშა — მინდვრის ბალახია. ტკბილი. იჭმევა მხოლოდ ღეროო. **ბიბუ,** — ესეც მინდვრისაა, ნივრის გემო აქვს. წნილად სდებენ ფოთოლს. **ხიფხოლა** — ერთი ბალახის ძირსა ჰქვიან მის წვერს კი ხიფლისყივა—**ჭიმა.** გემოთი ყველა ბალახსა სჯობია. ძმრითა სჭამენ. **კრავისთვალა** — მისი ნაყოფი ფხილსა ჰგავს. სჭამენ მხოლოდ ძირს. მოტკბოა. **ბიწყინტა** — ტკბილია. სჭამენ მხოლოდ ძირს. ჭამის წინ უსათუოდ უნდა გაირეცხოს. **ბაჩიკა** — მინდვრის ბალახია. ტკბილია. სჭამენ ძირსა და ღეროს. მისი ჭამა უყვართ ხვნა-თესვაში. **მჭივანა** — მის ფოთოლს სჭამენ ძმარშე ჩაყრილს. **თვითმავალა** — წელიწადში ორჯერ მოდის. მხალია. **ნაცარქათამა** — მხალია. **წითელმხალა** — იჭმევა მხოლოდ მოხარშული. **მონადირეთ მხალა** — ტკბილია. **ალოშა**—ტკბილია. ფოთოლს თუ მოვგლეჯთ რძე გამოვა. იჭმევა ღეროო. **ჭერთხალა**—მჟავე ბალახია. სჭამენ მარტო ღეროს. **ველისწიწმატი** — მომწაროა. სჭამენ ღეროს. **მჟავია**—წვრილი ფოთოლი აქვს. **ძირტკბილა** — მრგვალი ძირი აქვს, ტკბილი. იჭმევა მხოლოდ ძირი. **დიყი** — დიდრონი ფოთოლი აქვს. ტკბილია. მარტო ღეროსა სჭამენ.

ფშავი

ფშავლების განვითარების საფეხურები, როგორც ეტყობა, ისეთივე უნდა იყოს, როგორც ხევსურეთისა, მაგრამ ფშავლები გაცილებით წინ არიან წასულნი. ცხოვრების ძველი წეს-წყობილებაზ ფშავლებს უკვე დიდიხნის დავიწყებული აქვთ. აქ აღარ არის სისხლისაღების წესები, საკუთარი რჯული (სამართალი), არც მართვა-გამგეობის საკუთარი ინსტიტუტი. მათ შერჩენილი აქვთ საყოფაცხოვრებო წვრილმანები ადათები, საკუთარი დიალექტი, ძველი სარწმუნოებრივი კულტის ნაშთები.

თვით ფშავლების თქმით, მათი წინაპრები შორეულ წარსულში გამოქცევიან მონურ ცხოვრებას და თავი აქ შეუფარებიათ, მთებში, სადაც მონათმფლობელობა და ბატონყმობა ვერ მისწვდებოდა. ცხოვრობდნენ თავისუფლად, მაგრამ ამ თავისუფლების დასაცავად მათ ბევრი ბრძოლა გადაუტანიათ: არაგვის ხეობის ფეოდალები მუდამ ცდილობდნენ თავიანთი ბატონობა იქაც გაევრცელებიათ. როგორც ხევსურეთშიც. ეს ბრძოლა, თავისუფლების შენარჩუნების ეს სურვილი, იყო იმისი მიზეზი, რომ ფშაველებს დიდ ხანს, ხევსურებს კი უფრო მეტხანს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე შერჩათ თავიანთი ცხოვრების თავისებურებანი. ამის მიზეზია — ერთი მხრით პოლიტიკური და მეორე მხრით — ეკონომიური პირობები. ფშავი მდიდარია ალპიურ საბალახოებით, რაც ხელს უწყობს მეცხვარეობის განვითარებას. ზემოთმოხსენებულ პოლიტიკურ გარემოებას მეორეც მოჰყვა—გაიხსნა გზა ბაზრისაკენ. რუსეთმა მოითხოვა მატყლი. ამან გააძლიერა მეცხვარეობა და ფული შევიდა ფშავში. ფულმა შესცვალა ძველი ნატურალური მეურნეობა. გაჩნდა, ასე ვთქვათ, სამრეწველო მეცხვარეობა. გაჩნდნენ მდიდარი მეცხვარეები და ღარიბი მწყემსები. გაჩნდა კლასობრივი უთანხმოება. ამან კი დაარღვია ძველი გვაროვნული რეჟიმი. მეცხვარე გავიდა თავისი ხეობიდან. კუთხური კარჩაკეტილო-

ბა, უეჭველად, იმანაც დაარღვია, რომ მეცხვარეები ზამთრის საძოვრების გამო დიდი ხნით შორდებოდნენ თავიანთ ქვეყანას.*

ეს პირობები არა ჰქონდათ ხევსურებს. ხევსურეთი უფრო მიუვალი ადგილია. ფეოდალები აგრე ადვილად ვერ უდგებოდნენ მათს ქვეყანას. ხევსურებს ბრძოლა უმთავრესად მეზობელ სხვა ერებთან ჰქონდათ ხოლმე — ქისტებთან. ეს ბრძოლა, თავისი ხასიათით უფრო ყაჩაღური იყო. მეცხვარეობას ხევსურები არ მისდევენ, რადგანაც არა აქვთ ისეთი პირობები, როგორიც ფშავლებს. ხევსურული ძროხა განთქმულია კარგი ხარისხის რძით, მაგრამ კონკურენციას ვერ გაუწევდა რუსეთის მხავალრიცხოვან ძროხებს. ყაჩაღური თავდასხმები ქისტებსა და ხევსურეთს შორის ბოლოდრომდე იყო, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ეს ყველაფერი ერთად ხელს უწყობდა ძველებურ, თემურ-გვაროვნულ წყობის შენახვას.

ასეთია ფშავლებსა და ხევსურებს შორის განსხვავება, თუმცა ტერიტორიალურად ისინი კარისმეზობლები არიან.

მაგრამ ფშავლებში გვაროვნული წყობილებისა და ძველი კულტის ნაშთები მაინც მთლიანად ვერ არის ამოფხვრილი. დარჩენილია, წვრილმანები, რომლებიც არ არიან ინტერესს მოკლებულნი.

გვარები ფშავში

გვაროვნული წყობის თვალსაზრისით ფშავში ყველაზე საინტერესოა უკანა ფშავში მცხოვრები სამი გვარი: **გაბიდოურები** — სოფ. ხოშარაში, შეადგენენ 23 თაობას. **ქისტაურები** — ძირითადათ ცხოვრობენ სოფ. შუაფხოში. რამდენიმე თაობაა. **თურმანაულები** — სოფ. გოგოლაურთაში.

ფშავლების თქმით გაბიდოურები თუშის მოდგმისანი არიან, ქისტაურები — ქისტებისა; გამოსახლებულან სოფ. ღულჩხორეგოდან (ქისტეთიდან). სამნი ძმანი ყოფილან. ერთი დასახლებულა მთიულეთში, სოფ. გაიბოტეში; მეორე—ხევსურეთში, სოფ. ღულში; მესამე — ფშავში, სოფ. შუაფხოში. ფშავში დასახლებულს დარქმევია **ქისტაური** და ეს სახელი მერე გვარად ქცეულა. ფშავში ქისტაურები, სოფ. შუაფხოს გარდა, ცხოვრობენ თხილიანში,

* უმთავრესად გადიან შირაქში.

არახინჯაში, ვანხევში, სტროფაში, მათურასა და ხორხში (წინა-ფშავშია, ჩრდილოეთის მხარეზე).

ქისტაურების გვარის თაობები გამოსახულია აქვე მოთავსებულ სქემაში.



ამ სქემაში მოხსენებული ქოჩანი ყოფილა კუჭუნანის გერი. ბერიკაული კი ქოჩანის გერი. ჩარბოდანი ბერიკაობას დაკარგულა ბავშობაში. უპოვნიათ კუჭუნაანთ. იმათში გაზრდილა და აქვე დარჩენილა. აშკამად მის ჩამომავლობას ჩარბოდაშვილის გვარი აქვს, მაგრამ ქისტაურებს ეკუთვნის. ამ სქემაში მოქცეულია ლულელი ქისტაურების გვარიც. ქისტააურების განაყარნი შირაქშიც ცხოვრობენ, სოფ. ფუძნარში. ყველა ამათ შორის სისხლისაღრევა აკრძალულია. გვაროვნული წესების დამრღვევს (უმთავრესად სისხლისამღვრევს) გვარი აღკვეთს, დასწყევლის საგვარეულო ხატში და განდევნის.

მეორე მთავარი გვარია გაბიდოურის გვარი.



ამ სქემაში აღნიშნულ თითოეულ გვარში კიდე ბევრი მამათთაობა შედის. გაბიდოურების საცხოვრებელი სოფ. ხოშარა, როგორც ეტყობა, მთავარი ფოკუსია ფშავის დასახლებისა, რადგანაც, ფშავლების თქმით, ფშავლების პირველ წინაპრებად გაბიდოურები უნდა ჩავთვალოთ. ნამდვილად კი, ეხლა რასაკვირველია, შეუძლებელია, იმის გამორკვევა, თუ ვინ იყო თავდაპირველი მოსახლე ფშავისა და ვისგან წარმოდგენენ ფშავლები.

ამ ორმოცდაათი წლის წინათ სოფ. ხოშარაში გაბიდაურებისა 70-მდე კომლი ყოფილა. ეხლა კი 3—4 კომლიღაა. დანარჩენები გადასახლებულან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამ 3—4 კომლს მომატებიან ჯალაბაურები (ამჟამად მისრიაშვილები), ცხოვრობენ სოფ. მისრიანთკარში. ჩამომავლობა ამ გვარს მეტად მცირე ჰყავს.

მესამე გვარი, თურმანაულები, შედგებიან:



ბეყონთა განაყარნი არიან ხადიანი, ნაცარანი, საფარანი, ჯანანი. ბრიყვანის განაყარნი — ნაროზანი, ჯავჯუანი, გარანი, ქაჯეფენი. ამავე სოფელში — გოგოლაურთაში სახლობს სხვადასხვა



ეს გვარები შედიან თურმანაულების ფრატრიაში, მაგრამ არა სისხლის ნათესაობით, არამედ ერთ ხატშეფიცულობით.

მოდგმის ათი გვარი, ათი განაყოფი: **მახაურნი, მგელიანი, ტუნტურიანი, კაკაბელნი, საყვარელიანი, ჩიტუანი,** ბუდურანი, **ხახონი, ჯიგრაულნი,** გიგაურნი. გიგაურების განაყარნი არიან; **წოწკურიანი, მლვდლიანი, ცქიფანი, ჯივრაულნი** იყოფიან სამად: **ყაყიჩანი, ნადირუანი, ბალიაურნი.**

ყველა ესენი, თუმცა სხვადასხვა ჩამომავლობისანი არიან, მაგრამ ერთი ხატის ყმადშეფიცულებად ითვლებიან და ამიტომ ერთი ხატის ფრატრიად შეიძლება ჩავთვალოთ. ვინც ახალი მოსახლე მივა და მათ ხატში ძმობას შეჰფიცავს, ისიც იმავე ფრატრიაა მიეკუთვნება. ამაშასადამე თურმანაულთა გვარი უძლიერესი ფრატრიაა ფშავში.

სოფ. გოგოლაურთაში რამდენიც ახალი, უცხო გვარის კაცია შეხიზნებული და ხატს შეფიცული, იმდენი სამანია ჩაყრილი. საერთოდ, როგორც ვთქვით, ეხლა ძნელია გვაროვანი ნათესაობითი კავშირის დადგენა. ჩვენ ვეძებდით მოხუცებულებს, რომლებსაც კარგად ეცოდინებოდათ თავიანთი ეს წარსული. ასეთი ვაცი შემხვდა, დავით თურმანაული, კითხული კაცი. მისი სიტყვით, ყოფილა სამი ძმა თურმანაული. უმცროსი — **გარაი** — ბეჩავი ყოფი-

ლა. განდგომილად დადიოდა ხატის მიდამოებში და თავისთვის ლაპარაკობდა. ყველა დასცინოდა. მე ასე იმიტომ დავდივარ, რომ ვხედავ ორ ხარს, ამბობდა გარაი: ერთია წითლაი, ქვენაით (ქვემოდან) მომავალი, მეორე ნისლაი — ზენაით (ზემოდან) მომავალი. წითლაი დასძლევს ნისლახარს და ისევ ზევით მიაშურებსო. წითელი ხარი ნიშანი იყო გარაის ბედისა; ნისლა კი ლაშარის ჯვარსა. ძმებმა განიზრახეს გარაისათვის ცოლი მოეყვანათ. მაგრამ მას ქალს არავინ აძლევდა. ძმებმა მგზავრს წაართვეს ცოლი და ძმას მიჰგვარეს. ხალხმა ეს არ იყაბულა. ლაშარის ჯვარში შეიკრიბა, გარაის ჩაქოლვა სურდა. გარაი წყალში გადახტა. ხალხს ეგონა, წყალი დაახრჩობსო. მაგრამ გარაი წყალში სამჯერ ჩავარდა, გაიბანა, მერე მივიდა და ლაშარისჯვრის დროშა აიღო. ამით მან ხალხის პატივისცემა დაიმსახურა. შემდეგ იგი გაუძღვა ხალხს, ქრისტეს დაეცა, დაამარცხა და მრავალი ნადავლით დაბრუნდა.

სოფ. მუქოში მარტო წოწკურაულები ცხოვრობენ. ესენი პატარა გვაროვნულ ფრატრიას წარმოადგენენ:



ამ ფრატრიიდან ზოგი თურმანაულების შმადნაფიციპ, გოგოლაურების ხატისა. წიკლაურების განაყარნი გადასახლებულნი არიან ხევში. ისინი გვაროვნულ ურთიერთობას არ სწყვეტენ თავიანთ ფშაველ მოგვარეებთან. ფშაველების თქმით ეს წიკლაურები ხევსურეთიდან, სოფ. ბლოდან გადმოსახლებული წიკლაურის ჩამომავლები არიან. ის კი კაცისმოკვლის გამო ყოფილა გამოქცეული საშშობლოდან.

სოფ. ცაბაურთაში სამი მთავარი გვარია: **გოგანი, ბეკი, მიგრი.** ვიღაცის, შორიდან მოსულის გერის ჩამომავლები არიან. ამათ შეიძლება ვუწოდოთ ცაბაურების ფრატრია.



მიგრიაულთა გვარის წარმოშობას ასეთი გადმოცემა აქვს. სამ ძმაში ერთი ყოფილა უქმური, მიუკარებელი კაცი. ამ ხასიათის გამო მას დარქმევია **მიგრი.** ვერ შეგუებია თავისიანებს და გადასახელებულა სოფ. წინაკარში. შემდეგ ამ სოფელს დარქმევია მიგრიაურთა. გოგა და ბეკი დარჩენილან ცაბაურთაში. მათი ჩამომავალნი ამჟამად სხვადასხვა კუთხეში არიან გადასახლებულნი. ზოგი სხვა გვარსაც ატარებს: მაგ., გოგანის ჩამომავლობა პანკისის ხეობაში ცხოვრობს — სოფ. პანკისსა და კინთაში *.

მეშვიდე გვაროვნულ ფრატრიას შეადგენენ **გულბათაანი****. მა-

* სოფ. ცაბაურთაში ერთი განსაკუთრებული ძეგლია. იქ მარხია ტაბოსტ-ჭრუნიშვილი, დიდ განთქმული ვაჟკაცი.

** გულბაათის გვარს ჰყოლია ერთი განთქმული ვაჟკაცი — გულბათი (საერთოდ ყოველ გვარი ამაყობს, რომელიმე გმირით, რომელიც გვარში ჰყოლია ოდესღაც). გულბათზე ლექსია გამოთქმული:

ჩოლოგაურთა გულბათო,
ღმერთმა გიცხონოს მკვდარია!
თორმეტთა შუა დაბრუნდი,
როგ მეკალოე ხარია.
მარჯვენა მოგჭრეს ლეკებმა,
მარცხნივ იხმარე ხმალია.

ში უწინდელი ძირითადი სოფელი იყო ჭიჩო. ამჟამად აქ გულბათაანი მხოლოდ რამდენიმე კომლია. სხვები სხვადასხვა სოფელშია გაფანტული, გადმოცემით, გულბათაანი მოდგმით ოსები არიან.



სოფ. უძილაურის გვარების ამბავი კარგად ვერ გავიგე, რადგან ვერა ვნახე ამისი მცოდნე ადამიანი. ამ სოფელში შვიდი მთავარი გვარია, სხვადასხვა მოდგმისა. მაგრამ, რაკი მათი ძირ-ფესვი ვერ გავიგეთ, ყველა ესენი ერთ გვაროვნულ ფრატრიაში მოვაქციეთ:



ამ გვართა განაყარნი სხვადსხვა სოფელში ცხოვრობენ, თვით ამ სოფელში კი ეგზოგამიური წესია.

აქ მოხსენებულ გვარებს ჰყავთ თავიანთი მამათთაობა, მაგრამ

არ ვიხსენიებთ, რადგანაც ამას ჩვენი მიზნებისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

ვაკესოფელი სხვადასხვა გვარებისაგან შედგება, ამიტომ ამათაც ერთ გვაროვნულ-ტერიტორიალურ ფრატრიაში მოვაქცევთ.



კარატელების გვარის წარმომადგენელნი სოფ. ვაკესოფელში ცოტანი არიან. დანარჩენნი გადასახლებულნი არიან ზემოთიანეთსა და პანკისის ხეობაში. ბოკვერანი უძველესი განაყარნი არიან კარატელებისა და გვარ-სისხლის კავშირი მათში დღესაც მტკიცედაა დაცული. ადგილობრივი გადმოცემით კარატელები ყველაზე ძველი გვარია სოფ. ვაკესოფელში. მეგრელანი სამეგრელოდან არიან ვადმოსახლებულნი, ჯალაბაურნი ქისტეთიდანო.

სოფ. ელიაგზა ბოლოსოფელის უკანაფშავში. აქ სულ რამდენიმე კომლი სახლობს. მკვიდრი გვარია **ბობლიაშვილები,** წინათ **დავითიანები.** ესენი დღეს ოთხ თაობას შეადგენენ.



ამავე სოფელში ცხოვრობს ერთი სხვა გვარიც—**მამიაური**, რა-ოდენობითაც ხევსური. მათი განაყოფნი ცხოვრობდენ სოფ. ჭიდალში.



სოფ. ჭიდალში ცხოვრობს ერთი სხვა გვარის კომლი, უძილაურების ფრატრიისა, და შედის კოჭლანის ძმათა თაობაში. სოფლები—ვაკესოფელი, ელიაგზა, ჭიდალი, ჩალახევი ბოლო სოფლებია უკანთუშავში. ამათი მთელი მოსახლეობა ერთი ხატის ყმად თვლება და სისხლის ადგილი აკრძალული აქვთ. სოფ. ახალაში

მთავარი გვარია **გოდერძაულების** გვარი. ადგილობრივი თქმით, ესენი არიან ერევნიდან გადმოსახლებული მაჰმადიანების ჩამომავალნი. ამჟამად ცხრა ძმათა თაობად იყოფა.



ყოველ ამათგანს ჰყავს ახლო განაყარნი. ამ ფრატრიაში სხვა გვარის წარმომადგენლებიც ურევიან, მაგრამ ისე არიან ერთმანეთში შერწყმულნი, რომ მათი გამოცალკავება საჭიროდ არ მიგვაჩნია. სოფ. ახადაში ცხოვრობს ერთი სხვა გვარიც დავითიანების მოდგმისა, ეხლა **ბობლიაშვილების** გვარს ატარებს. ყველა ესენი ერთი ხატის ყმებად ითვლებიან, როგორც საერთო წესია ფშავში, და სისხლის აღრევა ეკრძალებათ.

სოფ. მათურაში მთავარი გვარია **თადიური**, ცხრა ტოტად გაშლილი. რომელ ტოტში რამდენი თაობაა, ნამდვილად ვერ გავიგეთ. ამიტომ ყველანი ერთ გვაროვნულ ფრატრიაში მოვაქციეთ.



ამ ფრატრიაში შემავალი ზოგიერთი გვარი წარმოშობით უცხო ტომისაა.

სოფ. მათურის კარგა მოშორებით არის სოფ. ბახია. იქ ორი კომლია, ქისტაურების განაყარნი, სოფ. შუაფხოდან წამოსულნი. გვარად **ელიზბარაშვილი.** ბახიას ახლო, სადღაც მთის ძირში, სახლობს ერთი კომლი—გიორგი **ხუციშვილი,** განთქმული მოშაირე. გადმოსახლებულია სოფ. ქუთხიდან, სადაც მისი ძმა ცხოვრობს.

ასეთია უკანაფშავლების გვაროვნული სურათი. რაც შეეხება წინაფშავის გვაროვნულ წყობას, უნდა ვთქვათ, რომ მას ვერ ვეხებით, რადგანაც აქედან ბევრი გვარი უკანაფშაგის გვაროვნულ ფრატრიებში შედის და მათი გამოცალკევება ძნელია.

მთელი ფშავის ხეობა კი ერთ დიდ ფრატრიას წარმოადგენდა, რადგანაც ითვლებოდნენ ლაშარის ჯვრის ყმებად.



სარწმუნოებრივი კულტი

სარწმუნოებრივ კულტს იგივე ხასიათი ჰქონდა, რაც ხევსურეთში მაგრამ მასში დღეს ბევრი წვრილმანი დავიწყებულა.

საკულტო დისციპლინა ისეთი მკაცრი ალარ არის, როგორც ხევსურეთში. ფშავის ხატობაში დაკვრაც შეიძლება, ცეკვაც, თამაშიც*, ქალ-ვაჟთა გახუმრებაც. ყველაფერი ეს ხევსურეთში სასტიკად აკრძალულია. ხატობა ფშავში უკვე ქეიფის მიზეზად იქცა და თავისი ძველებური სამლოცველო მიზანი დაკარგული აქვს.

გვაროვნულ კავშირზე, ზოგადად, იგივე შეიძლება ითქვას, რაც ხევსურულზე ითქვა. უმთავრეს გამამტკიცებელ როლს აქაც თამაშობს სისხლით ნათესაობა და კულტი. სისხლით ნათესაობა გამოიხატება უმთავრესად სისხლისაღრეკვის აკრძალვაში, რაც ხშირად, სისხლის ნათესაობის გარდა, რელიგიური ელემენტიც უდევს.

კულტით შექმნილი კავშირი უმთავრესად გამოიხატებოდა ხატობაში. როგორც ვიცით, მთელს ფშავს ერთი საერთო ხატი ჰყავდა— **ლაშარის ჯვარი**. გვარებსაც ჰყავთ თავთავიანთი საგვარეულო ხატები, როგორც ხევსურეთშიაც. საგვარეულო ხატობას **სერობა** ჰქვია. გრძელდებოდა მთელი ზაფხულის გამავლობაში. ამ ხნის განმავლობაში ყველა გვარი ცალკე იხდიდა თავის დღეობას. გვარის წარმომადგენლები ყველა მხრიდან იყრიდნენ თავს. მოჰყავდათ საკლავი, აქ ქეიფობდნენ. ამტკიცებდნენ ნათესაობას. თითო გვარის სერობა თითო კვირას გრძელდებოდა. ერთი გვარი რომ გაათავებდა სერობას, მეორე დაიწყებდა, მეორეს მოსდევდა მესამე.

ლაშარის ჯვარი ფშავლების საერთო სალოცავად, ბატონად, მცველად, მეფედ ითვლებოდა. ლაშქრობაში მისი დროშა მიუძღოდათ წინ. მშვიდობიანობის დროს მისი გალავანი იყო სახალხო საქმეების გარჩევის ადგილი. აქ ყოველწლივ იმართებოდა დიდი დღეობა **ლაშარობა**. ყველა ფშაველი, შორს გადასახლებულებიც თავს იყრიან აქ. მოჰყავთ საკლავი. ხევსურებიც მოდიან. აქ, იგივე ხდება, რაც სერობის დროს, მაგრამ უკვე შეერთებულად, მთელი ფშავის ხევის მონაწილეობით. **ლაშარობა, ანუ საკვირაო,** იცის ალდგომის მეორე-მესამე კვირას,

ლაშარისჯვარზე ასეთი გადმოცემაა დარჩენილი: იმ ადგილს, სადაც ამჟამად ლაშარისჯვარი ასვენია, უწინ რქმევია **ლაშარი** აქ იყრიდნენ თავს ძველი მეომრები, ფიცს სდებდნენ. მოლალატეს სდევნიდნენ თემიდან... თამარ-მეფემ აქ მოიტანა ჯვარი, და ამის შემდეგ ამ ჯვარს დაერქვა ლაშარისჯვარი.

ლაშარის გორა უწინ რომ მარილაც საბჭო ადგილი ყოფილა, ამას ამტკიცებს ნაგებობათა ნაშთები.

ლაშარის გორა საკმაოდ მაღალია და ძნელად მისადგომი. მწვერვალი ოდნავ მოვაკებული აქვს. იგი მდებარეობს უკანა ფშავის თემში, სოფ. ახადის პირდაპირ ვაკეს ამშვენებს ბებერი იფნები. ერთგან ხელოვნურად გაკეთებული მოედანია, ყორით შემოვლებული. ყორის შიგნით ქვის გრძელი სკამებია. აქვეა ყორით აშენებული ორი-სამი დარბაზი. ერთ ბებერ იფნის ტოტზე დიდრეოლებიანი ჯაჭვია შემოხვეული. ერთგან ქვიტკირით ამოშენებული ორმოა. **სასაკლაო** ჰქვია. უწინ თურმე ამ ორმოს პირზე კლავდნენ ომში მოტაცებულ საქონელს, ორმო თუ გაივსებოდა ასეთი საქონლის სისხლითა ეს იმისი ნიშანი იქნებოდა, რომ ფშავლებს დიდად გაუმარჯვიათ ომში. მაგრამ მარტო ნადავლ საქონელს არ ჰკლავდნენ ამ ორმოს პირად. სალაშქროდ წასვლისასაც, მსხვერპლი აქ იკვლოდა. ლაშისჯვარობასაც.

ამ გორაზე წინათ ყოფილა ერთი დიდი მუხა. კენწერზე ოქროს შიბი ჰქონია გაკეთებული. მუხა იმდენად მაღალი ყოფილა, რომ მის კენწეროდან შორს მანძილზე ჩანდა მიდამო და მომავალი მტრის დანახვა შეიძლებოდა. ეს მუხა საყარაულო-საზვერაო იყო. ამიტომ მტრებს სურდათ ამ მუხის მოჭრა—მოესპოთ საზვერაო და ოქროს შიბიც ჩაეგდოთ ხელში. ყოფილა ვილაც აფციაური, ფშავ-ხევსურეთის დაპყრობის მსურველი. მას მოუჭრია ეს მუხა, მაგრამ ძირგამოჭრილი ეს ხე არ წაქცეულა სანამ აფციაურს მის ძირში არ დაუკლავს შავი კატა. წაქცევისას ის ოქროს შიბი მოწყვეტილა და ცაში გაფრენილა გველის წივილით—ასეთია გადმოცემა. ამაზე ლექსიც არის გამოთქმული:

ტიროდა ლაშარის ჯვარი
ღვთის დაბადების პირითა:
ხეელ გორზე მედგა ბერმუხა
მორეული ოქროს შიბითა.
სულძალმა აფციაურმა
აჩეხა ბრუნა ძირითა,
უკულმ ჩაუდვეს საყელო
თავის ქალ-ქალის შვილისა.

ფშავ-ხევსურებმა აფციაური ჯარით უკან გაებრუნეს. მან მათი დაბეგვრა ვერ შესძლო. ფშავ-ხევსურების ძალი რწმენით ლაშარისჯვარი ყველა გასაჭირში მიეშველება მათ.

ლაშარის ჯვარის ლურჯასა
ფაფარი ასხავს გიშრისა.
თავის ყმათ მიეშველება,
ხან რო არ იყოს მისვლისა.

იფნზე შემოხვეული ჯაჭვის ამბავი ასეთია: თამარ მეფეს დაუმარცხებია ქისტები. იქ შეხვედრია ერთი მჭედელი **ჯალაბაური**, განთქმული ხელოსანი. დასაკეც ხმლებს აკეთებდა თურმე. თამარს მოუსურვებია მისი წამოყვანა, მაგრამ მჭედელს უარი უთქვამს. მაშინ თამარს უბრძანებია მისთვის, ისეთი ჯაჭვი გამოსჭედე, მისი რგოლი ყველა კაცს მოერგებოდეს კისერზეო. ჯალაბაურმა ასეთი ჯაჭვი რომ მიართვა თამარს, თამარმა უბრძანა: — ჯერ შენს კისერზე სცადეო. მჭედელმა ჩამოიცვა ჯაჭვი კისერზე. მაშინ ის შებოჭეს და წამოიყვანეს ფშავში. ჯალაბაურს უთხოვნია თამარისათვის სადმე მივარდნილ ადგილას დამასახლეო. თამარსაც აუსრულებია თხოვნა. სადაც ჯალაბაური დასახლდა იმ ადგილს დაერქვა მისრიანთკარი, რადგანაც ჯალაბაური მისრეთიდან ყოფილა. მისი მოდგმა ამჟამად მისრიაშვილებად იწერება. მისი ხელობა — მჭედლობა — მის ჩამომავლობაში გადადის თაობიდან თაობაზე. დღესაც არის იქ მჭედელი **ბუთლა მისრიაშვილი**. ამ სოფელში სხვა გვარის კაცი **არ** სცხოვრობს. ის ჯაჭვი შემდეგ ლაშარის ჯვარში აუტანიათ.

ლაშარის ჯვრის ძლიერებაზე, იმის წინამძღოლობაზე ომში, ასეთი ლექსია:

ვინა თქვა, ენამც გახმება, მითხოს გაბევრდა ცხვარია!
გაიგო ლაშარის ჯვარმა, წელზე შეირტყა ხმალია,
უბრძანა ფშავლის შვილებსა—მთლად შემომავლეთ თვალია.
დალაღდნენ ფშავლის შვილები, ყველამ დალესა ხმალია.
ვინც არ გალესა,—გადაჭკრა, ბაგის ნაცემი მწარეა.
გაქანდა ფშავლის ლაშქარი, როგორც ნაგუბარ წყალია.
გადავლენ ბოროლაზედა, მათზე გაბერტყეს ნამია.
ქვახიდის ჭალას ჩაგროვდნენ, არ წყდება წვიმის ცვარია.
აფიცხეს პირისწამალი, თოფებს უპირეს ტალია.
დეერჩევიან თარესში ლამაზ-ლამაზი ყმანია,
საგათენებოს ჩავიდეს ტერელოშია ბგელნია,
დაგლიჯეს ცხის ჯარები — აქ შეგვიყარეს ცხვარია.
აქედან ცხვარი გავრეკოთ, რო ვასახელოთ ფშავია.
წამოვლენ ნასახელარნი, მოუყობიან გზანია,

თან ქისტებ გამოჰყვებიან, ნარჩევნი მეომარნია.
ყარიან სეტყვასავითა ტყვიას, არ მიაქვს ძალია,
გორს იქ-აქად გადადის ტერელოელების მკვდარია,
თან ძაღლებს ჩააყოლებენ, ჩაკვნიტეთ ქისტის ძვალია.
შამოდგა ლაშარისგორზე ქისტების ძროხა-ცხვარია,
ორმოცი ქისტის მარჯვენა, ფარ-ხმალი ნადავლარია.
ეგ მაგ ლექსაის მოთქომი ალიანს თუშის ქალია,
ქებით გავლექსე ფშავლები. არ დამეხოცნენ ძმანია.
თავ კი ნუ მოგეწონებათ, ეს ლაშარის ჯვრისა ძალია,
გვერდს გიდგათ ლაშარის ჯვარი, გიქრით დავლათის ქარია,
ცოტა მეც გამომიგზავნეთ, ერთ-ორ შიშაგი* ცხვარია,
ან ორი საყურ-ბეჭედი, მიზრიალებდეს ქარია.

ლაშარის ჯვრის გმირად ითვლება შვიდი ფშაველი ვაჟკაცი, ერთხელ, ოდესღაც ქისტებთან ბრძოლაში დახოცილი, ამ შვიდ ვაჟკაცს **ლაშარისჯვრის პიროფლიანები ეწოდება,** ფშავში არ იქნება ისეთი ქორწილი, ან მიცვალებულის მოსახსენებელი ორმოცი, რომ ამათი შესანდობარი არ დალიონ.

უკანაფშავში სახელგანთქმული ხატი იყო—**დამასტეს ხატი.** იმყოფება მათურის ხევში, მაგრამ მთავარი დამასტე კახეთშია სოფ. ჩაფართაში (ახმეტის თემი). ეს იყო **დარ-ავდრის მოურავი.** გვალვის დროს მას ევედრებოდნენ წვიმას, ავდრის დროს — დარს. უკლავდნენ საკლავს. უნთებდნენ სანთელს. ეს იყო ხევსურების სამეგბის ხატის მაგიერი.

ხევსურული ძენგლისდების მაგვარი რამ ფშავლებსაც ჰქონდათ **დანადები.** დანადები არის ერთგვარი ნაკისრი ვალდებულება ხატს შესწირონ მსხვერპლი, 1—2 წლის კურეტი**, ლუდი, არაყი. ეს არის იგივე სამლთო, მხოლოდ საშვილისშვილო ვალდებულება. დანადებს დაიდებენ ვაჟიშვილის ყოლის ან ავადმყოფი ვაჟიშვილის გადარჩენის მიზნით. ამ სამლთოობას, ანუ დანადებს, იხდის მთელი გვარი რიგრიგობით. მოილაპარაკებენ, თუ როდის გადიხადონ დანადები და ვინ გამოხადოს არაყი. მოხარშოს ლუდი***, დაკლას მსხვერპლი. (დანადები შეიძლება თვით ხატმაც დაადოს). იმართება სუფრა. იგონებენ იმ წინაპარს, რომელმაც თავს იდვა დანადები. ლუდი და არაყი იქვე უნდა დაილიოს მთლად. შინ წა-

* ცხვარი 1—2 წლისა.
** ახალგაზრდა დაუკოდავი ხარი (ბუღა).
*** ფშავში ლუდს ხარშავენ მხოლოდ ამაღლებას და გიორგობას.

ლება არ შეიძლება. ხორაგს კი, რაც დარჩება, ინაწილებენ ხევისბერი, მედროშე და დასტურები.

გადმოცემით დანადები ასეთი მიზეზით დაწესებულა: სოფ. ცაბაურთიდან სოფ. შუაფხოში გათხოვილი ყოფილა ერთი ქალი. ეს ქალი გამხდარა ავად მძიმედ. მისი მამა ხევისბერი ყოფილა. შეუთვლია მამისათვის, საშველად მანდაური ხატი გადმოახედეო. მამამ აუსრულა თხოვნა. მაგრამ ხატი ხელიდან გაუსხლტა, გაფრინდა და ავადმყოფის სახლში ჩავარდა საკვამურიდან, ცეცხლპირას დაეცა, სადაც ავადმყოფი იწვა. ქალი განიკურნა, ეს ხატი შუაფხოში დაასვენეს. ამის შემდეგ ამ ოჯახს დანადები დაევალებულა საშვილისშვილოდ. ამ ხატმა აკრძალა ქალის გათხოვება ცაბაურთიდან შუაფხოში.

კულტის მსახურნი არიან **ხევისბერი, მედროშე** და **დასტურები.** ამათი მოვალეობა, ზოგადად, ივივეა, რაც ხევსურების ხუცების, მედროშეების და დასტურებისა. უწინ ხევისბერის მოვალეობა ყოფილა ხალხის წინამძღვრობა, რჩევა-დარიგების მიცემა, ხატის ქონების მოვლა-პატრონობა, მსხვერპლის დაკვლა, ბავშვთა მონათვლა. ყველაფერი ეს წარსულში იყო. ეხლა, თუ სადმეა ხევისბერი, მას მხოლოდ საკლავის თავ-ფეხსა, ტყავსა და ერბო-კარაქზე უჭირავს ხარბი თვალი. დასტურების მოვალეობაა შეწირული საკლავის გატყავება, დაკემსვა (დაჭრა), მოხარშვა და მიტანა მლოცველებთან, შეშისა და წყლის ზიდვა და მისთ.

უწინდელი მედროშეების მოვალეობა ჩანს ხოშარელ ხახა გაბიდოურის ლექსში:

მივნატრი დაბადებასა, ხოშარის ხახაისასა,
აისხამს იარაღებსა, ანგელოსსა ჰგავს ცისასა.
მხარზე გაიდებს დროშასა, ლაღი ლაშარისჯვრისასა.
თერეთეგოზე გაივლის, ქვეშას არ დასძრავს მთისასა,
თარესში წამოაყენებს ნაჩვევებს ფშავლის შვილებსა.

მედროშეების ასეთი უწინდელი მნიშვნელობა და მოვალეობა დიდი ხანია დაკარგულია.

ხევისბერს ვეთომდა, ხატის დავალებით. ასახელებდა ქადაგი. ხევისბერს ირჩევდნენ უვადოდ. შემდეგ ეს თანამდებობა მემკვიდრეობით გადადიოდა. მედროშეს ირჩევდენ კენჭის ყრით, დასტურებს (რამდენიმე კაცს) ერთი წლით თვით მლოცველნი.

ქადაგი ფშავ-ხევსურეთში ღმერთის მიერ მოვლინებულ ადამიანად ითვლებოდა. ქადაგს ნიშნავდა ხატი. ქადაგი ხატის სახელით

ლაპარაკობდა, ხალხს აძლევდა ვითომც რჩევა-დარიგებას, წინასწარმეტყველობდა. ხშირად ქადაგად დაცემა ხდებოდა ქადაგის მახლობელის რამე ცოდვის მოსანანიებლად. ქადაგი ხატის დავალებით ისეთ სიტყვებს ლაპარაკობდა, რომლებითაც ცოდვილს ცოდვები ეპატიებოდა.

გვაროვნული წყობა

ფშავლების ყოველი გვარი განცალკევებული მოვლენა იყო, ე. ი. ერთგვარად შეუვალი. თუ ნათელმირონობა არა ჰქონდათ ისე სხვა გვარის კაცი გვარის საქმეებში არ ჩაერევოდა, თითსაც არ გაანძრევდა. გვარში კი ერთმანეთის დახმარება, ყოველმხრივი და ყოველნაირი, აუცილებლად სავალდებულო იყო. ამისათვის ყოველ გვარს თავისებური საკუთარი საიდუმლოება, ხერხი და ეშმაკობა ჰქონდა გამომუშავებული.

ძველ დროს, ლაშქრობა, ქვეყნის საერთო მტრის დახდომა, ყველა საგვარეულოს შეერთებული ძალით ხდებოდა. საერთო საქვეყნო საქმეებსაც ერთპირულად სწყვეტდნენ. ამჟამად კი, გვაროვნული სიმტკიცე უკვე დარღვეულია.

როგორც ვთქვით, ყოველ გვარს საკუთარი ხატი ჰყავდა. ჰქონდა საკუთარი სასაფლაო, საერთო სახნავი, საბალახო, სათიბი, სახმარი ტყე. კერძო საკუთრებად მხოლოდ კარმიდამო იყო. ამ მხრივ ფშავლები განირჩევიან ხევსურებისაგან. საერთო სასაფლაოზე ყოველ ახლო მონათესავე ჯგუფს საკუთარი კუთხე აქვს. თუ ვინმე სხვაგან მოკვდება, გვარი ვალდებულია ითავოს მისი გადასვენება ფშავში და საკუთარ სასაფლაოზე დასაფლავება. გვარის სასაფლაოზე სხვა გვარის კაცი არ დასაფლავდება, თუ რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა არაა. ფშავშიც, როგორც ხევსურეთში, გვარს ჰყავს თავისი კითხული კაცი, მაგრამ მას იმოდენა როლი არა აქვს, რამოდენიც ხევსურეთში.

გვარი აუცილებლად მამით მომდინარეობს, მაგრამ გვარის წევრთა ურთიერთ კავშირის სიმტკიცის იდეოლოგიური სარჩული, როგორც ხევსურეთში, აქაც ისევ საერთო საგვარეულო ხატია (მაგრამ საერთო ხატი მთელ სოფელსაც ჰყავს, რამდენიმე გვარს ერთად. ესენი ამ ხატის ყმებად ითვლებიან, როგორც მთელი ფშავი ლიშარისჯვრის ყმებად).

უშვილო ადამიანი შვილად აიყვანს ძმისწულს, ბიძაშვილს, შამის მხრივ, მაგრამ დედის ჯილაგის შვილებს, ან დის ჩამომავ-

ლებს კი არ იშვილებს. ასეთი იყო ძველი წესი. ახლა ეს წესიც დარღვეულია, როგორც საერთოდ ყველაფერი ძველი.

თუ ვაჟი არა ჰყავს, ის ზედსიძედ მიიყვანს რომელიმე სხვა გვარის კარგს ვაჟს. ამით გვარი არაფერს იძენს, მაგრამ ოჯახი მაინც მთლიანად რჩება.

ფშავში დიდი ხანია აღარ არის ადგილობრივი რჯული და კუთხური სამართალი. იქ საერთო საბჭოთა სახელმწიფო კანონები მოქმედობენ.

უწინდელ დროში გვართა შორის მტრობაც ყოფილა. ამას ადასტურებს ქვემოთმოყვანილი ლექსი:

იყურეთ ფშავლის შვილებო:
საგინა გიორგწმინდელმა
ლუდი ადუღა სვიანი,
იწივნა ჯალაბაურნი,
მამისშვილამდი მტრიანი.
საგათენებოდ წამოვლენ
სამოცდასამი ხმლიანი,
ჯარს წინ უდგანან ჟეროსნი,
დროშას გააქვის შრიალი,
უკან მოსდევენ ქალ-რძალნი
ლამაზ-ლამაზი, ჭკვიანი
ნეტავ სულ ყველა რამა ქნა
სულ ყველა დავლათიანი?
ჯერ ღვინო დაალევინა,
ღვინო სდის დედისრძიანი,
მერმ ლუდი დაალევინა
ლუდი აქვს შარბათიანი.
ნუ იწყენთ ცოლეულებო,
სიტყვა რო გითხრათ გზიანი.
მოდით, ხატს მადლი მოსთხოვეთ,
მიწა მაკბიჩეთ* მტვრიანი.
გაიგეს ფშავლის შვილებმა,
იარაღს მიაქვს ჟრიალი.
მუქოში კაცი გაგზავნეს —
მანდით ვინა ხართ ხმლიანი.
მუქოთ სუმელჯი წამოვა

* მოკბიჩეთ.

სუმელჯი სუროლვიანი.
ქურდოთ მიჰქონდათ ისრები,
ლაღი არწივის ფრთიანი.
საგინათ შაატყობინეთ —
დღე გაგითენდათ მზიანი.
სამოცში ერთი ვაუშვეს,
ეგეც მებეგრე არიო.
ფშავში წამოდი საგინა,
ხარი იქაც ჰხნავს რქიანი.
დასახლდი ჯიგრაულთასა,
ქერი სდის ჩარექიანი.

ხევსურების ამანათების მსგავსი ადამიანები ფშავშიც მოიპოვებიან. სხვა გვარის ფშაველი მეორე გვარის სოფელში ვერ ჩასახლდება. ეს საერთო წესია, მაგრამ თუ ასეთი რამ მოხდა, მაშინ იწყება დიდი შეხლა-შემოხლა ამ ორ გვართა შორის. ერთმანეთს უგზავნიან ამორჩეულ კაცებს იმის გადასაწყვეტად, დარჩეს ეს ჩასახლებული ამ სოფელში თუ არა. თუ გადაწყდა, რომ დარჩეს, მაშინ ის ითვლება იმ სოფლის ხატის ყმად, როგორც მთელი სოფელიც, ითვლება ამ სოფლის ძმადშეფიცულად და ამ ორ სოფელს შორის ქალის გათხოვებაც აკრძალული ხდება.

ფშავლებმა იციან დაზარალებულ მეზობლის დახმარება. მეზობლები ერთმანეთში მოილაპარაკებენ, — ვინ როგორ დაეხმაროს. მიუტანენ ერთ ხელადა სასმელს, ერთ ქადას ან ხმიადს, ჩარექ ყველს, ერთ კელაპტარს და სხვა.

წინათ ქორწილში დიდი ძღვენით მიდიოდნენ — მიართმევდენ ულელ ხარს, შეკმაზულ ცხენს.

თუ მეზობელს მიცვალებული ჰყავს, მის დამარხვამდე მეზობლები დიდ საქმეს არ ისაქმებენ. ეს წესი ხევსურებშიაც არის.

ოჯახი

ფშაურ ოჯახში მამაკაცის მოვალეობაა გარეთ მუშაობა, ხვნა, თესვა, საქონლის ძოვება, ცხვარში სიარული და მისთანა. დედაკაცები ოჯახში მუშაობენ და მთელი ოჯახის საქმე მათ აწევთ კისრად — რთვა, დღვება, ქსოვა, კერვა და სხვ. სათემო საქმეებში კი დედაკაცს ხმა არა ჰქონდა. იმვიათად, თუ ქმარი ან მოსწრებული ვაჟიშვილი არა ჰყავდა, დედაკაცს შეეძლო მონა-

წილეობა მიეღო სოფლის საქმეში. ცოლი ქმრის სიტყვას ვერ გადავიდოდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, რასაკვირველია, ეს წესებიც მოისპო. დედაკაცი ახლა სრულუფლებიანია.

ოჯახის შვილები, უფროსები — ქალებიცა და ვაჟებიც, — მსხვილფეხა საქონელში დადიან, უმცროსები კი — ხბოში. საერთოდ კი, ოჯახის მოწესრიგებაში, წვრილმანში, ავეჯის შეძენაში, ყიდვა-გაყიდვაში, ცოლ-ქმარი თანხმობით მოქმედობს. მაგრამ უპირატესობა მაინც ქმარსა ჰქონდა.

ოჯახში უფროსი ძმის უფლება იმაში გამოიხატება, რომ ჯერ მამა ითვლება ოჯახის უფროსად და მერე უფროსი ვაჟი, უმცროსი ძმა და რძალი, მის დაუკითხავად, არას გააკეთებენ. გაყრისას უფროსი ძმა მიიღებს **საუფროსოს,** ერთ მეტ ცხენს, ხარს ან ოც ცხვარს. ვისაც ძირეული სახლი ერგება ნაწილად, იმან დანარჩენ ძმებს უნდა მისცეს **საქცევი** (სამაგიერო) — 100 — 200 მანეთი. დანარჩენ ქონებას — ეზოს, კარმიდამოს, — იყოფენ თანაბრად. მხოლოდ კი უფროს ძმას, უძრავ ქონებაში საუფროსოს მაგივრად ეძლევა რამე ნივთი — სპილენძის თულუხი *, ქვაბი.

ქალი ქმრის გვარს ატარებს, მის საგვარეულოს ეკუთვნის და მის ინტერესებს იცავს. ხევსურეთში რომ იციან ქალის გაჩენის გლოვა. ფშავში ეს ადათი არ არის. შვილების რიცხვი შეზღუდული არ არის, მაგრამ უვაჟობა კი ძალიან აწუხებს ცოლ-ქმარს და ყოველ ზომას ხმარობენ, რომ ვაჟი ეყოლოთ. ერთ ასეთ ზომად ითვლებოდა **მწევრის საფლავი** (იხ. ზემოთ „ხევსურეთი“).

თვიურის დროს, ფშაველი ქალიც, როგორც ხევსურიც, ერთ კვირას ბოსელში ატარებდა, მშობიარობის დროს კი 5—7 კვირას, საქონელთან ერთად. მთელ ამ ხნის განმავლობაში **მებოსლე** ქალი მოკლებული იყო ყოველგვარ მზრუნველობას, ალერსს. ასეთ მდგომარეობაში მყოფ ქალს ახალგაზრდები დასცინოდნენ: შენ, ქალავ, სახუთუგოში** ხარო.

ბინები — სახლები — ყველას ერთნაირი აქვს, მაგრამ ეკონომიურად, როგორც უკვე ვთქვით დიფერენციაცია დიდი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. კოლექტივიზაციამ ეს მოსპო.

---

* კოკა.

** სულის შეშხუნავი საბურობილე.

აი, ამ უთანასწორობის გამომხატველი ლექსი, ღარიბისა:

გადმოიარა პავლემა
პიროფლიანმა დილითა,
გამოალვიძა წისქვილი
დიდხანს ნატანჯი ძილითა,
გააძლო ქუთხარახიჯა
შენი დაფქვილი ფქვილითა,
ჩაგიდგა ახალ-ღარ-კოდი,
წყალ მოჰყავ სიპის მილითა,
დაგადვა საკოდელაი,
ბაცრია ფოლადივითა,
დაგაფქვევინა სიმინდი,
ალაზნის დოლაბივითა.
ერთ კოდ ხალ მენაც დავფქვია
სადილობამდი დილითა
დათირდით, ჩემო ბალღებო,
ახლა ნულარა სტირითა,
პური მოგვშივდა, მამაო,
თქვენ ამბობამდი ჭირითა.
ეს პავლეს ცოლიც მოვიდა,
მანათობელი პირითა,
სახინკლე წმინდა მოაქვის
თავის საფერხე ვირითა,
ამბობენ არაყსა სწურავს,
სულ მუდამ შაბათ-კვირითა.
პავლეს ქერ დასძველებია
სიმინდ სხვას მააქვს ქირითა,
ახლა კი გული ჩაგიგდავ,
იბრუნე ერთი კვირითა,
საბუდარ გადაგილეწავ
გადაბრუნვილხარ ძირითა,
სიმინდი წყალში ჩაგიშვა
ნაზიდი ცოდვა-ჭირითა.

ეს ლექსი ახასიათებს არა მარტო ფშაური ოჯახის ჭირ-ვარამს, არამედ სხარტულად აშუქებს ფშავლების ძველ ყოფა-ცხოვრებას.

რაკი ფულადი კაპიტალის ძალა ნელ-ნელა შევიდა ფშავლების ცხოვრებაში, ცხადია, მან პირველად ძველ გვაროვნულ წყო-

ბას დაუწყო ხვრა და საგრძნობლად შეარყია იგი. ფშავლებში გამოერია თითო-ოროლა მდიდარი მეცხვარე, და ფშავიც ნელ-ნელა დაუკავშირდა ქალაქის ბაზარს. ფშავლები ცხვარს, ყველს, კარაქს, და მატყლს ჰყიდდნენ.

ვისაც ასზე მეტი სული ცხვარი ჰყავდა, ის მთელი ზამთარი შირაქში იყო, ცხვარს აძოვებდა. სოფელში თითქმის მარტო დედაკაცები რჩებოდნენ.

ახალდაბადებულ ვაჟს ხატის ყმადა ხდიდნენ ხოლმე, დალოცავდნენ ხატთან. ასწავლიდნენ სამეურნეო საქმეებს, გვარის ერთგულებას. ქალებს ასწავლიდნენ საოჯახო საქმეს.

ფშავურ ოჯახში შეთაური ის არის, ვინც წლოვანებით სხვებზე უფროსია. მას ერქვა **მამასახლისი**. დედაკაცი მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებოდა ოჯახის უფროსი, თუ ოჯახში მამაკაცი არ იყო.

ოჯახის უფროსი განაგებდა ოჯახს: ანაწილებდა საოჯახო საქმეს ოჯახის წევრთა შორის მათი ცოდნა-უნარის მიხედვით. იმ საქმის გარდა, რაც მიჩენილი ჰქონდა ოჯახის წევრს, ის სხვა საქმეში ვერ ჩაერეოდა, თუ ამაზე არ ექნებოდა მამასახლისის ნებართვა. ვერც საერთო სათემო საქმეში ჩაერეოდა. აგრეთვე, ოჯახის უფროსის ნებადაურთველად ოჯახის წევრი ვერ წავიდოდა, თუნდაც ერთი საათით,მეზობლებში—ქორწილში, საფეხნოდ, საქეიფოდ, ხატში, სამხთოში, ან რაიმე საქმეზე.

მამასახლისის სიკვდილის შემდეგ ოჯახის უფროსად ხდებოდა უფროსი ვაჟიშვილი. ეს ვაჟი მცირეწლოვანიც რომ ყოფილიყო— 14 წლისა, უფროსობა მაინც მასზე გადადიოდა. უფროს-უმცროსობა ბავშვებშიც კი იყო — უმცროსი ბავშვი უფროსს ბავშვს ემორჩილებოდა. ამასთანავე უფროსს ბავშვს ოჯახურ საქმიანობაში მეტი მონაწილეობა მოეთხოვებოდა. საოჯახო საქმეს ოჯახის წევრთა შორის თუმცა ოჯახის უფროსი ანაწილებდა, მაგრამ ოჯახის წევრს საქმიანობა მაინც შეეძლო თავისი სურვილის მიხედვით ამოერჩია — უფროსთან შეთანხმებით. რამდენადაც მრავალწევრიანი იყო ოჯახი, იმდენად მეტი იყო საოჯახო საქმე, მეტი იყო სამეურნეო დარგები: მეცხვარეობა, მეძროხეობა, მიწისდამუშავება. თითოეულ ასეთ დარგზე ოჯახის ერთი რომელიმე ან რამდენიმე წევრი იყო მიმაგრებული. ამ სამეურნეო მრავალდარგიანობის გა-

---

* იხ. „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“, წიგ. I.

ჰო, ხშირი იყო შემთხვევა, რომ ოჯახს რამდენიმე ბინა ჰქონდა— ცხვარში, ძროხაში, სოფელში.

სადედაკაცო საქმე ოჯახში თავისებურად იყო განაწილებული. ქალები (რძლები) საერთო საოჯახო საქმეს მორიგეობით აკეთებდნენ და ამაზე მუშაობდნენ მთელ დღეს. თავიანთი საკუთარი ოჯახის, ე. ი. ქმარ-შვილის მოვლის, საქმეს ღამით ასრულებდნენ— შეკერვა, გარეცხა, მოქსოვა და მისთ. ეს ხშირად ქალს მთელ ღამეებს ატეხინებდა. ამ საფუძველზე ხშირი იყო რძლებს შორის უთანხმოება. — ზოგი რძალი თავის საკუთარი ოჯახის საქმეს უფრო ეძალებოდა, ვიდრე საერთო-საოჯახოს.

ბავშვებსაც — გოგოსა თუ ბიჭს, — ჰქონდათ თავიანთი ძალღონის შესაფერი საქმე — ზოგი ხბოს უვლიდა, ზოგი ძროხას, ზოვიც მეხრედ იყო.

ფშავში ოჯახის გაყრა დიდ სირცხვილად ითვლებოდა და დიდადაც ერიდებოდნენ. ამიტომ ფშაურ ოჯახს მრავალწევრიანობა ახასიათებდა. ასეთი ოჯახი, თავისთავად ცხადია, ღონიერი იყო, შეძლებული.

რადგანაც ოჯახის გაყრა თითქმის შეუძლებელი იყო, ამიტომ ერთ ოჯახში, ხშირად, რამდენიმე თაობა იყო ხოლმე თავმოყრილი--ძმები, ძმისწულები, ბიძაშვილები და სხ.—გაყრილებს ლექსს გამოუთქვამდნენ ხოლმე, დასაცინად მაგ.,

გაიყარენით კოხალნი,
გაჰყავით ორან ძროხანი.
სხვა ყველა სწორად გაგერგოთ,
მამას დაგირჩათ ჩოხანი.

უფროსი კაცების ანდერძი იყო: ნუ გაიყრებით, ნუ გაახარებთ მტერს, განაყოფ ქონებას ბარაქა არა აქვსო. თუ მტერი არა გყავს, ძმას გაეყარეო და მტერი გეყოლებაო — ფშავლებს სჯერათ, რომ გაყრილ ძმებში უეჭველად ჩამოვარდება მტრობა.

გაყრის მიზეზად, უმთავრესად, ოჯახურ უთანხმოებას ასახელებდნენ ხოლმე და ბრალს რძლებსა სდებდნენ—ერთი რძალი მხოლოდ თავის სათავნო (თავის საკუთარი ქმარ-შვილის) საქმეს აკეთებსო. გაყრა მხოლოდ შინაურული მორიგებით, გარეშე ადამიანის ჩაურევლად უნდა მომხდარიყო. ეს დიდი სატრაბახო იყო. გაყრის საკითხს არც გაახმაურებდნენ ხოლმე. მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში თითო ძმა შუაკაცად მოიწვევდა თითო უცხო ვინმეს.

გაყრისას ჯერ დედ-მამას მისცემდნენ კუთვნილს, **სამარხს**, ე. ი.

იმას, რაც მათ დასამარხად იქნებოდა საჭირო: ორი ძროხა, ან სახლი, ან მისი საფასური. დედ-მამას მეტი არაფერი ეძლეოდა, მაგრამ ისინი ცალკე კი არ გადიოდნენ, არამედ შეუერთდებოდნენ ერთ-ერთ შვილს. ოჯახის უფროს ვაჟს, თუ გამრჯე იყო, ეძლეოდა **საუფროსო**—ვერცხლის ქამარი, სახლი. ქალებს ეძლეოდათ **სათავნო**—რაც მათ შეძენილი ჰქონდათ ზედმეტი მუშაობით, ან მიღებული საჩუქრად. ეს ნივთები ოჯახის ქონების საერთო სიაში არ შედიოდა. ქონება სულადობის კვალობაზე კი არ იყოფოდა, არამედ ოჯახების მიხედვით.—ტანისამოსიც არ შედიოდა გასაყოფი ქონების სიაში. გაყრაში თუ შუაკაცები მონაწილეობდნენ, მათ აძლევდნენ თითო ცხვარს ან მის საფასურს.

ფშაველი, ქალი ან ვაჟი, თავის შომავალ მეუღლეს ხატობაში დაათვალიერებდა, მაგრამ საკითხს ასეთი პრინციპით სწყვეტდნენ:

ქალი ხატში ნუ მოგეწონება—
იქნებ სხვისად ნათხოვარ აცვია.
ქალი მაშინ მოგეწონებოდეს
რო ნახო ყანის მკაშია.

რასაკვირველია ცდილობდნენ ქალი და ვაჟი კარგი ოჯახის შვილი, ჯანმრთელი ჩამომავლობისა აერჩიათ.

წინათ, გათხოვილი ქალი მამის ოჯახში რჩებოდა სამი წლის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში ცოლ-ქმარი ერთმანეთს ვერ დაელაპარაკებოდნენ, ვერ გაეკარებოდნენ. ეს დიდი სირცხვილი იყო. ჩუმ-ჩუმად კი ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ამ მოვლენას ფშავლები ასეთი რამითა ხსნიდნენ: ამ სამი წლის განმავლობაში ქალს უნდა დაემზადებია თავისი მზითევი 4—5 ჯუბა (საცვალი) 3—4 ფაფანაგი (ზემოდან გადასაკმელი), 1—2 ხელი ქვეშგასაშლელი ნაბადი. მშობლები აძლევდნენ 1—2 ძროხას: მაგრამ, ამ ჩვეულების მიზეზი, რასაკვირველია, ეს არ იყო. არამედ იყო სურვილი უფრო გვიან გაეშვათ ოჯახიდან მუშახელი.

გათხოვების გამო ხშირად ასე ეხუმრებოდნენ ერთმანეთს:

ბუჩუკურის ქალთმიანო,
თეთრ ფაფანაგ გაცვიანო.
შუაფხოს ჩაგაბრძანებენ,
ფარდაგებს გაგიშლიანო.
მაგ შენებს ფაფანაგებსა
ოროლობითა სთვლიანო.

თეთრი ფაფანაგი სირცხვილია და ამიტომ ამ ლექსში დაცინ-
ვით არის მოხსენებული თეთრი ფაფანაგი.
ან კიდევ:

—რა კარგი ქალა მოგეცით,
მაგრამ მოგიკლავთ სიმშილსა.
ჩვენც ვაჭმევთ ქერის პურასა,
არც თქვენ გაგიზრდავთ ბრინჯითა.
—რო ნახოთ ჩვენებ გოდრები
ასახდომია კიბითა.
—მეც ვიცი თქვენი გოდრები,
სავსეა ქათმის სკლინტითა.
—ცხენებს დასწყვიტეთ წელები
კახეთს ნახვეწის ზიდვითა.
—თასურეების პარვასა
ხვეწა სჯობს, ჩემის ფიქრითა.
—ასეთი საქმე არ მიყვა,
გამაგზავნინო ციმბირსა.
—შენ ციმბირ ჯოჯოხეთია
თავად იციან ხვთისშვილთა.

ახლად მოყვანილი პატარძალი თავის დედამთილსა და მამამ-
თილს ერთი წლის განმავლობაში ვერ გასცემდა ხმას. დიდი მოხათ-
რება უნდა ჰქონდეს უფროსებისა. უნდა ცდილიყო წინდაწინვე
უთქმელად მიხვედრილიყო მამამთილ-დედამთილის სურვილს, უნ-
და ყოფილიყო მათდამი ყურადღებიანი. ერთი წლის შემდეგ მამამ-
თილი აუძრახდებოდა თავის რძალს კარგი საჩუქრის მირთმევით.
რძალსაც ეძლეოდა უფლება დალაპარაკებოდა მას, დიდის მოწიწე-
ბით, მაგრამ მის სახელს მაინც ვერ ახსენებდა. თუ აუცილებელი
იყო მისი სახელის ხსენება, რძალი მაგ., მაზლის სახელს მიიშვე-
ლებდა და ასე ეტყოდა მამამთილს: გამიხარდის მამავ!...

ფშაური კერა ორად იყო გაყოფილი—სამამაკაცო—უუაცეცხ-
ლის მარჯვნივ, აქ იდგა ხის სკამი, და სადედაკაცო—მარცხნივ. აქ
სკამი არ იყო. კერის ზემო მხარეზე, მარჯვნივ, იდგა საუფროსო
საჯდომი. მას მოსდევდა სკამი დანარჩენ მამაკაცთათვის. საუფრო-
სო სკამზე სხვა ვერავინ დაჯდებოდა, გარდა საპატიო სტუმრისა.
ქვის კერასთან გადებული იყო ფიცარი—დასაჯომად და დასაწო-
ლად,—წვებოდნენ უფროსი და ძვირფასი სტუმრები. სამამაკაცო
ჯანყოფილებაში გადასვლა ქალს, მეტადრე ახალგაზრდას, სასტი-

კად ეკრძალებოდა. თვიურშეწყვეტილ ქალებს ჭონდათ უფლება იქით გადასვლისა, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ იქ მამაკაცები არ იყვნენ. მამაკაცისათვის დიდი სირცხვილი იყო სადიაცო სკამზე დაჯდომა. რამე სილაჩრის ჩამდენ მამაკაცზე იტყვიან:—ეგ სადიაცო კერაზე უნდა იჯდესო.

შვილს, თუნდაც სულ პატარას, მამა არამც თუ ხელს არ მოჰკიდებს არ მოუალერსებს, არამედ არც კი მიხედავს. ეს სირცხვილია. ამ მხრივ მამის მაგივრობას ბავშვს სხვა ვინმე უწევს,—ძმა, ბიძა.

მახლობელ ნათესავებად ითვლებიან: ძმა, ძმისწული, ბიძაშვილი, ბიძაშვილიშვილი, ნათლია, სიძე და შემდეგ ძმადნაფიცი. ერთმანეთის დახმარებაც ამ მიმდევრობით ხდება.

ფშავლებმა იციან ერთმანეთის დახმარება ქორწილსა და გასაჭირშიც, რომ დაზარალებულ ოჯახს ფეხზე წამოდგომა უშველონ. ქალის ქორწილში (ქალის დედმამის ოჯახში გამართული ქორწილი ქალის წაყვანამდე) ვაჟის დედმამა მოართმევს ქალის მაშის ოჯახს საჩუქრებს—სანაწეოს. მერე ქალის დედმამა—ვაჟის ოჯახს, შემდეგ ვაჟის ძმები, ბიძაშვილები. დაზარალებულის დახმარება იციან საკლავით. შორეულმა ნათესავებმა—არყით.

მეორე რიგის ნათესაობას შეადგენენ დედის მომდევრები — დეიდები, ბიძები და აგრეთვე დისწულები და სხვ.

სიძედ ირჩევდნენ არა ლამაზს, არამედ კარგ ვაჟკაცს, გამრჯეს, მხნეს. ქალსაც მოეთხოვებოდა კარგი ოჯახიშვილობა, გამრჯეობა, ხელაქმიანობა. სილამაზე მეორე ხარისხის საქმე იყო.

სისხლის აღრევა აკრძალულია, მაგრამ არა მარტო ნათესაობით ან ერთ ხატს შეფიცულობით, არამედ თვით ხატის აკრძალვითაც. გოდერძაულებსა და ქისტაურებს (უკანა ფშავლები არიან ორივენი) ურთიერთ შორის ქალის გათხოვება აკრძალული აქვთ. ამ ამბავს გადმოცემა ასე მოგვითხრობს: გოდერძაულებს (სოფ. ახადი) ჰყავთ ხატი „პირქუში". ქისტაურებს (სოფ. შუაფხო)—იახსარი. უწინ, როცა პირქუშიც და იახსარიც „ხორციელნი" ყოფილან, იახსარი სტუმრებია პირქუშს. პირქუში ოქრომჭედელი ყოფილა. მასპინძელს იახსარისათვის ოქროს თასით მიურთმევია ღვინო. იახსარს უთხოვნია, ეგ თასი მაჩუქეო. პირქუშს უარი უთქვამს. იახსარს ის თასი მოუპარნია. პირქუში გაჯავრებულა და დაუწყევლია თავისი საყმოს ის ოჯახი, რომელიც იახსარის საყმოში

ქალს გაათხოვებდა. ამის შემდეგ აკრძალულია ამ ორ გვართა შორის ქალის გათხოვებაო, ამბობენ ფშავლები.

მდიდარი და ღარიბი ოჯახი გარეგნულად არაფრით განირჩეოდა. სიმდიდრედ ითვლებოდა—ბევრი ცხვარი (ზოგს ათასობით ჰყავდა), ცხენის ჯოგი, ძროხეული, ფული, სპილენძეული, ტყავეულობა, მარილი. ასეთი თქმაა დარჩენილი—სახლი მედგას ფანჩატური, მაგრამ ფასაკულიო (სპილენძის ნივთები, მარილის ყორე).

წაწლობა, მეტად გავრცელებული ჩვეულება, ფარული სიყვარულის გამოხატულება აწერილი გვაქვს I წიგნში. ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს ფარული სიყვარული ორნაირი იყო: 1) მხოლოდ ალერსი და ლამაზი ტრფობა—ნადომობა და 2) გადამეტებული—წაწლობა.

წაწალი მყვანდა, ვენაცვალე
განა ნადომი გულითა?
სამ წელს წაწლისთვის ვაგროვე
შიბისთვის* საყიდ ფულია,
თავად მშიერა ვიყოდი,
კინალამ გამძვრა სულია.
მე მარტო ნადობს ვენაცვალე
წაწალიმ დამწვა გულია.

უწინდელ დროში ნადობა—ქალ-ვაჟთა ერთად დაწოლა—თუნდაც ახლო ნათესავთა შორის, სირცხვილი არ იყო. შემდეგ და შემდეგ კი მან მიიღო წაწლობის ხასიათი, უფრო უხეში და უფრო უზნეო.

პურის ჭამადაც ფშავლები, ისევე როგორც ხევსურები, ჯერ მამაკაცები სხდებოდნენ. რაც მათ მორჩებოდათ იმას სჭამდნენ ქალები და ბავშვები. თუ არაფერი დარჩებოდათ (ამ დანარჩომს ჯერისთავი ჰქვია), ქალები და ბავშვები ყველსა და პურსა სჭამდნენ.

ფშავლებს უყვართ სტუმარი, მეტადრე უცხო კაცი. უცხოკაცს სოფელში ყველა თავისკენ ეპატიჟება. მიართმევენ ხინკალს. ვიდრე ხინკალი მოიხარშებოდეს, მიართმევენ ხმიადს და არაყს. შინაურ ხშირ სტუმარს უმასპინძლდებიან ხაჭო-ერბოთი. ჩვეულებრივი საჭმელია დაშაშხული ხორცი ძროხისა ან ცხვრისა. თუ ოჯახში უცხო სტუმარია, მეზობელი დაუპატიჟებლად არ მივა იქ. ქალი სულ ვერ გაეკარება ასეთ ოჯახს.

---

* საჩუქარია.

ფშაველი კაციც ხევსურსავით, ჯერ იმუშავებს და მერე სჭამს.

სადილობამდე შაჩლისთავს
შვიდნი თივანი დაშეთიბნენ.
ღილით საქმეზე გასული
ფშაველი წაიკაფივებს.

ამრიგად შრომა ფშავლებში მეტად არის დაფასებული.

საჭმელთა შორის უნდა მოვიხსენიოთ ხალი ეს არის მოხალული ქერი, შემდეგ დაფქვილი. წყალში აურევენ და ისე სჭამენ. ზოგჯერ თაფლსაც უზამენ. ეს საჭმელი, როგორც იოლი გასაკეთებელი, ხშირია მწყემსებში, სალოვრებზე.

მიწის საკითხი

მიწა მწირია და ცოტაა ფშავში. ყოველ ნაკვეთს ერთი წლის დათესვის შემდეგ ერთი წლით ასვენებენ.

როგორც ვთქვით, მიწა საერთო-საგვარეულო იყო. ინაწილებდნენ რამდენიმე წლით. ერთ ფართობს გვარის ერთი ნაწილი რომ ხმარობდა, მეორედ ის ფართობი გვარის მეორე ნაწილზე გადადიოდა. იშვიათი იყო მიწის გამო უთანხმოება და ჩხუბი. მაგრამ გვარებს შორის კი ასეთი დავა ხშირი იყო. გაუთავებელი დავა ჰქონდათ — გოგოლაურებსა და შუაფხოველებს, შუაფხოველებსა და უძილაურებს. უფრო ძლიერი იყო დავა ფშავლებსა და ხევსურებს შორის. ეს დავა ათეული წლობით გრძელდებოდა. განსაკუთრებით გამწვავებული იყო ბრძოლა როშკიონებსა და შუაფხოველებს შორის. ეს ბრძოლა ხევსურული რჯულის ჩარევით გადაწყდა შუაფხოველების სასარგებლოდ, მაგრამ როშკიონები არ ისვენებდნენ. საბჭოთა ხელისუფლების აგრარულმა პოლიტიკამ ეს ბრძოლა მოსპო.

ფშავში კერძო საკუთრებად ითვლებოდა მხოლოდ სახლი, კარმიდამო, წისქვილი, საქონელი, მოძრავი ქონება.

ხატის მიწებს კი გვარი კოლექტიურად ამუშავებდა და მოსავალს საერთოდ ხმარობდნენ საერთო საგვარეულო დღეობაში, ისე როგორც ხევსურეთში. ამ მოსავლის კერძოდ მოხმარება შეუძლებელი იყო.

აქაც იგივეა რაც ხევსურეთში—შელოცვა, ბალახებით მკურნალობა. ხევსურული გამოჩენილი დასტოქრობა აქ არ იცქან. ამჟამად საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით, ექიმბაშობა გადავარდა. იქ ეხლა ნამდვილი ექიმები არიან.

ფშავში, როგორც მესაქონლეობის ქვეყანაში, ძალიან იყო გავრცელებული ავადმყოფობა ბედნიერი (ციმბირის წყლული). ბედნიერის სიმპტომებს ასე აღწერენ ფშავლები: ავადმყოფს ჯერ შეაცივებს, სიცხეს მისცემს, მერე ოფლს დაასხამს. მეორე უეჭველი ნიშანი ბედნიერისა არის პატარა მუწუკი, რომელსაც ორგვლივ ფენებად მოეწერება ჯერ წითლად, მერე ლურჯად და შემდეგ შავადაო.

ბედნიერს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული ზომებით ამჟამად უკვე მოსპობილია, უწინ მკურნალობდნენ შელოცვითა და წამლებით.

ბედნიერის ლოცვა

სახელმშვენიერო. შენ თქვი შენის პირითა, რა არის შენი წამალი—წითელი ბალახი, წითელი ფურის რძე, ქუმლის ფაფა, გოგრის ყოილი, შალბა, ბოსტანთი ბალახი, თეთრი აბაზი, შაქარი. ის არის ჩემი დამთაფლავი, ჩემი დამშაქრავი. მოვიდოდა ქრისტეს დედა მარიამი, გაშლიდა თმასა გიშრისასა, მიაბრჯენდა ყავარჯენსა, შაჰკრავდა წამალს ყველაფრისასა შენს დასათაფლავად, შენს დასაშაქრავად. მითაფლდი. მიშაქრდი.

ბედნიერის მოსარჩენად თამბაქოს ფოთოლსაც ხმარობენ. ლოცვაში მოხსენებულ ბალახ-წამლებს ხმარობდნენ მხოლოდ მაშინ, როცა წყლული აშკარად ბედნიერია. ეს წამლობა ფშავლების სიტყვით, ერთ კვირაში ჰკურნავს.

ავი თვალით მოხიბლულის—უეცრად ავადგამხდარის—ნიშნებად თვლიან ტანში ჟრჟოლასა და ცრემლისდენას. მკურნალობდნენ შელოცვით.

ავი თვალის ლოცვა

შაგილოცავ თვალისასა და შურისასა, ორშაბათისასა, სამშაბათისას, ოთხშაბათისას, ხუთშაბათისას, პა-

რაჰკევისას და შაბათისას. გაიშალა შავი კლდე, გამოვიდა შავი კაცი ჩაუდგა შავსა გზასა, მოჰკლა შავი გველი, გადაუგდო შავსა ქალსა. შავმა ქალმა ქადას ჩასცხო, აჭმია შენს მეავთვალგულეს. შენს მეავთვალგულეს თვალს ნაცარი, გულს ლახვარი, ბანით მეხი; ჩაიაროს ქარივით, გაიაროს წყალივით. შენს მეავთვალგულეს ჯვარიმც ნუ დაეწერება, გულიც ნუ მაესვენება. ჯვარი გეწეროს.

შეშინებულის ლოცვა

გულო გულის ალაგასა! რა იყო, რაჲ შეგაშინა? ცის ჭექამა, თოფის ხმამა, საქონლის ხმამა, კაცის კივილმა, ცეცხლმა, წყალმა, კაცის სიკვდილმა, საქონლის სიკვდილმა, ნადირის ღმუილმა? გულო გულის ალაგასა! წყალი მიდგება-მოდგება, თავის ალაგას ჩადგება, გული მიდგება-მოდგება თავის ალაგას ჩაჯდება.

სამკურნალო ბალახი ბევრნაირია. მათ გავეცნოთ გზადაგზა, თითოეულის ცალკე აღწერისას.

ბოსტანთია—მსუყე ადგილას იცის. მიწაზე გართხმულია. წვრილი ფოთოლი აქვს. იხმარება სიცხისაგან წარმომდგარ მსივან (ხავიან) ორგანოზე. ბალახს გლეჯენ ძირ-ფესვიანად, დანაყავენ, დაასველებენ დოში და დაადებენ. თუ ჭრილობაცაა, ჭრილობას ზედ არ დაადებენ, არამედ გარშემო შემოადებენ და შეახვევენ **თიკვით** (ჩვრით). **ტუხტი**—ბარში მოდის, ერთი ადლის სიმაღლისაა, მრგვალი ფოთოლი აქვს. ყვავის ყვითლად. ამ მცენარეს დანაყავენ ქორფას, მთლად ღეროიან-ფოთოლ-ყვავილ-ძირიანად; მოხარშავენ, გასწურავენ. წვენში დაასველებენ ტალახს და დაადებენ ტანზე, სიცხიან ადგილას. წვენს ასმევენ კიდეც ავადმყოფს. სიცხის გამომნელებელია. **სვინტრი**—იცის კლდიან ადგილას. გრძელია, მოთეთრო ფერისა. სქელი ფოთოლი აქვს. მოტეხილის წამალია. დანაყავენ და ისე ადებენ. მოტეხილს წინასწარ მაგრად შეკრავენ ტილოთი, რამდენჯერმე შემოხვევით, მერე ამ წამალს ადებენ და ისევ შეკრავენ. ოთხ კვირაში მორჩება მოტეხილი—ამბობენ ფშავლები.

ჩალანდრი—ფშაში*) მოდის. წყალმცენარეა. წყალს ზემოდ არ ამოდის. წვრილი ფოთოლი აქვს. დანაყილი, თიხის ნატეხზე გა-

---

* ფშა—ბდინარის ნაპირას რიყეში, ქვიშაში, მდინარის ამონაყონი წყაროა.

ფიცხებული, დამზრალის წამალია. **შალარი**—ნესტიან, ჭონჭყიან ადგილებსა და ნასახლარებში იზრდება, მეტრზე ცოტა მეტი სიმაღლისა; მსხვილი ძირი აქვს და მსუსხავი ფოთოლი. ფაფასავით მოხარშული, ჩირქგამომწოვი წამალია. **დუდგულა**—მის ყვავილს, გამხმარს, სვამენ ჩაისავით, ოფლსადენად. **ძაღლისენა**—მართლაც ძაღლის ენას ჰგავს. მისი ფოთოლი სიმსივნის წამალია. გაპოხავენ რძეში ან შრატში და დაადებენ მსივან ადგილას. უცვლიან ყოველდღე. **მელისკუდა**—იცის, უფრო ხშირად, მთიან ადგილებში. მელის კუდსა ჰგავს. ხმაროობენ ახალი წყლულის განსაკურნავად. ხელისგულზე გაჭყლეტავენ და ისე დაადებენ წყლულს. **ცხრაძარღვა**—მინდვრის ბალახია. მზიანი ადგილი უყვარს. მიწას არა სცილდება. ფორმით გულს წააგავს. ჭრილობის წამალია. უცვლიან დღეში ერთხელ. **ხოხნუტა**—ჭალის მცენარეა. გრძელი ფოთოლი აქვს. ღეროიანი ბალახია. მისი ფოთოლი მოწამლულის წამალია. ან წვენს გამოსწურავენ, და დააწვეთებენ გველის ნაკბენს, ან ფოთოლსა და ღეროს დანაყავენ და ისე დაადებენ. **რძიანა**—უფრო ხშირად ნამკალში მოდის. მოთეთრო ფოთოლი აქვს. მეტად ნაზი მცენარეა. ულერ-უყვავილო. რძე უდგა ძარღვებში. ჭრილობის წამალია—პირდაპირ ადებენ. **წეზოვანა**—მთის ყვავილია. ერთი ადლის ოდენაა. სამყურა ფოთოლი აქვს. ხმაროობენ მის ფოთოლს, რომ ჭრილობაში ხავი (ინფექცია) არ შეიპაროს. **შავბალახა**—დანაყილი, ჭრილობის მალამოა. **ვარდუცა**—ცხვრის სასუქის ჯოყარია (ბალახი), დამწვრისა და სირსველას წამალი. **დუცი**—მთის ბალახია, დიდი ფართო ფოთოლი აქვს. მისი ღერო ციებ-ცხელების წამლად იხმარება.

საჭმელი ბალახები. როგორც ხევსურეთში, ფშავშიც, გარეული ხილი და ბალახია ბარის კულტურული ხილ-ბოსტნეულის შემცვლელი. განსაკუთრებით საყვარელია მთის ნაზი, სურნელოვანი **ჟოლი. კერძალი**, ანუ **კენკეშა**, მთის ბალახია. იჭმევა მარტო ღერო. ტკბილია. ბრტყელი ფოთოლი აქვს. თეთრი ყვავილი. ხშირად იცის აყვავება სიბერეშიც. უწინდელ დროში ერბოს გასაწურავად ხმაროობდენ პურისფქვილის მაგივრად.

ძოძუაი—მთის ბალახია, კაცის სიმაღლე იზრდება. ამასაც როგორც კენკეშასაც, ხშირად პურის მაგივრად ხმაროობენ. ტკბილია. **შიბო**—მთის ბალახია. მომწარო გემო აქვს. იზრდება ერთი მტკაველი, ბრტყელი ფოთოლი აქვს. სჭამენ ღეროსა და ფოთოლს. მწნილადაც სდებენ. **ხიფხოლა**—ტკბილი გემო აქვს, ფოთლები დაკუნწული. თეთრად ყვავის. სიმაღლით ერთი მეტრისაა. სჭამენ ღეროიან-ფოთლიანად, მწნილადაც სდებენ. ქოფას სჭამენ რძესა

და დოში. **შუპეა**—მთაშიაც იცის და ბარშიც. სჭამენ მარტო ღეროს. **დიყი**—ფართო ფოთლიანი და ღრუიანი ღერო აქვს, ლუგუმი გემო. **ჩადუნა**—ბარის ბალახია. რძეში მოხარშულსა სჭამენ. **არძეკელი** — ტყის მცენარეა. მრგვალი ფოთოლი აქვს. ერთი მეტრი იზრდება. ტკბილი გემოსია. გაზაფხულზე მოდის. აკეთებენ მხალს რძით და ერბოთი. **დუცი**—მთაში მოდის. ფართო ფოთოლი აქვს. მარტო ღეროს სჭამენ, გაფცქვნილსა .(ნახ. ზემოთ) **ნაცარქათამა** — მხალია. **ჩიტისთვალა**—წითელი მარცვალი. გემო ბროწეულისა აქვს. **ხოძუა**—ხიფხოლასა ჰგავს. **ხოხნუტა**—მხოლოდ ღეროსა და ძირსა სჭამენ. (ნახ. ზემოთ). **თიკნისყურა, თეთრმხალა, კრავისყურა**—მხალია სამივე. **ვაცისწვერა**—მთაში იცის, ქინძსა ჰგავს. რძიანი ბალახია, ტკბილი. **ნიჩიკა**—ხიფხოლასა ჰგავს. ძირს სჭამენ ნედლად, ყვავილს კი გამხმარს. ტკბილია. **ყაჭიოტრა**—მიწაზე გართხმული ბალახია. ქინძისმაგვარი ფოთოლი აქვს. ნედლად იჭმევა.

უწინ წამლათ იხმარებოდა **ანწლიც**. ანწლი ხევსურეთშიაც იხმარება (იხ.). ფშავში, უწინ ანწლით მკურნალობდნენ, როგორც ეტყობა, სიცხიან, გაციებულ ავადმყოფებს. ამოთხრიდნენ ორმოს. შიგ ჩადიოდა ავადმყოფი. მას ზემოდან აყრიდნენ მოხარშულ ცხელ-ცხელ ანწლს და ხურავდენ ფარდაგს. რამდენიმე ხანს რჩებოდა ავადმყოფი. ალბათ, ამას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ იწვევდა გაძლიერებულ ოფლისდენას.

ზოგიერთი ადათი

საწალმართო და **საღილე**. ფშაური ქორწილი თავდება ორი-სამი დღის ქეიფის შემდეგ, მესამე დღეს. ამ დღეს უკანასკნელად ჰკლავენ საკლავს. ჰკლავს ხევისბერი, აანთებს სანთლებს და ლოცავს ნეფე-დედოფალს. შემდეგ დაილოცებიან ეჯიბი და დედოფლის ძმა. ამ ბოლო დალოცვას ჰქვია **საწალმართო**. ამის შემდეგ ეჯიბი ხანჯალს დაიჭერს ხელში, მიუახლოვდება წეფე - დედოფალს და ხანჯლის წვერებით აუწევს გვირგვინის ტოტებს*, შემდეგ მოხდის გვირგვინს და თავზე შემოავლებს.... ამით თავდება მათი ნეფე-დედოფლობა, ნეფე აღარ არის ნეფე. ამიტომ ქალის მაყრები ცდილობენ სცემონ მას. ნეფე ცდილობს გაექცეს მათ და შინ შე-

---

* **აღმოსავლეთ საქართველოში საქორწილო გვირგვინს გვერდებზე, საფეთქლებთან, ჩამოკიდებული აქვს ტოტები. ნეფე-დედოფალი გვირგვინს არ მოიხდის ქორწილის გათავებამდე.**

უსწროს (ცერემონია ეზოში ხდება), ან საჩქაროდ მიაწოდოს წინ-წანაქარი** არაყი, რომ ამით დაიხსნას თავი. თუ ნეფემ შეასწრო-შინ—ციხეს შეაფარა თავი—გადარჩა. ამის შემდეგ ხდება ქალის მოყვრების გაცილება. მიართმევენ ტაგანით (ჭურჭელია) არაყს ან ლუდს, ვაჟის მოყვრებიც მონაწილეობენ ამ სასმელის სმაში. ისევ ილოცება ხევისბერი. ამდროს ქალის მოყვრები ათვალიერებენ სოფელში ვინმე ახალგაზრდა, გაუთხოვარ ქალს. წასვლისას მას მოტაცებენ და წაიყვანენ. ამ ქალს **სალილე** ჰქვია. ქორწილის მასპინძელი ერთი ხელადა არყით დაედევნება და გამოისყიდის ქალს.

სალილე სამაგიეროა იმისი, რომ ქალის მაყრიონის ქალს ნეფემ ლილი გაუხსნა, ანუ საბადლოა ამ ქალისა (პატარძლისა), რომელიც ნეფემ წამოიყვანა მისი სოფლიდან.

ამ სახუმრო და ერთი შეხედვით გაუგებარ ჩვეულებაში ნათლად ჩანს იმ ეპოქის ნაშთი, როცა ქორწინების ფორმა ქალის მოტაცება იყო.

კაფიობა. ფშავლები, უსათუოდ, ნიჭიერი პოეტები არიან. მათ, ქალსაც და კაცსაც, ძალიან ეხერხებათ ლექსის თქმა. ამ ნიჭს ფშავლები ამჟღავნებენ **კაფიობით.** ეს არის ორი ფშავლის ერთმანეთში გალექსება. ერთი სოფლის ვინმე მცხოვრები მეორე სოფლის მცხოვრებს გამოუთქვამს ლექსს და შეუთვლის. ლექსში იტყვის იმ კაცის ყოველდღიური ცხოვრების ან თვით მისი პიროვნების ავს ან კარგს, დაცინვით ან ქებით. მოდის შესაფერპასუხიანი ლექსი გალექსილისაგან. ასეთი პაექრობა, ზოგჯერ წლობით გრძელდება და წერილებით ხდება. ასეთ ლექსს ქვია **დანაბარები.** მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება კაფიობა. ქორწილში, ლხინში, ხატობაში, მუშაობაში, ყველგან ისმის გაჯიბრებული მოშაირობა. ხუთი წლის განმავლობაში ხშირად დავსწრებივარ ფშაურ ქორწილს და მოწმე ვარ ამისთანა შაირებისა ნეფისა და დედოფლის მაყრიონს შორის. შეჯიბრება ზოგჯერ ისე გამწვავებულა, რომ ჩხუბად გადაქცეულა. ცხადია, ერთ-ერთი მოშაირე დამარცხდება, მაგრამ მას მაშინვე წამოეშველება ამხანაგი და დაეჯიბრება მოპირდაპირეს. ძნელია სხაპასხუპით ნათქვამი ლექსების ჩაწერვა, თორემ ბევრი საინტერესო მასალის შეგროვება შეიძლებოდა.

აი, ნიმუშები:

გოგოლაური შეფე: ბე და ხევსურ ჩამოვსხედით

** არაყი რომელიც გამოხდის დროს პირველად გადმოვა ქვაბიდან. წინწანაქარი — საწნახელიდან პირველად გადმოსული ყურძნის კბილსაცა ჰქვია.

ვიუბენით ბებრულადა.
თხუთმეტ თხაში ხუბი მივეც,
კიდევ რაცა მემდურავსა,
მე გულიც მეთანალრება,
ბევრიც მივეც ჩემ გულადა.

უძილაური ხევსურა: ულექსებივარ შეთესა
გამიხდა ხახასავითა,
ეგ ჩემი ვაცის ტყავები
უხდება ჩოხასავითა,
ზედ არტყავ ვერცხლის ქამარი,
თვალ უჭემს დროშასავითა.
ის კი არ იცის ბეჩავმა,
რა ავნებს ცოდვასავითა.
სასახლე გაუმართავის,
ქალაქის სკოლასავითა.
რა დააშავებს ვაჟკაცსა
ქვა-მიწის ბრძოლასავითა.

პოვნიელა. იმისათვის, რომ გაიგონ, თუ ვინ იქნება საბედო, გასათხოვარი ქალი ან დასანიშნი ვაჟი, ასრულებენ **პოვნიელას.** დიდმარხვის ორშაბათს (დიდმარხვა იწყება ორშაბათით), არაფერსა სჭამენ. გამოაცხობენ მლაშე კვერს (სამი კოვზის პირი მარილი, იმდენსავე ფქვილში). კვერი უნდა გამოაცხოს ვინმე სიყმის შვილმა. ძილის წინ, მწყურვალნი შესჭამენ ამ კვერს. ამის შემდეგ, ვინც სიზმარში წყალს დაალევინებს ის იქნება მომავალი საბედო, ე. ი. ცოლი ან ქმარი. სიზმარში თუ ხელი ჰკრეს ერთმანეთს, ეს იმას ნიშნავს, რომ, ნამდვილად საყვარელნიც რომ იყვნენ ერთმანეთისანი, მაინც ვერ შეუღლდებიან*).

მთვარის დაჭერა. იმავე მიზნით, მომავალი საბედოს სიზმარში ნახვის მიზნით, იციან აგრეთვე მთვარის დაჭერა. ვაჟი ან ქალი, ახალმთვარის პირველ დანახვაზე დააშტერდება მას, თვალს გააყოლებს და ისე შემოტრიალდება, რომ თვალს არ მოაშორებს, მერე მიწიდან აიღებს რამეს, რაც მოხვდება ასე მოიქცევა სამჯერ. მიწიდან აღებულს შეახვევს თიკვში და თავქვეშ დაიდებს. ვისაც სიზმარში ნახავს ის იქნება მისი საბედო.

---

* ასეთი რამ საქართველოში სხვაგანაც იციან. აღმოსავლეთ საქართველოში და თბილისში ამას „წუმი" ჰქვია, სონხური სიტყვაა.

ჩვენ ვთქვით და კიდევ ვიმეორებთ, რაც აქ გვაქვს აწერილი., ის არის ძველი, უკვე წასული და ნაწილობრივად ეხლაც მიმავალი წარსული ფშავისა და ხევსურეთისა, რაც ჩვენ ვნახეთ. დღევანდელი ფშავ-ხევსურეთი უკვე გამოცვლილია—სოციალისტურმა წყობილებამ, კოლექტივიზაციამ, უკვე დაარღვია პრიმიტიული, ჩამორჩენილი ცხოვრება და ახალ, კეთილდღეობის გზაზე დაადგა ჩვენი ქვეყნის ეს წინად მიყრუებული კუთხე.



სოფ. ახიელი (არხოტის თემაში) სადაც, ხალხის ვადმოცემით, დაიბადა
და აღიზარდა ხოგაის მინდია.

ხევსურული ფოლკლორი

ხოგაის მინდია *

ამ თქმულებაზე აქვს აგებული დიდ პოეტს ვაჟა-ფშაველას თავისი ერთი საუკეთესო პოემათაგანი,—„გველის მჭამელი". ჩვენ მიერ აქ მოთხრობილი თქმულება აღმოვაჩინეთ ხევსურეთში. დიდ ლიტერატურულ ინტერესს წარმოადგენს ვაჟას პოემისა და ხალხური ვარიანტის შედარება.

არხვატში არხვატინებო,
მინდი სადა გყავთ ხმლიანი,
ომის კარგ-ბაგრა მჭერელი,
თემს თავმდაბალი, ჭკვიანი,
სამტროდ და სამაკეთეოდ
ყველასად იმედიანი,

*) ეს თქმულება ჩვენ დავამუშავეთ და გადავაკეთეთ იმდენად, რომ ფოლკლორის კანონ-ზომიერებას არ გასცილებოდა. მასში ხალხურია—გუგულების ამბავი, ლექსები, მინდიას ტყვეობა ნადირთ მწყემსთან, მისი დაავადება ტილით, თეთრი გველის ჭამა, განკურნება, მისნად გადაქცევა, ქისტეთს წასვლა საომრად, ძმობილ ალდისძის ბინაზე მისვლის მაგივრად მტრის სახლში მისვლა, ციხეში მომწყვდევა და სიკვდილი. მაგრამ, იმ მიზნით, რომ მინდიას სიბრძნე უფრო ძლიერად გამოგვეხატნა, ჩვენ ამ ხალხურ თქმულებას დავუმატეთ—მასკილიას სიკვდილის, ჭიანჭველების, თეთრი თიკნის, ფუტკრების, ბებერასი, ვერხვის მოჭრის, შურთხ-ჯიხვების ამბები და ხადიშასთან შეხვედრის ამბავი.

დასასრულ, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი გარემოება. „ხოგაის მინდიას" ხელნაწერი ჩვენ მეგობრულად, წასაკითხად ვათხოვეთ მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას. მან ეს ხელნაწერი მთლიანად დასწერა თითონ, თავისი ენით და გამოაქვეყნა თავისი სახელით, ჟურ. „მნათობში". მართალია ჟურნალში მან ამ ლეგენდას გაუკეთა სხოლიო და თქვა, რომ წერის დროს ხელთ ჰქონდა ჩვენი ნაშრომი, მაგრამ არ მოიხსენა, თუ რამდენად ისარგებლა ამითი. ნამდვილად კი მას აღებული აქვს მთელი ჩვენი მასალა. ამას გარდა ის სხოლიო, რომელიც ჟურნალში გაუკეთა ლეგენდას, არ გაიმეორა ცალკე წიგნად გამოსულ კრებულში, სადაც ხოგაის მინდიას ლეგენდაც გადაბეჭდა „მნათობიდან".

თემსოფლის დამრიგებელი,
პირტკბილი, სიტყვაგზიანი.
სიბრძნისად ცოდნით ნათქვამი,
გულდინჯი, ფოლადიანი
აღარ გიგვლევსა სწორფერი,
ან ქალი ზალი თმიანი.

ერთ დღეს, როცა დარაავდრის ხატი ცუდ ტაროსს ებრძოდა და ცაზე ცისარტყელა გამოჩნდა, დაიბადა ხოგაის მინდია. მას ორი წინა კიჟი დაჰყვა. რომ გაიზარდა, ისეთი მხარბეჭი ჰქონდა, რომ ჭიმლის კლდეს ეჯიბრებოდა. მინდია მალე გაიზარდა და სახელოვანი მონადირე ვაჟკაცი დადგა. იგი დაუძმობილდა ერთ ნადირთა მწყემსს, ეშმაკის მოციქულს. მაგრამ მინდიას ერთი ჭირი სჭირდა: კბენარი ეხვია იმდენი, რომ სიარული უმძიმდა.

ერთხელ მზემ მოიწყინა, მინდია სანადიროდ წავიდა. თან თავისი დისწული საღირა წაიყვანა. შეხვდათ ჯიხვების ჯოგი. მინდიამ თითონ არ ესროლა, საღირას ასროლინა. საღირამ მოარტყა და ერთი ჯიხვი მოჰკლა. დაღამდა კიდეც. ბიძა-დისწული ერთ გამოქვაბულში შევიდა ღამის გასათევად; ერთმანეთის გვერდი-გვერდ დაწვნენ და დაიძინეს.

შუაღამისას უცბად ატყდა ჭექა-ქუხილი, ელვა ღრუბლებს სჭრიდა. ქარიშხალი გრიალებდა. საღირას გამოეღვიძა და ბიძას გადახედა. შეამჩნია მინდია რაღაც საშინელ სიზმარში უნდა ყოფილიყო, ძილში კრთოდა. საღირამ გაიღვიძა ბიძა და ჰკითხა, რა გემართებაო. მინდიამ არა უპასუხა რა, დაჯდა და თავჩაღუნული რაღაცას ფიქრობდა. არ გაუმხილა დისწულს თავისი სიზმარი. სიზმარში მინდიამ ნახა თავისი ძმობილი, ნადირთ მწყემსი, ეშმაკის მოციქული. ნადირთ მწყემსს სურდა მკბენარისაგან გაენთავისუფლებია მინდია, ამიტომ უთხრა: „კბენარს მოგაშორებ, თუ საიდუმლოდ შეინახავ, რაც გადაგხდებაო. მინდიამ შეჰფიცა. ერთ ადგილს წაგიყვან, საზღვარგარეთო*). მინდიამ უპასუხა: სადაც მეტყვი, ყველგან წამოგყვები, რასაც მეტყვი ყველაფერს ავასრულებო. ეს ნახა სიზმრად მინდიამ და ამაზე იყო დაფიქრებული. საღირას არაფერი უთხრა, რადგანაც ნადირთ მწყემსს სიტყვა მისცა, ყველაფერი საიდუმლოდ შეენახნა.

---

* საზღვარ-გარეთ — ზეესფერეთს იქით.

რომ გათენდა, ნადირთ მწყემსმა მინდიასა და მის დისწულს თითო ჯიხვი მოაკვლევინა—ერთი სააღდგომო, ე. ი. თავისი სამწყოსი და მეორე არგოხული, ე. ი. სხვა ნადირთ მწყემსის სამწყოსი. ამის შემდეგ ნადირთ მწყემსმა მინდია გააპარა, საზღვარგარეთ გაიყვანა და გუგულების სოფელში მიიყვანა. სწორედ ამ დროს გუგულები საზღვარგარეთიდან დაბრუნებას აპირებდნენ. გუგულები მზადებაში რომ იყვნენ, მათ სხვა ფრინველთ ჯარი დაესხა და გუგულები დიდ საფრთხეში ჩაცვივდნენ. მინდია ჯოხით დაერია თავდამსხმელთ, დახოცა ისინი და გუგულები გადაარჩინა. გუგულებს გაუხარდათ და თანაც გაუკვირდათ. თქვეს: ეს რა ადამიანია, რა კაცია, რომ ასეთ განსაცდელს გადაგვარჩინაო, და კითხეს ნადირთ მწყემსს, ეშმაკის სხეულს, მაგ კაცს რა ვასიამოვნოთო. მან უპასუხა: მაგას კბენარი ახვევია და ის მოაშორეთ, თორემ სიარული უმძიმსო. გუგულებმა უპასუხეს: მაგის წამალი ვიცით, ისე გავხდით, სულ ჩვენსავით ფრინავდესო.

ეს რომ გაიგო მინდიამ, სიხარულით ცასა სწვდებოდა.

გუგულებმა კი უთხრეს ნადირთ მწყემსს: ჰკითხე მაგ კაცს, რა საჭმელსაც ჩვენა ვჭამთ საზღვარგარეთ გაფრენის წინ, იმ საჭმელს თუ სჭამსო. ნადირთა მწყემსმა ჰკითხა მინდიას და მინდიამ ასე უპასუხა: მე შენ გენდობი, რასაც შენ მეტყვი მეც იმას ავასრულებო.

გუგულებმა მოხარშეს თეთრი გველი, თითონაცა ჭამეს და მინდიასაც აჭამეს. მინდია ცუდად გახდა, გულს ეყრებოდა, ცვნებოდა. გუგულებმა ლოგინი დაუგეს და დააწვინეს, მაგრამ მინდიამ ვერ მოისვენა. დაუგეს მეორე ლოგინი, მაინც ვერ მოისვენა. დაუგეს მესამე. მაშინ კი დაეძინა.

დილით რომ გამოეღვიძა, ნახა ორივე იღლიაში ცხვრის ფაშვის ოდენა რაღაც ეკიდა ტომრებივით. ამან მინდია შეაშინა, მაგრამ გუგულებმა ის ტომრები გასჭრეს და იქიდან იმდენი ტილი გადმოცვივდა, რომ სამი ფუთი გამოვიდოდა. ამის შემდეგ მინდია ისე დამჩატდა, ლამის გაფრინდეს. მთლად გაჭაბუკდა, გონება გაუახლდა. ისეთი სიარული დაიწყო, რომ ბალახსაც კი არ არხევდა.

ნადირთ მწყემსმა ჰკითხა: მინდიავ, ახლა როგორა ხარო?

მინდიამ უპასუხა: ჩემი საქმე ახლა ისეა, რომ თუ აქამდის აი იმ მთაზე უსვენებლივ ვერ ავიდოდი, ეხლა ცხრა მთას გადავირბენ, ჯიხვს ფეხდაფეხ დავეწევი; აქამდის ქისტის მოკვლისა მეშინოდა, ვფიქრობდი დამეწევიან და მეც მომკლავენ მეთქი. ეხლა კი

ქისტის სოფელში კაცი რომ მოვკლა, ისე გამოვიქცევი: ქორიც ვერ მომეწევაო.

ამის შემდეგ მინდია შინ წავიდა, დიდი ხნის მიტოვებულ ოჯახს დაუბრუნდა. ოჯახი კი სწუხდა მინდიას დაკარგვას, თუმცა იმედი ჰქონდა დაბრუნდება და ნანადირევს ბევრს მოიტანსოსად იყავიო, რომ ჰკითხეს, არაფერი უპასუხა. მინდია გრძნობდა, რომ მას რაღაც დაემართა, მთლად გამოიცვალა, ფიქრი შეუყვარდა, ყველანი და ყველაფერი შეუყვარდა.

დედამ ახლადმოსულ შვილს ხორცი შესთავაზა. მინდიას გული არ მიუვიდა ხორცზე, არ მიეკარა. არ მინდაო, უთხრა დედას. მაშინ დედამ რძე მიაწოდა, თან უთხრა:

— რაი მაგდის მინდიავ, გონს მოდი, გონს.

მინდიამ დედას რძე ჩამოართვა და ასე უთხრა:

— ემას კი შავხვრეპ დედავ, კი. იმაად, რომ ემაში ცოცხლის სისხლი არ ურევავ.

დედას, სამძიმარს, ძალიან გაუკვირდა შვილის ნათქვამი.

როცა დაღამდა და ყველა დასაძინებლად წავიდა — ძმები უთურგა და ბერდია ჭერხოში ავიდნენ. ცოლი აშექალა საკვამში მიწვა ცეცხლაპირად. სამძიმარამ კარაქის დღვება დაიწყო. მინდია ცეცხლთან იჯდა და ფიქრობდა. დედა წამდაუწუმ ეკითხებოდა შვილს: მინდიავ, რა მოგდის, რამ დაგაღონაო.

ერთბაშად, ბაგაში ძროხამ დაიბღავლა. ყველანი მისცვივდნენ და ნახეს, რომ ძროხა მასკვლია კვდებოდა. მინდიას ძმამ ბერდიამ ხანჯალი იძრო ძროხის დასაკლავად. მინდიამ ხანჯალი წაართვა და დაიყვირა:

— ცოცხალის დახკვლა არ იქნების, ცოდოი ას, ცოდოი.

მაშ მკვდარს ვინ ხკლავსო. — გაუკვირდა ბერდიას. ეს უეცრივია, ყველა სულდგმული თავისით უნდა მაკვდეს. ჩვენ ნება არა გვაქვს სიცოცხლე მოვუსპოთ ცოცხალსაო — უპასუხა მინდიამ.

— შენ, მინდიავ, როს გახე ასე ბრძენ, როს? — დაუყვირა ბერდიამ. ძროხა მოკვდა.

ოჯახს არ მოსწონდა მინდიას საქციელი. დედა სულ იმას ეკითხებოდა, რა მოგდისო, ძმები კი — როდის გახდი ეგრეთი ბრძენიო. ცოლი სთხოვდა ნანადირევსა და შეშას.

ერთხელ მინდიამ თოფი აიღო და სანადიროდ წავიდა, უნდოდა ცოლის საყვედურიდან ამოსულიყო.

ერთ კლდეზე ჯიხვი შეხვდა. მინდიამ ჯიხვს თოფი დაუშიზნა.

ჯიხვი ახლოს იყო, მაგრამ არ გაიქცა. მინდია, ხედავდა ჯიხვის გულისცემას. მინდიამ თოფი ძირს დაუშვა. ეს დინჯი ნადირი ვის რას უშლის, რათ მოვკლაო. ავიდა მწვერვალზე და იქ ერთ კლდეზე ჩამოჯდა. მის წინ შურთხი დაჯდა. მინდიამ იმასაც დაუმიზნა თოფი, მაგრამ არც ის მოკლა. კენჭი ესროლა და გააფრთხო. შერე დაიწყო იმის ფიქრი, თუ რამდენი ქისტი ჰყავდა მოკლული.

ჯარის ბელადი, იმედი,
როგორაც რკინის კარია,
წინ მინდი მიუძღვებოდა
საც გავიდოდა ჯარია,
ღილოს, მითხოს და ტერელოს *
ბევრგან გახურნა ცანია,
ბევრჯერ იღება სისხლითა
მინდის ფოლადი ხმალია.
ბევრს მტერს აბვია თავზედა.
მაჟარმა ცეცხლის ალია,
ხევსურეთ მასულ მეძალეს
ბევრაჯერ შასდვა ზარია.
გადადიოდა, ღვედრავდა
ხოვაის მინდი ვარია
მუდამ თან ჰქონდა წამლები
ყვავილთა ნაჩუქარია.

შინისაკენ დაბრუნდა მინდია, იფიქრა შინ ხელცარიელი როგორ მივიდეო, და ერთი ლამაზი ვერხვის მოჭრა მოისურვა. ცული რომ დაჰკრა, ხეს ჭრილობიდან ცრემლები გადმოუვიდა. ხე შეეხვეწა მინდიას, ნუ მჭრი, მეც სიცოცხლე მწადიაო.

მინდია მიხვდა, რომ ყოველი მცენარე, ყოველი ცხოველი, ცოცხალი არსებაა, რომ ყველას სურს სიცოცხლე. გული აუცრემლდა მინდიას. ხეს ჭრილობაზე გრილი მიწა დაადო, თავისი პაჭიჭებით შეუხვია, თოფი და ცული გადაყარა და შინ წავიდა.

ძმები დაცინვით დაჰვდნენ. ე, აგერ, აი, მავიდ ბრძენ კაც, მავიდ. სად იყავ, მინდიავ, თოფი, ცულ სად წაილი, რამდენ ჯიხვ მახკალ, რა გაილი შინ?

— მინდიამ ძმებს ხმა არ გასცა. დედამ ჰკითხა, პური არა გშიაო. მინდიამ უპასუხა — ზისცვარი* მამილი, დედავ, ზისცვარი! დედამ

* სოფლებია ქისტეთში
* რძე.

რძე მიუტანა. დედას აწუხებდა მინდიას საქციელი. მთელს არხოტის თემში ხმა გავარდნილიყო მინდიაზე, მინდია ხალხის პირში იყო ჩავარდნილი. ყველგან იმას ამბობდნენ, მინდია მთლად გამოიცვალა, რაღაც დასჩემდა, მას მაცილ ეშმაკი დასდევს და მინდია მიგრივით გახდაო. ზოგი კი მინდიას ბრძენ კაცად სახავდა.

მინდიას ასის ხეობისაკენ უყვარდა სიარული, რადგანაც წინათ, როცა ქისტებს ესხმოდა თავს, ხშირად უხდებოდა ამ ხეობაზე გავლა.

ერთხელ ამ ხეობაში სიარულის დროს, მინდიას შეხვდა ქისტი ქალი — ხადიშათი. ხადიშათი მინდიას ძმათნაფიცი ქისტის ალდისძის და იყო და მინდიას უყვარდა. ერთხანს ისაუბრეს და მერე გაშორდნენ ერთმანეთს.

მინდიამ ერთხელ ყვავილების მოკრეფა მოისურვა, რომელსაც კი ხელი წაატანა, ყველამ უთხრა: ნუ მომწყვეტ მინდიავ. მე გულის ტკივილის წამალი ვარ, მე ღვიძლის სნეულებისა, მე უსინათლობისა, მე დაჭრილისა, მე მოტეხილს ვარჩენო და სხ. მინდიამ იცოდა მცენარეების და ცხოველების ენა. მინდიამ, ამრიგად, მკურნალობაც ისწავლა, და ყოველივე ცოცხალს იცავდა და იფარავდა ყოველი ბოროტის ხელისაგან. პირაქეთ ხევსურეთში მინდიამ ჭიანჭველების სოფელი ნახა. დიდ მინდორზე ჭიანჭველებს მრავლად ჰქონდათ გამართული თავიანთი ბუდეები. ამ ადგილს გავლა აკრძალა მინდიამ, არც კაცს, არც საქონელს აქ არ გააჭაჭანებდა ხოლმე. ერთხელ მედოლეებმა ჭიანჭველების რამდენიმე ბუდე დაანგრიეს. მინდიამ ეს დაინახა, ცხენები წაართვა და ცარიელნი გაისტუმრა შინ.

ბრძენი კაცის სახელი გაუვარდა მინდიას. ყველასი მრჩეველი და დამრიგებელი იყო. ყველა იმას ეკითხებოდა ჭკუასა და დარიგებას. ყველა იმასთან მიდიოდა თავისი გაჭირვებითა თუ დალხინებით.

ვინაღ დაუწყას ბალახთა
საამო საუბარია,
ვისად დაედრებს მამკასა
ყანაი მასამკალია.
სუყველა ესალმებოდა
ბალახ-ტყენი და კლდენია,
სიმაგრეებში ნადირი
მადლობის იყო მთქმელია,

ერთად იძახდა სულყველა
იყვას მინდია მთელია,
გახარებულებს მწიფლებსა
ცას მიუბჯენავ წვერია.
ნადირისა და ხეტყისა
იყვა ერთგული მცველია,
საც გაჭირვებას იძახდეს
წინ აბჯრის გადამცმელია
ვინაღ გყავთ დაჭრილებისად
აქიმი მინდის ცალია
ან ვინაღ იცის წამლები
ბალახი უებარია,
ვინ აძლევს დარიგებასა,
როსაც დაჯდება ჯარია,
ტყვიისად დაენანება
ედგას ცულისა ძალია.

ვერც ერთი ხევსური მას წინააღმდეგობას ვერ უწევდა, რადგანაც ყველამ იცოდა მისი სიბრძნე და დიდი ძალღონე.

ხახმატის ხატობაში, მარიამობას, მინდიამ დაინახა, რომ მთვრალები ერთმანეთს დაერივნენ ხმლითა და შუბით და ერთმანეთს ხოცვა დაუწყეს. ქალების მანდილმაც ვერ გააშველა მოჩხუბრები. მინდია ჩაერია მოჩხუბრებში, ყველა გაჰფანტა და დაამშვიდა. აქ მინდიამ ნახა მრავალი სჯალავი დაეხოცნათ და ხუცები და დასტურები და ხალხიც ხოროცითა ძღებოდა. მინდია გაწყრა, მაგრამ ხატის პატივით არაფერი თქვა, მხოლოდ ერთი თიკანი მოიპარა, დასაკლავად გამზადებული, ჩუმად წაიყვანა იქიდან შორს და ველკეთილის მინდორზე ფარას გაურია, თითონ კი შინისაკენ წავიდა. ლებისკარის გრძელ ბილიკზე მინდიამ თავისი ლანდი დაკარგა.

ერთხელ მინდია და მისი ძმები ბანზე ისხდნენ. დაინახეს, ფუტკრის სკას ახალნაყარი ფუტკარი დაესია. გაიმართა სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლა. მერე დაინახეს, ერთ კურატს ბუზი შეჯდომოდა, ჰკბენდა. და აწუხებდა. კურეტი კუდს იქნევდა, ხტოდა, დარბოდა, მაგრამ ბუზი ვერ მოიშორა. მერე მდინარეში ჩავარდა. ბუზი მდინარემ წაიღო და კურეტი დამშვიდდა.

ამ დროს მინდიას ხელზე მწარედ უკბინა ბებერამ. მინდიას ნაკბენი ალაგი დაუსივდა, მინდია ყველაფერმა ამან ჩააფიქრა.

— მინდიავ! აი ეგეთ ას წუთისოფლის წესი, — უთხრა ბერდიამ, — ეგეთ. შენ კი ვითომც ბრძენ იყვა, უბრალო ბალახი გებ-

რალებიანა, ის ქვე არ იცი რაისად. გირჩევ გონს მახვიდ, გონს, თორემ ბალახთ სიბრალული არას ჩამაგაყრის.

— მერმ რა ას მაგით, რომ ფუტკრები ერთმანეთს იხოცან. შაგათ განა ჩვენსავით ჭკუა აქვ? კაცთ უნდა ვიცოდეთ, რა კაი ასა, რა ავი.

— შენ იქავ შენსას მიჰყივ, კიდე! — უპასუხა ძმამ—ყველა პირუტყვი, ყველა ფრინველი, ყველანაირი მწერი, ქვემძრომი, ნეხვის ჭიანი, იმათთან ყველა მხრის კაცნი იბრძვიან ურთერთში. შენ კი რას ღბოდავ, რას როშავ, რას?

მინდია დაფიქრდა. მას მოაგონდა, რომ ზოგი ბალახი მავნეც არის: საწამლავია საქონელისათვის. მისი ძროხა მასკვლია რაღაცა ბალახმა მოკლა. მის შინ არ ყოფნის დროს, ქისტები დასცემოდენ სოფელს და აეკლოთ.

მინდიამ აიღო თოფი და სანადიროდ წავიდა. საღამოთი მინდიამ მოკლული ჯიხვი მოიტანა შინ. ამის შემდეგ მინდიამ წინანდებურად დაუწყო ხოცვა ქისტებს. მინდიას ძალიან ჰყავდა ისინი დაშინებული.

ბერდიამ რომ დაინახა, გაუხარდა და უთხრა მინდიას:

„მაგრამ ეს წუთისოფელი
როსნამდე მოსახმარია!
კარგი ვაჟკაცის სიკვდილი,
ცუდის — სიცოცხლე ბრალია.
ხევსურეთს ვიღა გაზრდიდა
შენ ფერს ხევსურის ქალია,
თემ-სოფლის საიმედოი
მტერთან კლდე იდგას სალია.
საც გაჭირვება იძახან,
გადაიხუროს რვალია,
ომში წინ გადაიტანის
დასაბლუჯვილი ხმალია“.
გაბედა მითხოსაკედა,
გადაიტანა კვალია,
ბევრჯელ ულახავ უწინაც
მაღალ ქისტეთის მთანია,
მაგრამ სრუ მუდამ დავლათი
რა ძვირად საშოვარია.
მითხოში უნდა ჩავიდას,

სახელ აქვს მოსატანია.
თუ კი მტრის ხელებს მაიღებს,
არ უნდა ძროხა-ცხვარია,
მინდის უყვარდა სახელი
არ უნდა ნადავლარია.

მაგრამ მინდია ალდისძის ძმობას არა კარგავდა და ყოველთვის მიდიოდა მასთან.

ერთხელ ძმებმა და მეზობლებმა უთხრეს მინდიას: ერთხელ ჩვენც წაგვიყვანე ქისტების სახოცავადაო. მინდიამ თან გაიყოლია ძმა ბერდია და ორი მეზობელი—კვირიკა ჯაბუშანურ და აპარეკა. გზაში ქარიშხალი ამოუვარდათ. თავის შესაფარებლად მინდია, ამხანაგებით ძმობილის ალდისძის ციხისაკენ წავიდა სოფ. მითხოსაკენ. მიადგნენ კარს. დააკაკუნეს. მაგრამ, მინდია ქარიშხალსა და სიბნელეში მოტყუვდა. მეგობრის კარის მაგივრად, მტრის კარს მიადგა.

დააკაკუნა კარი. გამოეგება სახლისპატრონის ქალი აღაჩა და მიესალმა მინდიას და მის ამხანაგებს. მინდიამ ძმობილი იკითხა. აღაჩამ უპასუხა, შინ არ არის, სოფელშიაო. მოითმინეთ, ამ საათში დავუძახებო. ქალი შებრუნდა შინ და თავის მამას უთხრა:—ხოგაის მინდია მოგვადგა კარს, ალდისძეს კითხულობსო. მამამ ქალს მისცა თავისი დიდი ტყავი და უთხრა: ეს გაუტანე, ციხეში წაიყვანე, უთხარი ცეცხლს დაგინთებთქო, იარაღი მოიხსენით, ვიდრე ალდისძე მოვათქო. აღაჩამ ხევსურები ციხეში შეიყვანა და ციხის კარები ურდულით დაუკეტა გარედან. მიხვდა მინდია, რომ მოტყუვდა.

მითხოს ჩავიდა მინდია,
ხანია შუღამისაო.
ზედ შავი ღამე დაეცა
მთვარე არ იჩენს პირსაო.
ალბათ დაბრუნდა უკუღმა
დავლათი ვაქკაცისაო.
ცრემლით ატირდეს ნისლები
ნამსა ნელ-ნელა სცრისაო.
ჩამაწვა შავი ღრუბელი
შავად დაეცა ჩრდილსაო,
გადაერია სავალი,
მინდის ბილიკი მთისაო.

ქალმ გარეთ გამააგება
ქემრით ნაკერი ტყავიო.
ახყარეს იარაღები
მინდიას საომარიო,
შეჰყარნეს სიმაგრეშია
მაგრად ჩაკეტეს კარიო.
მინდი ძმას ეუბნებოდა:
ძმავ, რად გატეხით ხარიო,
აკასთან აკურასთანა
მედშენაც დავსთმოთ თავიო,
მე თერთეგო მეგონა
შიგა ალდისძე არიო
აქც მიზუ ტიალებულა
ალაჩა, ქისტის ქალიო.

ალაჩას მამამ სოფელს შეატყობინა, მინდია ჩავიგდე ხელშიო. ციხეს ქისტები შემოეხვივნენ.

კვიოიკა ჯაბუშანურმა უთხრა ამხანაგებს, ფანჯრიდან გადავხტეთო. მაგრამ მას არავინ გაჰყვა, მარტო ის გადახტა და გაიქცა.

ბათაკაისა ლურჯამა
მაღლად მაიღა თავიო,
გათენებისას აავსა
ქავის და ქავის კარიო,
გაგვაცნობიეთ მინდიი
მითხოელთ ნიაღვარიო,
კვირიკამ ჯაბუშანურმა
ციხეს გაბანდა ჯღანიო,
ჩარდახით გამაუფრინდა
ირემ დახივა ჯარიო.
კვირიკავ ჯაბუშანუოო
დიდხანს ცოცხალი ხარიო
წაედ, წაიღი ამბავი,
მინდის ადგია ძალიო.

ქისტები შეცვივდნენ ციხეში, უნდოდათ მინდია ცოცხალი ჩაეგდოთ ხელში და ეწამებიათ, მაგრამ მინდია არ დანებდათ. სამი კაცი მოკლა და მერე თვითონ მოიკლა თავი. ბერდია და აპარეკა კი ხელჩართულ ბრძოლაში დაიხოცნენ.

ქვირიკა ჯაბუშანური დილით მივიდა არხოტში და ხოგაის მინდიას სიკვდილის ამბავი მიიტანა.

მზე წითლდებოდა, წყრებოდა,
რო ხიგაის მინდი კვდებოდა,
ჩამოდიოდა ვარსკლავი
მთვარე უკულმა დგებოდა,
ცაზე მდინარი ფრინველი,
თბებოლოს იხოშებოდა,
ხოგაის მინდის დედასა
მზე ედგა, აღარ სთბებოდა.

ხევსურული ლექსები

ეღოს ატირდენ დედანი,
მტერნ მარხედ შეგვაშინაო,
კარზედ მოგვიდეს სტუმრულად
ძალათ შემოვალთ შინაო.
თავს გაგჭრით ჯიელებს
ქალებო წაგიყვანთ შინაო,
შაყრილნი ფშაველ-ხევსურნი,
აღასამც შამოსიენაო,
დიჩინებს ხევსურის შვილებსა
თოფები დაუმდღვინაო,
ფშავლებ ლეგ-ლუგეები
თოფებსა ჩამეწვინაო,
მიქელაის სვილის გაზრდილი
რად არვინ დაიჭირაო

დისაგან გლოვა ძმისა

ძნელია გულის ბრძოლაი
და რომ ფიქრობდას ძმასაო,
ფიქრობდას ლოგინ არ უდგას,
უჭერავ მიწას მყარსაო.
გველებ სადილობს ლეშითა
ასაბუდრებენ თმასაო,
უდნების სხეულობაი,

* ლეკსი გამოთქვა თაჰარ (ყინტო) დავითას ასულმა აროაბულმა სოფ. ჯუთა'ში.

ვაჟკაცს აკლდების ძალაო.
ბრალია სუხუმიაო,
მიწა გიდნობდას ჯანსაო,
არ ესხას იარაღები
შენს ციხესავით ტანსაო.
გული ბიოად არ უდგებოდას
შენს მაუზერა ხმალსაო,
ენა არ ლაპარაკობდას
სიტყვა ხეთქავდეს ქვასაო
ბაბუა არ ედგ გვერდითა,
მტერ არ აძლევდასთ ზარსაო,
ლომ გულო შეუდრეკელო,
დედულთ მოგასწრეს მთვრალსაო.
იარაღ ჩამაყრეულსა
თან გაყოლებენ თვალსაო,
ახალიზებენ მაცილსა,
სუხუმავ, გრევენ ძალსაო
არა — კი ნუ დაღონდები,
ტყულა ვერ იგდებს ყმასაო,
შენაც ბევრ მახკალ ბევრ, განა
ღმერთმ თუ გახთემდა ვალსაო,
ნუმც გაიყოლებ გულითა
შენთა დედის ძმად ჯავრსაო,
არ მაგხკლეს სირცხვილიანი
ქალს არ უდევდი ზალსაო,
არცა რა გვექნეს სახელი,
აეგათ დაზდევს თავსაო
ხევსურს არავინ მაუხკლავს
მამიდაშვილი სხვასაო
ჯიში აქვთ ჩამამავალი
არას ვინ იტყვის კასაო.
თავი ცოცხალ დალმარხეს,
მიწა ვერ უძლებს ბრალსაო,
შენ სიკვდილ შენსა მამკვლავსა,
აღარას ჩავსთვლი სხვასაო.
გავთვალე ბოროტიანმა
ვასვენებ გულის ჯავრსაო.

ალბათ გაუჩდა წერასა,
ჯერე ძმაი ხკლავს ძმასაო
ბევრ წყენა შამაანარცხე,
არხვატ ციმბირის ცალსაო,
ჩაგიწყდა გულის სიმები,
ფიქრ დაასვენე ძლიერი
გიმტყუნა ბედის წერამა,
გულ დაგიმშვიდა კლდიერი
ფოლადო არხოტიონო,
სამუდმო ლოგინს მიელი,
ბაბომ უმცროსად გაკუთნა,
შენ დედის ძმიშვილ მთიელი.

***

ქალნი ჩახოცნა თავისნი,
სულეთი წაიხთინაო,
რად ვინ გაუშვა მიქელა
რად არვინ დაიჭირაო,
ყველასამც ევრე მაუა
ვინც მიქელს გაუცინაო.

***

ეშკაითი ჯარსა ჰყრიდა
ქვევით უნდა წავიდესო,
წავიდეს თუ არ წავიდეს.
პატარძეულს გავიდესო.
ვინც რო კაი ვაჟკაცია,
ორ დღეს უკენ მავიდესო,
ეგ გაიგა მართებელმა
მუხლზე გაიდევდა ხელსო,
აქ მამიედ სოლომანო,
მე გამიჯედ მუხლთა ქვეშო,
განა მისდიხარ სოლომანო
ვინლა მომიკრებდა ცხვრებსო.
სოლომან ბუთულაშვილი
რა კარგად ყურბდა ცხენსო,
დილითა და საღამოთა
თითო ლიტრას აჭმევს ქერსო,
თბილი წყლით ძუას გადაბანს
ვრბოთ გადუპოხდა წელსო;

შენი ჭირიმე ლურჯავო,
გამომადგები ერთ დღესო,
ჩადიან ჩამდინარაზე,
სოლომან სჯობს თავადებსო,
გაქცეული ქორსა ჰგავდა,
გამოექცა შევარდენსო,
ეგრე ოსმალოს აიღებს,
როგორც მიმინო მწყერსაო,
საჩქაროზე მოუტანა,
ხუთის თავი მართებელსო
კარგი, იკმავე სოლომან,
გეყო მამიშენის მზესო,
სოლომან არ დაიჯერა
კიდევ მოუმატებ ბევრსო!
ერთი კიდევ გარდაეტივა
წინ თათრები გადუდგესო.
ორი ტყვია ლურჯას უკრეს,
სოლომანსაც მიარტყეს,
ვა, დედას სოლომონისას
რა ჭრელადა ხედავ მზესო,
გული გულად აღარ გაქვს,
გულის ალაგს მოგარტყეს,
ბიძა ტატუა გვერდს უდგა,
ცხენის გავას გადისვამსო,
ნუ გეშინიან სოლომან,
მე გაჩვენებ მამაშენსო,
ყმაწვილურად რად მეტყოდი,
ვინღა ნახავს მამაჩემსო.
ეგ პასუხი დაათავა,
სოლომანს კი სული ხთესო,
გადმაიღეს სოლომანი,
გზის პირებში დაღმარხესო,
მარმარილოს ქვა დათალეს,
დათალეს და დაადვესო,
ყარაულებ დააყენეს,
ეს არავინ ამაგდესო,
ცოდვაი სოლომანისა,

საურჯულოოს დარჩესო,
მაუძახეს მედროშკესა,
ორქაფები შააბესო,
ჩქარა დროშკა მაიყვანეთ
თორე ცხენებს გასჭრის ყელსო.
მაიყვანეს დროშკეები,
სოლომანი შააგდესო,
ქალაქში შამაიყვანეს,
სიონის ზარი რეკესო,
იმტენი დღეგრძელობა მაქვს
რამდენი ცრემლი ღვარესო,
მაროს ნუ გააგებინებთ,
დანით მაიჭრიდა ყელსო,
სამჯერ მარო გამოვარდა
ხელი ჰკრეს და შააგდესო,
იმ ღამეს ძეობა იქნა,
მაროს ბიჭი აყოლესო,
მესამე დილას მონათლეს
სოლომანი შაარქვესო
ა მაგის მოლექსესა.
ერთი ჩოხა ჩამაცვესო,
საახალუხეს დამპირდეს,
ის კი ისრეევ დამაკლესო.

***

ვერ გაიგითა ქართველნო,
შაგეხსნათ რკინის კარიო,
ნეფე აღარ გყავთ ერეკლე,
ბაგრატიონთა გვარიო.
დამდგარა ბაირახები
აღარ ჰექს ზარბაზანიო,
მანამდი ვიყავ ცხენს ვიჯექ
მიეძრენ და მოეძრენ ზღვანიო,
ახლა თქვენ შაინახეით
ქალაქის მეედანიო
შვილს გაუწირე ანდერძი
ფეხა-სისხლიანი ხმალიო.
საფათრედ ნუ გახდიდით

იმერეთ ნეფის ქალიო.
სახალხოდ ნუ გახდიდით
ეგ ჩემი სამალქანიო *
ამა ქართულის მათქვამი
თავად ერეკლე ვარიო.
დავსწერე კამალაზედა
ჩემი სიტყვანი სამნიო.

* * *

ღულის კლდით ღულელ შვილებსა
სიმღერა გამოდიოდა,
ოდნ უდგა ლუდით სავსენი
ალისხლ-ფერად მოუდიოდა.
ქორწილ აქვთ ჭრელაის შვილსა,
უწევრად მოუდიოდა,
ღულელ შვილების ნახოცნი
მკვდარნი კლდეთ გადმოდიოდა.
ღულის ძირს წყალი დაწურნა
ორ წყალში აღარ დიოდა,
იდუაომით იძახდა
წყალ-წყური არ მოდიოდა
იდუას მამაი არ ცოლის
ხელ ხმალზე მიუდიოდა,
წინ ლეკი წამოუგდავის
ხვედრება ამოდიოდა
აბშინა სადაც იქნების.
აბშინას ყურს მისდიოდა,
სულეთში ღულელ შვილები
ჩივილით აბოდიოდა.
მხარ არ გვიჭირეს ხევსურთა
მარტოთა არ გადიოდა.

* * *

ვთის კარზედ შევიყარენით სამოცდა სამი ჯვარია,
ჩამოდგეს საწონ-ჩარექი კვირავ დაუგო თვალია,
ოც ლიტრიანსა სინასა ვერ შაუყარნეს კარია,
ბოლოსკე მე დავმჯდარიყავ ყველას ჩემზედ აქვ თვალია.
ორი მორიგეს მოვთხოვე გარმომიმეტა სამია,

* სამალქანი—ჯაჭვის ჰერანგი.

ვიარე, ავსწიე, ქვეშ გაულიე ქარია,
ბს ხქონია ქორწილი, უჩქეფავ სისხლის წყალია,
ოგეს ხვთის ნაბადებთა წაღლულუ იახსარია,
ა თავი ხყვანია დედაი — ცხრად დამზდელი ქალია.
საკმისას ლახტი ვესრიე, ზედ გამდოხურე ბანია,
ითი სადამ იქ დამემალა, რომელიც თავი არია,
აგას ლახტი გამოვაყოლე, კლდეს მომიფარა თავია,
კლდე ორათ გაახეთქიე, დევს დამოვთხარეს თვალია.
კარგად სცოდნია ოხერსა, ამუდელაურ ტბანია,
ცალთვალა ჩავიდა ტბაშიდა, თან ჩავყვე იახსარია.
ჩავედ და ვეღარ ამოველ, სისხლმა გამიბნა მხარნია,
კარგა იკვლიეთ ჩემ ყმათა ,ოთხ-რქა, ოთხყურაი ცხვარია,
მაიყვანეს და დამაკლეს ღმერთო დასწერე ჯვარია.
შამოდე ბროლის ქვაზედა შამოვიბერტყენ მხარნია,
ჩავხედე ჩემთა ნაჯდომთა, ჭრელ მომრჩალიყვნეს ქვანია,
ღმერთო თუ მამე შეძლება შენავ გამიხსენ მხარნია.

***

ხევსურეთს ნურას წამოხვალ, ვერცრახარ დავლათიანი,
თოფი ბევრია ხევსურეთს სიათა პირკომლიანი,
ხმალი ბევრია ხევსურეთს ფრანგული ფხა-სისხლიანი,
ობოლიც გაიზრდებოდა მტრისავე გულ-ჯავრიანი.
იქა ფშავისკე წახვიდი საქონიანი-ცხვრიანი,
ჯოჯინის ღელეს გახვიდი იქ გზა მოვა საყელიანი,
იქ მოვა ცექიაური სახელად თორღვაიანი,
ხმალი მას სთხოვე შენ მაგცა დანა დამალა ფხიანი,
მარჯვნივით შამაგიარა გიყვა მარცხივით ზიანი,
ხელ დამცა საყელოშიგა მკლავთითას იმედიანი,
ვაჟუსძევ წამოგაქცია მიწა გაჭამა მტვრიანი,
თავით ყვარნები დაგისხა გალო გახარით წვნიანი,
ძვალზე თუ სჭირდეს ნაჭრევი, ხელდაღლოცვილი ხმლიანი.
გნალოვნის ჩრდილში გამწირა, ნაშად გახურა ცვრიანი.
წავიდა, მთა გარდიარა, ირემას ტანზადიანი,
მიცუს ხკითხავდეს დედაი,—სად იყავ მკლავ-სისხლიანი,
რას მეუბნებით დედაო, მე მოვალ გულ-ჯავრიანი.
ხმალ ვაჟუსძიამ წაღმართვა, შინ მოვე სირცხვილიანი,
გეტყობის ლაპარაკშიგა, თორღვავო გიქნავ ზიანი,

ხმალ თუ ვაჟუსძემ წაგართვა დანა ხო დაგრჩა ფხიანი.
ვაჟუსძის გარდამღებელო თორღვავ რა ჰქონდა ფარადა
საშკლავნი გიფარებიან — ბაბურაულო ფარადა.

***

ხუთშაბათ გათენებადა, თოლიან იქნა დილაო,
გარმოვიტანე ფანდური ლარს გიდებ საჟიჟინაო,
საგონში გახერებულსა დავჯედ და დამაძინაო,
მე ვთქვი თუ ცხადათ გამოვე ხმა რაიმ მამადინაო.
უბრალოდ მომჩვენებიყო მამგონდა გამაცინაო,
სოფელჩი დამიპატიჟეს ჩვენ შენგმეტ გვინდა ვინაო,
ჯერ ხალხთ დაუწყო კვლევაი, იქ ყოფაც მამეწყინაო,
იქ არვინ იბადებოდა, ავდე წამოვე შინაო.
ქვან დავისრიე უკულმა, იმას მიტყობდა ვინაო,
გზაში შამომხდა ხევსური ძაღლივით დამიღრინაო,
შენ სახარ ჩემო ძმობილო, ხმაც შენი მაცადინაო,
შენ აქით გარდაითხიე, თავის სამშობლოს სწირაო,
სიცოცხლე მეც მამეწყინა თემთ-წყალი გამიწირაო,
მე არვინ მინდა შენგმეტი, გინდა გულ დამაცინაო,
ვერავინ შამდის ჭკუაშიგა ზოგენ გულ შამიშინაო,
ნეტავი შენთა დუშმანთა სისხა ქვე გააჩინაო,
მანამდი სხვა რას იტყოდა შენ აგტეხიან წინაო,
შენაც ძალიან გშურობენ ქალო ხევსურის თინაო,
რათ შამიგინე ძმობილი მეხევეთ ხაბიძგინაო.

***

ჩამოველ კოტოხის ძირა, იყვა შუადღის ხანია,
გავიდა ბნელეთისადა, ღურბელი საწვიმარია,
სმაი აქვთ გუდამაყრელთა, ღვინოს სმენ როგორც წყალია.
მეაც იქ დამიპატიჟეს დამიშალითეს მთვრალია,
ჩამარტყეს მაგარ-მაგარი წამამაკეტეს ძალია,
ველად რო გამოუარდი, იხულეს როგორც ცხვარია,
ახლოს ხქონიყო დუქანი, მაგრად მახარეს კარია,
თოფს ვერ წაიღებთ, ძაღლებო, წელსა მწყვეტს გილლის ჯარია.
გავარდა ვანკისეული კიტორს შეხყარნა ხმანია,
ვამსვლელად ბატარიამა მაგრა მიჭირა მხარია,
თორელათამა გიგოლამ დაჭროლა როგორც ქარია,
ჩამომყოლიყო გვერდზედა არწივი მეომარია,
საწყალო წიწაიშვილო, ტყესა მაავლო თვალია,

ბახნის ძირს შამომავალსა ამხვიე თოფის ალია.
ვინც მყავდა ამხანიკები, კლდეთ გადახყარენ მკვდარია,
ერთი მეც გამეგეხსროლე, ქვიშა გაწითლდა მშრალია,
ხოზელ მამუკა ვინ იყავ, ვალად მემართა შენია,
წამოსვლა მინდა ერთხანა უნდა მოგავლო თვალია,
უნდა აგყარო მენდალი მოგაკრა სისხლის ჯვარია,
ოხერსა ოსაის წვერსა, თოვა სკოდნიყო, ქარია.

კუნძულელის ლეკსი.

ნეზირ-ვაზირ სოლოშან ბრძენი კალმახობას წავიდეს,
ერთი თევზი დაიჭირეს, ერთ ტაფაში მოხარშეს.
რომელიც რომ მტყუანია იმის თევზი გაცოცხლდეს
ერთი კაცი დავინახე, შენს ლოგინში ბნელ ღამეს.
მემართლები მართებელო მე რომ თავი მომჭრა დღეს.
თავს არ მოგჭრი დედუფალო, ხოლო მოგვიკიდე მტერი,
შვიდი წელ-და წელიწადი ჰყვარობ კულნძულ ხელმწიფეს.
ნეზირ-ვეზირ დაიძახა, ვინა ჰფიცავს ჩემსა მზეს.
გაუხარდა კუნძულელს, რას დავესწარ საკვირველს.
ჩაქმა-ჩუქმა დაიყარა, თოვლში ფეხშიშველა ხტეს.
ერთი სპილენძის კოკა გვაქ გვიბარია მემარნეს.
შენი სიყრმით თუ აგვიბსებ დედუფალი შენ დაგრჩეს,
შვიდ დღესა და შვიდ ღმეს, კოკით ყელში იდინეს
შინ კი ნულარვის გასწირავთ, ნურც ყმაწვილსა, ნურცა ბერს.
ეს რა იქნა მეუფეო, კოკის ყელს რო დააკლდეს.
მიიწიეთ-მაიწიეთ — კუნძულელი ჩამოჯდეს.
მიიწიეს-მაიწიეს — ჩაიტყუეს კუნძულელი
დედუფალს კი ხელი ახკრეს, ზეზარფეშა გადახუხეს
დაკუპეს და დარაზეს.
გაუყარეს ხომალდები, მდინარ წყალში გადუშვეს
მეთევზეს და მეკალმახეს მეუფე ღმერთ გაუწყრეს.
წყალში ბადე გადუტიეს — კოკის ყელსა გააბეს,
გასწიეს და გამოსწიეს, ნაპირად კი გააგდეს.
ერთმანეთს ეუბნებიან, ათას თუმან ფული ძევს.
გადახადეს ზარფეშაი ქაჯით სავსე კი ამოჩნდეს
ზოგი მოჰკლეს, ზოგი დაჭრეს კუნძულ კი აკაფეს.

ერთი კლდეში შაურდა, — ეშმაკი იმისა გაჩნდეს
ერთი წყალში შაურდა — წყლის ქაჯი კი იმისა გაჩნდეს.

***

მე არ მოვშლი ლექსობასა, ქალებ მირგვილ დენასაო.
მე იმას გირჩევთ, ქალებო, მოაკარით ენასაო.
შინ დასხედით ჭკვიანადა, თავის მამის კერასაო.
თავის საქმე დაგეკარგათ, საიდუმლოს კერვასაო.
თქვენ ხო წუთისოფელს ეძახით, საჩვევაზე დენასაო,
გზანი მუხლად ჩახარენით, ხაფანგებზე დენასაო.
ძლივ მაელით გაზაფხულსა, ჭალეებზე დენასაო,
მგზავრსა შემდინ-გამდინარსა, გააჩერებთ ყველასაო,
ძალათ ფეხზე დააყენებთ, ვისაც ნახავთ ქერასაო,
ქება ისითასა უნდა, ტანშიგ გვანდეს ჯერანსაო.
ხალხში დეევერია ხქონდეს, შუღლში გვანდეს ელვასაო,
არ იწყინოთ ქალებო, ნუ დამიწყებთ სენვასაო,
მე კი ყველას მართალს გეტყვით, ჩემის თავის შველასაო,
რო იწყინოთ გავჯარდები, დაგიცხადებთ ყველასაო.

აბრამის ლექსი.

აბრამს კარგი ღონე ხქონდა, უშვილობა აღონებდა.
— ღმერთო მომეც ერთი შვილი, შენი თვალი დამიტკბება.
აბრამს შვილი გაუჩნდა, ღვთის ბრძანება ეგ იქნება,
აბრამი ცოლს ეუბნება. ეგ ყმაწვილი სად კეთდება.
სამი წლისა როცა იქნა, ცხენზე შაჯდა, შეეძლება,
შვიდი წლისა როცა იქნა, სწორიც აღარ შეედრება.
— შვიდის წლისას საღვთოდ მითქვამს, მოტყუება არ იქნება,
— თუ კი გითქვამს კიდეცა ხქენ, ორპირობა არ იქნება.
აბრამ ილესავს დანასა, დანას ფხა არ უდგება,
— ახა ღმერთი, მამაჩემო, შენი საქმე მიკვირდება.
ქვაბი დუღდა წყალი შრება, სამსახურ აღარსად ჩნდება,
— ვაი, შვილო, შენი ბრალი! მე შენდა თქმა მიჭირდება.
ღვთის საქმეა შენს თავზედა დღეს შენი დღე გათავდება.
— ღვთის გულისთვინ მამაჩემო ოშკას ბევრი გადახდება.
ჩქარა დამკალ მამაჩემო, რბილი ძვალზე აღარ დგება.
აბრამ ყელში დანას უსომს, საწყალს ხელი უხელდება.
— მაგრად შემკარ, მამაჩემო, შვილი მამას ეუბნება.

მაღლა შემდე მამაჩემო, სისხლის ღვარი წამოდგება.
კაბის კალთები გადიკვათენ თორ ეგ სისხლისცვარ გეწევა,
თუ ეგ სისხლის ცვარ გეწევა საიქიო დაგელევა.
გადმოხედეს მოწაფეთა ნეტავ აბრამ რაღას შვრება,
გადმოუგდეს თეთრი კრავი, აბრამის წინ დაეცემა.
— ეგე დახკალ საღვთო იქენ, შვილიც იქავ აგიდგება,
ეგ რო დახკლა საღმთო იქნა, შვილიც იქავ აუდგება,
ვაჟკაცობა რაცა ხქონდა კიდევ გაუჯობინდება,
აბრამი ტივით მოვიდა, წინ გლახა შეეყრებოდა,
— პური მაჭამე, გამვლელო, შიმშილით სული ჰბდებოდა.
— წელს გერტყა ოქროს სარტყელი, შიმშილ რას გეკადრებოდა.
მოდი მაგყიდე სარტყელი სადილ რა დაგიჩევდება.
— შენ რომ მაგყიდა სარტყელი, მე რაღა სარფა მრჩებოდა.
გაბრუნდა უკუღმ დასწყივა, ქრისტე ღმერთ დაუხდებოდა,
ამანდით გამაბრუნვილი გამვლელსა მიუდგებოდა.
— პური მაჭამე, გამვლელო, შიმშილ სული მხდებოდა.
— მოდი მიირთვი სადილი, შიმშილ რას გეკადრებოდა.
— ურძეოთ პურს ვერა ვსჭამ, თუ კი რძე არ იქნებოდა.
ეფიცებოდა გამგლელი, — მე რძე კი არ მექნებოდა.
— აბაგოდენა ცხვარშია, ერთა როგორ არ დგებოდა,
კიდევ შეჰფიცა გამგლელმა, ერთა ბერწაი დგებოდა,
გამაიყანეს მოწველეს, კოდსაც გადაურჩებოდა.
გადაუტიეს ბერწაი, თან ბატკან გადახყვებოდა.
— ერთი გყოლია გამვლელო არადამც გაგიხდებოდა,
ხელთა მისცა ხმელი ჯოხი, — გაჭირდას გამოდგებოდა.
შვიდი წლის გვალვა დადგაო, მინდორ დაიწვა, დაცხაო,
გლეხაი მემცხვარიაი სულ საჩრდილობელს დასცხრაო.
მინდორს დასცხა, ხმელი ჯოხი სულ ფურცლის ხეთ გადიქცევაო,
რაიც გამგლელის საკერძო, ჩრდილოში შემოდგებაო,
რაიც აბრამის საკერძო — იწობა იდაგებაო,
კაცი მოუა აბრამსა, — შენ ცხვარი იღუპებაო,
რო შამობრუნდა აბრამი, ეგ ცხვარი უჭრელდებაო.
— ჩემი ცხვარი თეთრი იყვა შავად რამ გადაგალაო,
ეფიცებოდა მემცხვარე, — ჩრდილში არცა მდგარაო,
შაწუხებული აბრაამი თაყით ქვად დეედლებაო,
საათიც აღარ დალია აბრამს სული ამოხდებაო.

თამარის ლექსი

ქალმა თქვა, თამარ მეფემა,
ქართველთა ვერა გავიგიო,
შუა ზღვას ჩავდგი სამანი,
ხმელეთი ჩემკენ დავიდგიო,
ქაჯავეთს დავდი იჯარა,
ისპანის ხარჯიც ავიღიო,
ზღვას იქით ნემსათ გავედი,
ამოდენ მოვიმოქმედე,
ცხრა ადლი ტილო წავიღიო.

ხევსურული სადღეგრძელო

ხევსურეთში საერთოდ თამადობა არ იყო მიღებული. ხევსურული ლრეობის დროს (ქეიფის დროს) ვისაც რა სადღეგრძელო სურდა, იმას იტყოდა. სანიმუშოდ მოვიყვანთ ერთ სადღეგრძელოს, თქმულს ფუნცოლუა ჯაბუშანურის მიერ:

სმენა იყოს, გაგონება, დაკვრა იყოს-გაგორება!
ეს რა იყოს? შენი მტრის გული შუა გაიყოს.
რაც იმან შენთანით მაიგოს, სააქიმოში გაიღოს!
მტერი რომ გზაში შემოხდის, კისერს გაავლი ხელი,
გადაიბრუნე, დაარტყი, ზურგზე ადინე მტვერი.
გაგიმარჯოს, გაცოცხლოს, მოგცნეს ადამის დღენი,
სანამ იცოცხლე, ბიძიავ, სანამ ცასა ზრდის ნამია,
სანამ შთაში სჩქეფს წყაროი, სანამ ყანაა ხნავს ხარია,
სანამდე ბრუნავს წისქვილი, სანამ გვინათებს მთვარეა,
სანამ ჯინჭველას ქალაქით არ გაეტენონ ქვანია,
გაგიმარჯოსთ, გაცოცხლასთ, დაგაბერასთ, დაგხოცნასთ.

ᲙᲐᲤᲘᲐ

ᲨᲣᲐᲨᲮᲝᲔᲚ ᲚᲔᲙᲕᲐᲡ.

მათურელ ხევისბერისას თქვეს,
ადიდებს ხატის სახელსა.
დააწყობს ქადა-პურებსა
ქებას დაუწყებს სანთელსა.
დარიცრიცდება დამთვრალი
ფეხი ქობსაით დაცდება,
ძალიან დამწვარს ამბობენ
ლოგინში იწვა სამ თვესა,
საქონის საჭმელ გაუწყდა,
მაგის ცოლი ხთის საბძელსა.
რას იქამს თითოითოსა
თავის მოკეთის სახსნელსა.
მაუდის მათურელებსა
ვინ იქამს ემაგ საქნელსა
ერთხელ კი ლუდ ჩაეკრა
ში კუდყავარა გავრძელდა.

***

ფშავ-ხევსურეთის შესახებ
უნდა დავიწყო კაფია,
გზა კი აქამდის მოიდა,
მაგრამ სკოლები გვაკლია.
ჩვენ ისევ სიბნელეში ვართ,
სწავლა არ არი ხალხშია,
ჩანგრეულ სკოლები გვაქვს
სულ ძველი ხე-ქვით სავსეა.
ისეთი თამჯდომარე გვყავს,

როგორც ნამდვილი დათვია,
ჩვენ რა განათლებას მოგვცემს
თავისათვინაც აკლია.
ფშავ უპატრონოდ დამრჩალა,
ალარა ჩნდება კაცია,
ხევსურეთს სკოლებ დაიხსნა
ფშავს კიდენა აქვს ნაკლია.
მთავრობამ ეგრე დასტოვა
რო ყური არ მააქცია
მთავრობის მადლობელნი ვართ
რომ დიდი შრომა გაწია.
ფშავ-ხევსურეთის მიდამო
ახტომოპილით სავსეა,
სინათლე გამააშუქა,
ხევსურეთში და ფშავშია.

***

ხმა გატყდა უკანაფშავსა,
ლეკებ წაიღეს ცხვარია,
ახადლებს შეგვიტყობინეთ,
ეგენიც ჩვენი ძმანია,
წითელაურებს უთხარით, —
ბევრსა სჭირს მტრისა ჯავრია,
უკანა ფშავლები მოდიან;
შიგ დარჩეულნი ყმანია;
ჩავიდეს ივრის წყალზედა,
ღმერთო, დასწერე ჯვარია,
საქისტოს ჩამომდინარებს
აუტყდა ნიავ-ქარია;
მარჯვნივ მაჰყვება გიორგი,
ფშაველთ ლაშარის ჯვარია,
მარცხნივ მაჰყვება თამარი,
თამარი დედოფალია;
გადაიბრუნა ლეჩაქი,
დაელნა დაღესტანია.
ხადორით კაცმა იძახა,
გაღმით გავიდა კვალია.
ბერიძემ მამუკაათთა,

არ დაანება თავია,
ლოპოტაში გადმეწვინეს,
იყო შუადღის ხანია,
წინ მაუარა ქერებსა,
შამააბრუნა ცხვარია,
მე ნუ გგონივართ მარტუა,
შვიდნი მტანია სხვანია,
ზურაბო, დედის ერთაო;
ღმერთმა გაცხონა მკვდარია,
ომი გეწადა ძლიერი,
ტყვიამ არ მოგცა ძალია;
დედა შაერთოს ცოლადა,
ვინც ეგ გაწიროს მკვდარია.
ცხვარიც მაუდის ვაჟკაცსა,
მკვდარიც მააქვის ძმანია,
ყველამ უთხარის შანდობა,
რო დაჯარდების სმაშია

თუშებისა და ფშაველების ომბავი.

თუშეთს ყავდა ერთი სახელოვანი მეთაური, რომელსაც ერქვა თილისძე. ერთ დროს გამოილაშქრა ფშავლებზე და ააოხრა სოფ. ხოშარა. ამ დროს გაიგეს ფშავლებმა და მამაკაც-დედაკაცებით ერთსულოვნად გავიდენ მტრის წინააღმდეგ. ლაშქრობის დროს მეტი გმირობა გამოიჩინა სუმელჯი წოწკურაულმა სოფ. შუქოში მცხოვრებმა. სუმელჯის ცოლი ჯორით უზიდავდა შვილდ-ისრებს და ომობდა. თუშები ისე დაამარცხეს ფშავლებმა, რომ მარტო თილისძე გადარჩა; ამ ომში თუშები იმდენი დახოცილა რომ მათი ჩითანი (წინდები) გოდრით გაუყვიათ ფშაველებს. როცა გაქცეული თილისძე მივიდა შინ, მას რძალი მიეგება კარებზე და უთხრა სიტყვა:

რა უყავ მამამთილაო,
თინიბეგ ჩემი ქმარია?
გავწირე მუჭის ღელესა,
წითლის ბადაგით მთვრალია,
გვერდით დავუბი ლურჯაი,
ტიროდა როგორც ქალია.

თავით დაუდგი დოლშაი
აფრიალებდა ქარია,
განა მარტოკა ის იყო?
ბევრი სხვა იყო მკვდარია.

როდესაც დამარცხებული თილისძე გაიქცა, მაშინ შეეხვეწა ლაშარის ჯვარს, ოღონდ შინ ცოცხალი დავბრუნდე და დაჰპირდა სამლოთო, რომ მას აწი ფშაველებზე არ გამოელაშქრებია. აი ახლა სალმთოს იზამს თილისძე და მოვა ფშაველებში ლაშარობაზე, სადაც ფშაველები დღესასწაულობენ. დამარცხებულ თილისძეს ფშაველები სიტყვას ეტყვიან დამუქრების კილოთი:

ლაშარს მოიდა თილისძე,
დიდგულად დაჯდა ხარია,
შამეეხვიენეს ფშავლები,
როგორც ბატონსა ყმანია.
შენ აქ არ მოგეევალება
დიდი ჰქენ ცოდვა-ბრალია.
თავ მასჭერ დიაც ყმაწვილსა,
კალოდ გალეწე მკვდარია,
დასწვი, დასდაგე ხოშორა
ცამდი აუშვი ალია
ნაკვეთაურის ჭერხოსა,
შენ შახსენ რკინის კარია
დაიცადეაცა ფშაველებსა,
მალოცეთ თქვენი ჯვარსა,
სახვეწრად მომიყვანავის
თეთრი ქორაი ხარია,
ეგ მაშინ გავარიგოდეთ,
როცა გამოვლენ მთანია,
უბის თავს დაგებდებიან,
რომლისა ჭრიდეს ფრანგული
თილისძეს ცხენის ნალია
რომლისა სჭექდეს თოფია,
ვისი იქუხებს თოფები,
უბის თავს დანათდებიან,
ვისი იქუხებს თოფები,
თილისძის ცხენის ნალია.

აშის შემდეგ ფშაველები და ოუშები ძმად გაიფიცნენ. მერე ისინი ერთად ილაშქრებდნენ საერთო მტრებზე.

★ ★ ★

წინად ფშაველებს ბევრ ხალხთან ჰქონდათ ლაშქრობა როგორც მაგალითად ქისტებთან, ლეკებთან. ფშაველები ყოველთვის მოგერიებით იცავდნენ თავს. მაგრამ მტერი თუ გაკადნიერდებოდა. მას საშინლად ამარცხებდენ. განსაკუთრებით ფშაველებს ქისტებთან ჰქონდათ შუღლი. ერთხელ ფშაველს ისე დაუმარცხებია ქისტები, რომ შვიდი წლის განმავლობაში მათ ხარები არაყოლიათ, ვირებით უხნავთ ყანები. ფშაველებს ქისტებთან ლაშქრობის დროს ყოველთვის მეთაურობდა — ლაშარის ჯვრის ხევის ბერი. ეხლა ახსოვთ ხევის ბერი ხახაი გაბიდოური (სოფ. ხოშარიდან), რომელიც სახელოვანი იყო ვაჟკაცობით. ამ ხახაის შესახებ არის ლექსი:

მიენატრი დაბადებასა,
ხოშარას ხახაისასა.
აისხამს იარაღებსა
ანგელოზსა ჰგავს ცისასა
მხარზე გაიდებს დროშასა
ლაღის ლაშარის ჯვრისასა,
თერეთეგოზე გაივლის
ქვიშას არ დასძრავს მთისასა,
თარეში წამოაყენებს
ნარჩევებს ფშაველის შვილებსა.

ხახაიზე არსებობს მეორე ლექსიც:

მუცუს აბირდა ბებერი
ჯარით სად მიხვალ ხახაო
მითხოს მივდივარ ბებერო,
ვარდანამ დამიბარაო.
მედ იმან უნდა ვიომოთ
უნდა იჭეხოს ცამაო,
ცრემლით პირ უნდა იბანოს
შუქო ვარდანის ქალმაო.

***

ნუმც იხდით ხევსურთ შვილებო,
ნახადსა ბადაისასა,
სამჯერ გაყიდეს ყირიმში
სახსარს ვინ იტყვის ტყვისასა,
სამჯერავ გამოეპარა

გულს დახევ კაი ყმისასა,
შიმშილით დალოშებული,
ქუჩს მასძოვს მაღლის მთისასა,
წყურვილით შალონებული
ნამსა ლოკვს ბალახისასა.
წინ კაცი შამოეყარა
ფულს აბნევს ბუსრიბნისასა.
კაცო შენ მითხარ დღეა თუ ღამე,
შენ მითხარ ღვთის მადლსა.
გურჯო დღეც არის, მზეც არის
ძალს უქნავ შიმშილისასა.
დაჯდა და პური აჭმია
დაწვდომას დახე მტრისასა,
მემრედ გზად ჩამაასწავლა
ჩანავალს ჩაჰყე მზისასა.

***

დედა ცხონდება ვაჟისი
ბაქოში დავითისაო.
სხვის ტანზე იცნო ხანჯარი,
ხანჯარი თავის ძმისაო,
ხანჯარ ვისია რჯულ ძაღლო,
ხანჯარი ჩემის ძმისაო.
თუშისი არის თავად რჯულძაღლო,
თუშისი სულძაღლისაო.
ლეკსა ააძრო ხანჯარი,
დასცა იმ ძუძუს ძირსაო,
მამლის ყივილის ხანია,
იმის ცოლ გამოსჭყივდაო,
აქამედის მოდის ბაადი
ახლა რამ დაიჭირაო.

***

მე კი მოგივე დედაო,
ბევრი სხვა ვერ მოდიოდა,
დაგვლივნა ხოშარის გორმა
წყალი არ გამოიდიდა,
სულმელჯის ისარი
უფრთოდ ამოდიოდა,

წყურვილის შალონებული
ცხენთ-ხედრათ ჩამოდიოდა,
ჩაგვყარა ანჭილოშია,
ცუდმა ნიავმა ქარმაო,
მიხრით გამოზრდილ საყმომა
გადმოგვეწივა დაგვხოცნა,
ცუდ დაგვიყენა ჟამნია,
თილისძეც გამოგვეპარა
გადაიარა მთანია,
ის რო თუშეთში ჩავიდა
შამოეგება რძალია,
რა უყავ მამამთილაო,
თინიბეგ ნემი ქმარია,
გავსწირე მუჭის ღელესა
წითლის არაყით მთვრალია,
თავით დაურჭვე დროშაი
აფრიალებდა ქარია,
გვერდით დაუბი ლურჯაი
დასტირის როგორც ქალია,
ტოტით აყრიდა მიწასა
ბრუნავდა ცოდვა-ბრალია,
რად მიყავ მამამთილაო,
ღალატი ჩემის ქმრისია.
ქალი ციხეში შავიდა
მაგრა დაწელნა კარია
რად მიღალატე ნეტარა
რაზედ მაჰკალით ჩემი ქმარია,
უნდოთა ფშავლის შვილებმა
მალვით გამოსჭრეს ყელია,
მიშველე მამამთილაო,
შამაბი შენი ხმალია,
უნდა თინიბეგ ვეძებნო
ლელაიც ნულარც ვარია,
საპარავს გადმუეწია,
დაუხვთა ფშაველთ ჯარია,
სად მიხვალ ბოზავ დიაცო,
რაზედ გიჭერავ ზავია?

უნდა ცაბაურთს ჩავიდე
ცდაზე მიჭერავ თვალია.
კიბულთ არ ჩაგაცილებენ
ლომხუზამანი ძმანია.
არ დაიშალა ლელემა
გადმაიარა მთანია.
მივიდა კიბულთ გზაშია,
შამახვდენ ორნივ ძმანია.
სადაური ხარ ქალაო,
სისხლის რომ მოგდევს კვალია?
თინიბეგი მყავ დამრჩალი
უნდა მოვნახო მკვდარია.
შენ გირჩევ ქალო შინ წადი,
თორე აქ დარჩი კვდარია.
არა ვერ წავალ ქალაი
თინიბეგის უნდა ვენახო თვალ-წარბია
არ დაიჯერებ შე ძალლო,
ცხვრებილად მოსჭრეს თავია,
ხელი მარჯვენას არ ჯობდეს
რათ შაეირცხვინე თავია,
მაგრამ შენ ქმარ-მამამთილ
დიდი ქნეს ცოდვა-ბრალია.

***

ხევსურეთს არი ამბავი
ლომი დაზეზდა მთისაო,
ჩამოვა ჩაშობოინობს
ლალი არწივი მთისაო.
არავინ დაგაზიანოს
არავინ დაგგლიჯოთ მწკლითაო.
დედას გიტირებთ რუსებო,
ლომი დაზეზლა მთისაო,
ის კი ვერ იცის ბეჩავმა
ბალთას ჩაუსმენ გზირსაო,
ომია ბალთის ჭალასა,
სისხლსა წვიმს მაღლა დარია,
შამახვთა გუდამაყრელი
ნაცნობი დიდის ხნისაო,

დანდობით ჰკითხა ამბავი
სალამ მიართვა პირსაო,
უნდა გეხუროს ლეჩაქი
იმ თავის დიაცისაო,
უნდ გეცვეს ჭრელი კაბაი
თავზე ნაჭაპნი თმისაო.
დაიძრა თავის შავხალი
უთავა ძუძუს ძირსაო.
ბოლონავ ამოსაწყვეტო
გზაში რად მისვამ გზირსაო,
გამაწირვინეთ სამშობლო
აი დედაჩემს მტრისაო,
მგელს კიდევ დარჩა ლეკვები,
მოძებნა უნდა გზირსაო,
არც შენ შაგრჩება, ბოლონავ,
ღალატი თავის ძმისაო.

***

მოხვედ და მელიციონელო
რა ამბავ მოგიტანია?
მოველ, რა მოველ
ქისტებ არ მოგვცეს ზავია,
დაგვიკრეს ხოშურაულსა
დაგვბრუნდა ცოდვა-ბრალია,
დაწირნა ჯარემაშია
უგშერებელნი მხარია,
ბევრნ გვყვანან ამხანაგია
თუშნი, ხევსურნი ძმანია,
გაიგო სულხანაურმა
მაღლა შაირტყა ხმალია,
კი თუ მომიკლეს გიგია,
კი თუ დამუნეს ცანია.
შაკაზმა თავის ლურჯაი,
ზედ თავად შეჯდა ქორია.
დედას გიტირებთ ქისტებო,
უნდა მოგიხტეთ კარზედა,
გადინოთ სისხლის ღვარია.
გამოფრენილმა ყორანმა

გადმაიარა მთანია,
თავ მხსჭრა ქისტის მოლასა
გამააყოლა მარჯვე მხარია.
ეს რო გაიგეს ქისტებმა,
შაქნეს დიდ ცოდვა ბრალია,
დაიცა ძაღლის ჯიშებო,
მალე გიკლიოთ კვალია.
უნდა გიგიას შამწირეთ
ათი თორმეტი მკვდარია.
გაჰკვირდენ ქისტის შვილები
აღარცა მოგვცა ზავია,
მაგის ნახოცი მკვდრებითა
ავავსეთ გალავანია,
სახვეწრად გამოვუგზავნეთ
თეთრი ქორაი ხარია,
შატილს ჩაუსხდენ გზირადა.
ზემოთი სულხანაური,
დურბინდით იჭვრიტებაო,
ესროლა ქისტის მოლასა
ხანჯრის ტარებზე ხვდებოდა.

***

თოვლი სთოვს საგურამოსა,
ხიჩლაი, თათულიკაი
იქ კი შაყრილან გზაზედა.
ჩამავარდნია ამბავი
უწინდელს მტრობაზედა
ხირჩლამ უთხრა თათულსა:
სასმელ დავლიოთ ჭკუაზედა
ეგ მაშინ გავარიგოდეთ
როცა შავხვდებით მთაზედა.
ჩემი პატარა ფრანგული
შოგპრიალობდეს თავზედა,
სხვას კი ვერ უტრიალებავ
ხმალ თათულიკაის ტანზედა,
დაჯარდნენ შავნი ღრუბელნი
დაბლა დაყარეს ნამია,
თათულიკასა—ხიჩლასა
ხანჯლებით ერთმანეთს ჩხვერავდიანა,

თოფებ არ ექნა ხელშია,
წინ სისხლი უდგა გუბედა,
რად მამკალ უთხრა თათულიკამა
რად გადამაგდე გზაზედა,
გაიგეს ხევსურთ შვილებმა
ხელი დაიდვეს ხმალზედა,
ჩამაეტივნეს ხიჩლასა
თათულიკაის ჯავრზედა.
დაკაფეს ხიჩლაი მხრემდი
ცრემლები ჩამოსდის თვალზედა,
შაგინდნეს თათულიკაო
ჯლანნი გაბანდეს გზაზედა,
როგორ იქშერე ლამაზი
თავი რა მასჯრე ტანზედა,
არ შაგარჩენენ ხიჩლაო
თათულიკაის ტანზედა.

***

ყუჯით გიორგის უთხარით
თათართ ხევსურის ნათქვამი,
ჩობანს არ ვამაადგება
თეოზე კაი საწოლი.
გათენდა მეორე დილა,
ნახეთ თხების და მგლების ნაბრძოლი,
ახლა კი გაგისწორდებათ
ეგ კოლექტივის სასწორი.
იახსარ მოგქცეს წყალობა
გადაუნათლე მთა-გორი.

* * *

მაშინავ საით შაგხვდები,
ღმერთმა დაგწყევლოს საბელო,
შენ ჩემო გამცრუებელო
თავზევით ქუდის მამხთელო.
ბოზ-ქურდობაზე შამარცხვენო
მე მაბრალებენ შენს თავსა,
ტანტრეო სად რა წახველო,
თუ მე შენ მოგკალ ტანტრეო.
ჩემი ცხენ-ბარგი რა ვქენი

თუ მე შენ გილალატებდი,
შენ გაქრი ჩემო სანთელო,
ცოცხალი ნულა მოგივალ
თაშარო ჩემო გამზრდელო
თუ ტყვილადა მწამებდენ
პასუხ შენ გეეც გამჩენო.
ბევრს კი ეტყოდი ტანტრიავ
თათრების ენა იცოდი
მაგრამ თავ მომჭრეს რჯულძალთა
დამჭირდა შენი თავია,
მიშველე ლაშარის ჯვარო
დამჭირდა შენი თავიო,
ჩამოგვეშველე ისივა
არწივო მეომარია,
შენი ფრანგულით მაკურთხე
ტანტრია მეომარია,
დაგვიკრა თათრის შვილებსა
დააგლეჯინა ყმანია.

***

ჩიტი ჩამოჯდა ლობესა
იძახის გიშლიშორასა.
ბევრსა დახვდება ამ დროსა
წელიწადს ქრისტიშობასა,
შენსა შემ მოჰკლა შენს მტერსა,
გაუწევ მაგივრობასა,
გზანიც კი აყოვდებიან
შენი მისვლისი-მოსვლისი
შენ გაიმარჯვე მტერზედა
ჩემო ფრანგულო ხმალაო,
წინ-წინ მე მომაკვლევინე
ჩემზე მოსული მტერია,
ჩემი ლურჯაი ჩემთვინა
ნაკურთხალია ცხენია,
ეგებ ფშავეთში მიმიშვან
არწივი მეომარია,
თავ გასჭერ დიაც-ყმაწვილსა,
თათრების ნაომარია,

ქალებს ხმარობენ ცოლურა
არა ჩანს მეომრებია.
სადა ხარ ზეზვავ ნეტარა
ლუხუმი სადღა არია,
ღმერთო და ჩვენო გამჩენო
ხატებო ფშავეთისაო,
შენ გაუმარჯვე ჩვენს ჯარსა
დავლათო ახმეტისაო,
აგებ ავხოსოთ ძვლებითა
ველები კახეთისაო.

***

საგინა გიორგწმინდელმა
ლუდი ადუღა სვიანი,
დაითვრენ ჯალაბაურნი,
დადგა ხაჯრების ტრიალნი.
რად ეგრე ჩემო საგინავ,
რაისად გვიყავ ზიანი,
დაგვათვრენ დაგვაღალატენ
ლუდ გვასვი იფლის წვნიანი.

***

წაწლობა რაღაც იციან
დავსწვი ფშავლების „ზაკონი"
მეც მთაზე ბევრჯერ გავსწირე
თავ-განებებულ საქონი,
ბევრგან ბოსლის კარ გავაღე
ბევრგან ავხადე საკომი.
ბევრ ქალა გამოვაღვიძე
ტყავის ძველაში ნაწოლი.

***

რა ქვეყნის ციხე ავაგე,
ჯავრი შავაბი კარადა,
შიგა ვზივარ და ვიძახი
თავი ღურბელსა მიბია,
წინ მიდგა სუფრა სკავდისა
ბრინჯაოს ტარი აგია,
ზედა დევს დანა ჯავარი

ზედ კვიცის ხორცი აწყვია,
მშიან და ვერ მიჭამია
რჯულ კერ გადამიგდია.

***

შვიდ წელს ტყვედ ვიყავ, დედაო,
არ მილახიან ქვიშანი,
საკმისას ჩაშოშვებულნი
შუქნი ვნახოდი მზისანი,
კუტი ვეგონე ლეკებსა,
კარსა ვერ გამავდიოდი,
გამომიყვანეს გამშინჯეს
ქალ-რძალი მიდგა მრავალი,
პირდაპირ ჩამომიცფრინეს
თვალ-მარგალიტი მრავალი,
ზოგი ვსთქი უბერ ვიამე
რაც იყო თვალით მრავალი,
ისევ გადმოუფრინდი.

***

ძმობილო, კარატიელო,
ე მა ხოწს გაუხახუნე,
გუშინაც დალეულიყო
სულ კბილ დაკრეჭილმ ვაბრუნე.
თუ არა მე კი შინ წავალ,
ახლა სხვა მაიმსახურე.
შენმა მზემ თუ კი შინ წახვალ
სავსე დაგხვდება საპურე.*

---

*) ფშაური ლექსების მეტი ნაწილი ჩაწერილი მაქვს ლეკვა მთვარელა-შვილისაგან სოფელ შუაფხოში

39
от 399

Д-р ГЕОРГИЙ ТЕДОРАДЗЕ

Пять лет в Пшави и Хевсуретии

КН. II

19 Грузмедгиз Тбилиси 39